

# სახელმწიფო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე

2021, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)

2021, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)

2021, №2

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)

2021, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ქეთევან შენგელია**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საძიებელი

ქირავნობა .....	4; 11
ნარდობა .....	39; 47
მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგები .....	47
მიბარება	
მიბარების საზღაური .....	61
დაზღვევა .....	71
საბანკო კრედიტი	
ზიანის ანაზღაურება კრედიტის ვადამდე დაბრუნებისათვის ....	83
საბანკო გარანტია .....	101
ერთობლივი საქმიანობა .....	112; 130
სამისდღეშო რჩენა .....	142

# ქირაჰსნობა

## ბანჩინება საქართველოს სასახელით

№ას-489-457-2017

13 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გა-  
მოთხოვა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:**

1.1. რ. ბ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე ან მესაკუთრე) სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. ბ-ის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან მფლობელი) მიმართ, მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ქ. ბათუმში, ა-ის №...-ში მდებარე 42 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის (შემდგომში – სადავო უძრავი ნივთი) გამოთხოვისა და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მოსარჩელისათვის გადაცემის მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელის მამასა და მოპასუხეს შორის 2010 წლის 19 ნოემბერს დადებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე სადავო ქონება მფლობელს გადაეცა სარგებლობაში მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ ოცი წლის ვადით. ყოველთვიური ქირის ოდენობა განისაზღვრა 300 ლარით. სადავო ქონება 2011 წლის 27 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენს მოსარჩელის საკუთრებას. მხარეთა შორის სხვადასხვა საკითხზე შეთანხმების მიუღწევლობის გამო წარმოიშვა უთანხმოება, კერძოდ, მფლობელი, მესაკუთრის ნების წინააღმდეგ ნაქირავებ ფართში საქონლის ძვლები-საგან ამზადებდა კერძს (ე.წ ყაურმა), რომლის სუნიც მოსარჩელის ოჯახს, ასევე, ამ მისამართზე მცხოვრებ სხვა პირებს (რომლებსაც ნაქირავები აქვთ ოთახები) უქმნიდა დისკომფორტს. ამ მიზეზით, ასევე – რადგანაც მოსარჩელის დას, რომელსაც მინიჭებული აქვს ინდ.მენარმის სტატუსი და აპირებს სადავო ფართში სამენარმეო საქმიანობის წამოწყებას, მოპასუხეს მოსარჩელემ შეუწყვი-

ტა ქირავნობის ხელშეკრულება, თუმცა, მფლობელი არ ათავისუფლებს სადავო ქონებას.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მხარეთა შორის მართლაც არსებობდა უთანხმოება, სასმელი წყლისა და საკანალიზაციო მილის გადაკეცვით მესაკუთრე ცდილობდა, მოპასუხისათვის შეექმნა გაუსაძლისი პირობები, რათა დამქირავებელს საკუთარი ნებით მოეშალა ხელშეკრულება, თუმცა, მიზანს ვერ მიაღწია, ვინაიდან ამ უკანასკნელმა საკუთარი სახსრებით აღადგინა კომუნიკაციები. რაც შეეხება სარჩელში მითითებას გაუსაძლის სუნზე, საქმეში ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს, თუმცა, საწინააღმდეგო ვითარებაშიც კი, ეს არ შეიძლება ხელშეკრულების მოშლის საფუძველი გახდეს. ქირავნობის შეწყვეტის პატივსადებ საფუძველად ვერ იქნება მიჩნეული მოსარჩელის მითითება საკუთარი დის სამენარმეო საქმიანობის თაობაზე, რადგანაც მხარეთა შორის არსებობს ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობა და სამოქალაქო კოდექსის 168-ე მუხლის ამ შემთხვევაში გამოყენება დაუშვებელია. მოპასუხეს ქირავნობის ხელშეკრულების არც ერთი პუნქტი არ დაურღვევია და ვერც მოსარჩელე მითითებებს მსგავს გარემოებაზე, შესაბამისად, არ არსებობს ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები. გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულების მე-5 პუნქტის თანახმად, დარღვევად მიიჩნევა ორი თვის ქირის გადაუხდელობა, რაც საქმის მასალებით არ დგინდება და მოსარჩელის მოთხოვნის შესაბამისად, მფლობელი ვერ შეძლებდა ფართის დაცლას. დამქირავებელმა დაახლოებით 40 000 აშშ დოლარის ხარჯი განია, გაარემონტა ფართი, შეიტანა ინვენტარი, ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდგომ იმდროინდელ მესაკუთრესთან და მისი ოჯახის წევრებთან შეთანხმებით მიიღო პროექტი ქირავნობის საგანზე დაშენებისა და გვერდით მხრიდან ფართის მომატებაზე. აღნიშნულის გაკეთების მიზანს წარმოადგენდა ქირავნობის საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენება, სარგებლის მიღება და განუვლი დანახარჯების ამოღება, გარდა ამისა, ქირავნობის ხელშეკრულებაში ნათლადაა ასახული მისი მოქმედების ვადა: თუ გამქირავებელს აღარ მოესურვებოდა ნივთის გაქირავება, ერთი წლის გასვლის შემდგომ შეეძლო მოეშალა იგი, რაც არ მომხდარა, შესაბამისად, ხელშეკრულება გაგრძელდა ოცი წლით.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის გადაწ-

ყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაევალა სადავო ფართის გამოთავისუფლება და მოსარჩელისათვის გადაცემა.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადანყვეტილება დარჩა უცვლელად.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება:**

##### **1.1. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ (ფაქტობრივი დასაბუთება):**

წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.1.1. 2010 წლის 19 ნოემბერს ნ. ბ-ესა (თავდაპირველი მესაკუთრე) და მოპასუხეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის სა-

ფუძველზეც მფლობელს სარგებლობაში გადაეცა 42 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი;

1.1.2. ხელშეკრულება დაიდო მინიმუმ – 1 და მაქსიმუმ – 20 წლის ვადით;

1.1.3. 2011 წლის 27 აპრილს თავდაპირველმა მესაკუთრემ სადავო ქონება აჩუქა შვილს – მოსარჩელეს, რის შედეგადაც, სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლის შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდა მოდავე მხარეთა შორის;

1.1.4. 2015 წლის 8 აპრილს მესაკუთრემ მფლობელთან მოშალა ხელშეკრულება, ხოლო სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2015 წლის 22 ივლისს, მოშლის შესახებ ნების გამოვლენიდან სამთვიანი ვადის დაცვით.

## **1.2. საკასაციო განაცხადის მოცულობა:**

1.2.1. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა ხელშეკრულების მოშლის ფაქტი, ამ მხრივ, სასამართლო მსჯელობს მხარეთა შორის იჯარის ხელშეკრულების არსებობაზე, თუმცა იყენებს ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ნორმებს, ამასთან, იჯარის საგნად მიიჩნევს საცხოვრებელ ფართს, რომელიც მოსარჩელეს საკუთარი ოჯახის წევრისათვის ესაჭიროებოდა, რაც არასწორია, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 562-ე (2) მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების გამოყენებით არასწორი განჩინება იქნა გამოტანილი. ამ განმარტების სანაღმდეგო საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელე ხელშეკრულების მოშლის საფუძველად საკუთარი დის მენარმის სტატუსს და სადავო ქონებაში სამენარმეო საქმიანობის განხორციელების სურვილს მიუთითებს;

1.2.2. საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 19 ნოემბრის ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, კასატორი კეთილსინდისიერი მფლობელია და ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის შესაბამისად, დადებულია არანაკლებ 1 და არაუმეტეს 20 წლით, შესაბამისად, მესაკუთრეს მისი მოშლის უფლება გააჩნდა ხელშეკრულების დადებიდან ერთ წელში, რაც არ განუხორციელებია და იგი გაგრძელდა 20 წლით, ამასთანავე, არც ხელშეკრულების მოშლის მეორე საფუძველია სახეზე (ორი თვის ქირის გადაუხდელობა). სწორედ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მხარეებმა დადეს არა სტანდარტული, არამედ მკაცრად ინდივიდუალიზებული ხელშეკრულება, მისი მოშლისათვის არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლის მე-3 ნაწილი. გარდა ამისა, მოსარჩელე ვერ მიუთითებს კანონით განსაზღვრულ დასაბუთებულ პრეტენზიაზე, რაც შეიძლება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი გახდეს. სწორედ ამ საფუძველიდან გამომდინარე უპასუხა კასატორმა წერილობით მესაკუთრის პრეტენზიას, რომ არ არსებობდა

ხელშეკრულების შეწყვეტის პატივსადები მიზეზი.

1.3. საკასაციო პალატის შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის არგუმენტს სა-სამართლოს მხრიდან ხელშეკრულების შინაარსის არასწორად შე-ფასების (იჯარა), ასევე, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის (სკ-ის 562-ე (2) მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები) არასწორად განსაზ-ღვრის თაობაზე, თუმცა, ამ საკითხთა ანალიზის შედეგად უნდა დადგინდეს, მითითებულმა დარღვევამ იქონია თუ არა გავლენა გადაწყვეტილების მარეტიალურ-სამართლებრივ კანონიერებაზე.

1.3.2. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქმეში წარ-მოდგენილ 2010 წლის 19 ნოემბრის ქირავნობის ხელშეკრულებას, მხარეთა განმარტებებს და დადასტურებულად მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მხოლოდ 42 კვ.მ არასაც-ხოვრებელი ფართი. იმის გასარკვევად, თუ რა ტიპის სახელშეკრუ-ლებო ურთიერთობა არსებობდა მხარეთა შორის, პალატა მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერ-თგვაროვან სასამართლო პრაქტიკას. ერთ-ერთ საქმეზე (იხ. სუსგ №ას-738-700-2015, 18 დეკემბერი, 2015 წელი) საკასაციო პალა-ტამ განმარტა, რომ მიუხედავად იჯარისა და ქირავნობის ხელშეკ-რულებების მსგავსებისა (მათი საგანია ინდივიდუალურად განსაზ-ღვრული, მოუხმარებადი ნივთი, ორივე შემთხვევაში ნივთი მხა-რეს გადაეცემა სარგებლობაში, ორივე სასყიდლიანია და ა.შ), მათ შორის არსებობს განსხვავება, რაც განაპირობებს საიჯარო ურთი-ერთობის ზოგიერთ ასპექტში განსხვავებულად, სკ-ის 581-ე-606-ე მუხლებით მოწესრიგების აუცილებლობას. ამ განსხვავების საი-ლუსტრაციოდ სსკ-ის 531-ე და 581-ე მუხლების სამართლებრივი კონსტრუქციების შედარება სრულიად საკმარისია: „ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა, დამქირავებელს სარ-გებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავე-ბელი მოვალეა დამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა“, „იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებ-ლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა, გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ, შეთან-ხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც. იჯა-რის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკ-რულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის



განსაზღვრული“. ქირავნობის დროს კონკრეტული, ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი გადაეცემა დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო იჯარის შემთხვევაში, გადაეცემა ქონება, რომელიც არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც აერთიანებს [სსკ-ის 147-ე მუხლი], ანუ იმ მოთხოვნებსა და უფლებებს, რომლებიც მოიჯარეს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ნაყოფი (მატერიალური სარგებელი). იჯარის შემთხვევაში ნაყოფია ის შემოსავლები, რაც მეურნეობის სწორი გაძლოლის გზით მიიღება სამართლებრივი ურთიერთობის (იჯარის) საფუძველზე („იურიდიული ნაყოფი“). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს არ მიუთითებია და არც საქმეში ნარმოდგენილი მასალებით დგინდება ფაქტობრივი გარემოება, რომ ხელშეკრულების საგანი მფლობელს ისეთ მდგომარეობაში გადაეცა, რომელიც მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად ნაყოფის მიღების შესაძლებლობას გამოიწვევდა, უფრო მეტიც, მოპასუხე შესაგებელში აღნიშნავდა, რომ დასახული მიზნის შესაბამისად, ნივთის გამოყენებისათვის მან განია სამუშაოები, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ არასაცხოვრებელი ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემა მიუთითებს ქირავნობისა და არა იჯარის ურთიერთობის მხარეთა შორის არსებობაზე.

1.3.3. დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია შეფასება მიეცეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის საკითხს. უდავოა, რომ მხარეთა შეთანხმებით იგი განსაზღვრულია „არანაკლებ ერთი და არაუმეტეს ოცი წლის ვადით“. პალატა ზოგადად იზიარებს მხარის მოსაზრებას სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპთან მიმართებით (სკ-ის 319-ე (1) მუხლის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს (ცალკე კანონით), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვას სწორედ ამ პრინციპის განმსაზღვრელი ნორმა ადგენს და იგი დასაშვებად მიიჩნევს კანონისაგან იმგვარ გადახვევას, როდესაც: ა) თავად საკითხი არაა კანონით მოწესრიგებული; ბ) კანონისმიერი რეგულაცია დისპოზიციურია. როგორც ერთ, ისე – მეორე შემთხვევაში, გამოვლენილი ნება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს თავად კანონს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუნდაც სახელშეკრულებო თავი-

სუფლებების ფარგლებში შეთანხმებული ნება, როდესაც იგი არ არის ცალსახა, ხოლო მოდავე მხარეებს განსხვავებული მოლოდინები აქვთ მის მიმართ, მოითხოვს სასამართლოს მხრიდან განმარტებას (სკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან). საკასაციო სასამართლო ხელშეკრულებაში ვადასთან მიმართებით გამოვლენილი ნების გონივრული განსჯის შედეგად ასკვნის, რომ ქირავნობა დადებულია არა ოცი წლით, როგორც ამას კასატორი მიიჩნევს, არამედ განუსაზღვრელი ვადით.

1.3.4. აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ უდავო გარემოებას, რომ მესაკუთრემ ხელშეკრულების მოშლის შესახებ მიღებასავალდებულო ცალმხრივი ნება გამოავლინა, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 51-ე (1) მუხლის შესაბამისად, მეორე მხარეს 2015 წლის 8 აპრილს მიუვიდა. სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ქირავნობის ხელშეკრულების ვადა არ არის განსაზღვრული, ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება ხელშეკრულების მოშლის შესახებ განცხადების გაკეთებით. მოცემულ შემთხვევაში უდავოა ისიც, რომ სარჩელი სასამართლოში წარდგენილია ქირავნობის შეწყვეტის შესახებ განცხადების გაკეთებიდან სამი თვის ვადაში (სკ-ის 561-ე მუხლი), ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 564-ე მუხლის შესაბამისად, დამქირავებლებს წარმოეშვა ნივთის დაბრუნების ვალდებულება.

#### **1.4. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების სასამართლებრივი დასაბუთება:**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების შეფასებებსა და დასკვნებს, რომლის წინააღმდეგაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზღვრული შედაგება არ ყოფილა წარმოდგენილი კასატორის მხრიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

#### **2. სასამართლო ხარჯები:**

რადგანაც წინამდებარე განჩინებით კასატორის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს პროცესის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები, ხოლო, ამავე კოდექსის 55-ე მუხ-

ლის შესაბამისად, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს ბიუჯეტში.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-  
ჩივრდება.

**ქირავენი**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-342-327-2016

9 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2013 წლის 1 თებერვალს შპს „ე-სა“ (შემდეგში: მოპასუხე, კასატორი, გამქირავებელი) და შპს „კ-ს“ (შემდეგში: მოსარჩელე, დამქირავებელი, სანარმო, დაზარალებული) შორის დადებული „სა-  
ვაჭრო ფართის ქირავნობის“ ხელშეკრულებით – მოსარჩელეს ქ.  
თბილისში, ... მდებარე სავაჭრო ცენტრში 54.27 კვ.მ ფართი (შენო-  
ბა 3/2, №2/1-3, მიმდებარე 1.41 კვ.მ) გადაეცა.

2. დამქირავებელი დაქირავებული ფართით სარგებლობდა დი-  
ლის 10:00-დან საღამოს 18:00 საათამდე. 18:00 საათის შემდეგ სა-

ვაჭრო ცენტრი იხურებოდა და ადგილზე რჩებოდა მხოლოდ შპს „დ.ს.თ-ი“ (შემდეგში – დაცვის სამსახური), რომელიც სავაჭრო ცენტრს, მოპასუხესთან გაფორმებული 2010 წლის 1 აგვისტოს ხელშეკრულების საფუძველზე, 24 საათის განმავლობაში იცავდა.

3. 2013 წლის 26 თებერვალს, დაახლოებით 20:30 წთ-ზე, მაშინ, როცა სავაჭრო ცენტრი დახურული იყო და ადგილზე მხოლოდ დაცვის სამსახურის თანამშრომლები იყვნენ, გაჩნდა ხანძარი. ხანძრის გაჩენის სავარაუდო მიზეზი არის ცეცხლის წაკიდება. ცეცხლის გავრცელების შედეგად დაინვა დაახლოებით 6500 კვ.მ-ზე განთავსებული სავაჭრო ობიექტები, მათ შორის, დამქირავებლის სავაჭრო ფართი და სარეალიზაციოდ გამზადებული საქონელი.

4. დამქირავებელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში გამქირავებლის წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის 52 400 ლარის დაკისრება. სარჩელის მიხედვით, დამოუკიდებელმა აუდიტორმა ხანძრის მეორე დღესვე დაიანგარიშა სანარმოს სასაქონლო მარაგი 2013 წლის 26 თებერვლის მონაცემებით. აუდიტის დასკვნის თანახმად, ხანძარმა გაანადგურა მოსარჩელის კუთვნილი 36 974.37 ლარად ღირებული საქონელი, რომლის სარეალიზაციოდ ფასი 52 400 ლარი იყო. მოსარჩელის მტკიცებით, ამ თანხის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი მოპასუხეა.

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საქმის ექსპერტიზების თანახმად, გამქირავებელს ხანძრის გაჩენაში ბრალი არ მიუძღვოდა. მოპასუხეს ყველა ზომა ჰქონდა მიღებული ობიექტის სათანადოდ დასაცავად, რასაც ამ უკანასკნელის მიერ დაცვის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება ადასტურებდა. მხარეებს შორის დადებული ქირავნობის ხელშეკრულება მათ უფლება-მოვალეობებს ზუსტად განსაზღვრავდა. გამქირავებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას არც მოქმედი კანონმდებლობა და არც ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი არ ითვალისწინებდა. თუკი მოსარჩელეს ზიანი მართლაც მიადგა, უნდა მოეთხოვა ზიანის წარმოშობაში დამნაშავე პირისგან, რომლის ვინაობასაც სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიება ადგენდა.

**6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით – სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა 18 577.34 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.**

6.1. სასამართლომ მიუთითა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომლის თანახმად, ხანძრის სწრაფად განვითარებას ხელი შეუწყო მისმა დაგვიანებით აღმოჩენამ, ასევე, სახანძროს

ქვედანაყოფის არასწორმა მოქმედებამ. ამ მასშტაბის ხანძარი გამოიწვია, როგორც კერების არსებობამ, ასევე – შენობის დაცვის სამსახურისა და სახანძრო ქვედანაყოფის მხრიდან ხანძრის ჩაქრობის სანყის ეტაპზე არასწორმა მეთოდმა, აქედან ძირითადად: ხანძრის გვიან აღმოჩენა, 50-ლიტრიანი ცეცხლმაქრის გამოუყენებლობა, კერების ლოკალიზება, წყლის ჭავლის ხანძრის გავრცელების საპირისპირო მიმართულებით გამოყენება, ქრობა შენობის კონსტრუქციული დასაცავი ელემენტების მსხვრევის მინიმუმამდე დაყვანით, რაც უზრუნველყოფს გარედან ჟანგბადის (ჰაერის) მინიმალურ მიწოდებას. ანალოგიური შინაარსის იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დასკვნაც.

6.2. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანი გამოიწვია მოპასუხის მიერ ვალდებულების შესასრულებლად დაქირავებული პირის მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანმა შესრულებამ, რაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 396-ე მუხლის თანახმად, მიყენებული ზიანის გამო მოპასუხის პასუხისმგებლობის საფუძველს ქმნიდა.

6.3. მოსარჩელის მიერ საქმეზე წარდგენილი შპს „ა-ს-ო“ ჯგუფის დასკვნის შესაბამისად, ხანძრის შედეგად განადგურებული საქონლის საბალანსო ღირებულება 36 974.37 ლარია, სარეალიზაციო ფასი კი, 52 400 ლარი. მოპასუხის მიერ წარდგენილი შპს „ლ-ის“ 2014 წლის 12 მარტის აუდიტორული დასკვნის თანახმად, 2013 წლის 26 თებერვლის მონაცემებით მოსარჩელეს ერიცხებოდა საქონლის ნაშთი საბალანსო ღირებულებით – 65201 ლარი, ხოლო 28 227 ლარი ინვენტარიზაციით დადგენილი ნაშთი.

6.4. სასამართლომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი აუდიტის დასკვნა არ გაიზიარა, რადგან მიიჩნია, რომ ის ეწინააღმდეგებოდა მოსარჩელისავე მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას, რომლის თანახმად შეუძლებელია, განისაზღვროს მოსარჩელის კუთვნილი საქონლო მატერიალური ფასეულობების ნაშთის ღირებულება 2013 წლის 26 თებერვლისათვის. სასამართლომ დაადგინა, რომ ხანძრის შედეგად განადგურებული და დაზიანებული საქონლის საბალანსო ღირებულება 18 577.34 ლარი იყო, რაც მოპასუხეს უნდა დაჰკისრებოდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

6.5. რაც შეეხება განადგურებული ავეჯის სარეალიზაციო ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნას, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს რეალურად გულისხმობდა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურებას, ე.ი. იმ შემოსავლის ანაზღაურებას, რასაც მოსარჩელე მიიღებდა ავეჯის „სარეალიზაციო ფასად“ გაყიდვის შემთხვევაში. სხვაობა საქონლის საბალანსო ღირებულებასა და სა-

რეალიზაციო ფასს შორის ავეჯის საბალანსო ღირებულების დაახლოებით 41.70% (სარჩელის მოთხოვნის მიხედვით) იყო. სასამართლოს მითითებით, ის გარემოება, რომ ავეჯის რეალიზაციით მოსარჩელე მიიღებდა სარჩელით მოთხოვნილი ოდენობის შემოსავალს, უნდა გამყარებულიყო სათანადო მტკიცებულებებით. მოცემულ შემთხვევაში კი, საქონლის სარეალიზაციო ფასი გაანგარიშებული იყო მოსარჩელის მიერ შედგენილი ანგარიშგების მიხედვით, ე.ი. იგი თავად მოსარჩელემ განსაზღვრა, რაც საკმარისი საფუძველი არ იყო მიუღებელი შემოსავლის ოდენობის დადგენისათვის.

7. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ; მოსარჩელემ მოითხოვა სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის სრულად დაკმაყოფილება; მოპასუხემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 7 აპრილის საოქმო განჩინებით, დაცვის სამსახური საქმეში ჩაება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად – აპელანტის მხარეს.

**9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით: მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 25 577 ლარის გადახდა.**

9.1. სააპელაციო სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 396-ე მუხლი, 316-ე მუხლის პირველი ნაწილი, 317-ე მუხლის პირველი ნაწილი, 327-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 408-ე მუხლი. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება, რომ ზიანი გამოიწვია მოსარჩელის მიერ თავისი ვალდებულების შესასრულებლად დაქირავებული პირის მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანმა შესრულებამ, რაც, სსკ-ის 396-ე მუხლის თანახმად, მიყენებული ზიანის გამო გამქირავებლის პასუხისმგებლობის საფუძველს ქმნიდა.

9.2. სასამართლომ დაადგინა, რომ ხანძრის შედეგად განადგურდა მოსარჩელის კუთვნილი 25 576.4 ლარად ღირებული საქონელი.

ამ დასკვნის საფუძველად სასამართლომ შემდეგ მტკიცებულებებზე მიუთითა: საქმეში არსებული ხანგრძლივობის 2012 წლის მოგების დეკლარაციის მიხედვით, 2013 წლის იანვრისათვის მოსარჩელეს ერიცხებოდა 51 117 ლარად ღირებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა; 2013 წლის იანვარში დღგ-ს გარეშე 15 627.12 ლარად ღირებული საქონელი გაიყიდა, რომელიც ფასნამატს შეიცავდა და რომლის თვითღირებულებაც 11 082.3 ლარი იყო; 2013 წლის თებერვალში 8 152.54 ლარის საქონელი რეალიზდა, თვითღირებულებით – 5 753 ლარი; ამავე თვეში მოსარჩელემ შეიძინა 19 468 ლარის საქონელი.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2013 წლის 26 თებერვლის მონაცემებით მოსარჩელის კუთვნილი საქონლის ნაშთის საბალანსო ღირებულება 53 803.4 (51 117-11 028.3 – 5 753 + 19 468) ლარი იყო. ხანძრის შემდგომ საქონლის ნაშთის ღირებულება 28 227 ლარი ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხანძარმა გაანადგურა მოსარჩელის კუთვნილი 25 577 (53 804 – 28 227) ლარად ღირებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა.

**10. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა, შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:**

10.1. გამოძიების მიერ ჯერჯერობით დაუდგენელი პირის მხრიდან, სავარაუდოდ, განზრახ ჩადენილი ხანძრის შედეგად ცალკეული პირებისათვის მიყენებულ ქონებრივ ზიანზე პასუხისმგებლობის გამჭირავებლისათვის დაკისრება კანონსაწინააღმდეგოა.

10.2. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ ზიანი გამჭირავებლის მიერ ვალდებულების შესასრულებლად დაქირავებულმა პირმა გამოიწვია ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით. საქმეში მესამე პირად ჩაბმულმა დაცვის სამსახურმა სააპელაციო სასამართლოს საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით წარუდგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის გამცემი ექსპერტების წერილობითი განმარტება, რომელიც აბათილებს დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც, თითქოს, დგინდებოდა ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება, თუმცა სააპელაციო სასამართლომ საოქმო განჩინებით უარი თქვა აღნიშნული მტკიცებულების მიღებაზე.

10.3. გარდა ამისა, დგინდება, რომ ექსპერტიზის დასკვნაში არსებული ჩანაწერი – „ვიდეომასალაზე ხანძრის საწყის პერიოდში 56 წუთის განმავლობაში არავინ არ ფიქსირდებოდა“, არის ტექნიკური უზუსტობა და ტექსტში 56 წუთის ნაცვლად, უნდა იყოს 5-6

ნუთი. ეს განმარტება არა მარტო მესამე პირის, არამედ მოპასუხის სამართლებრივი პოზიციების გასამყარებელი უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებაა.

10.4. რაც შეეხება 50-ლიტრიანი ცეცხლმაქრის გამოყენებას, ექსპერტიზის დასკვნა ვერც ამ ნაწილში ვერ გამოდგება. სადავო დასკვნის გაცემისას ექსპერტებს არ გაუთვალისწინებიათ, რომ, ვინაიდან ხანძრის ადგილას შენობის ჭერიდან ცეცხლი ცვიოდა, დაცვის სამსახურს შესაძლებლობა არ ჰქონდა, 50-ლიტრიან ცეცხლმაქრს მიახლოებოდა.

10.5. მოპასუხე ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირადაც რომ მივიჩნიოთ, ზიანის ოდენობა არასწორადაა დადგენილი. სააპელაციო სასამართლომ არამართებულად არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება და ექსპერტიზის დასკვნას საკუთარი მათემატიკური გაანგარიშება ამჯობინა, რითაც მცდარად გაზარდა ისედაც არასწორი დათვლის საფუძველზე გამქირავებლისთვის დაკისრებული თანხის ოდენობა, მაგალითად, ხანძრამდე მოსარჩელის სახელზე ბუღალტრულად რიცხული საქონლის ნაშთის გარკვეული ნაწილი, როგორც წესი, ინახება მოვაჭრის სანყოფინში, რომელიც სხვაგან მდებარეობს და არა – სარეალიზაციო დარბაზში. თუკი არ დგინდება, მოსარჩელის სანყოფინში ხანძრის შედეგად განადგურებულ ფართში საქონლის რა ნაწილი ინახებოდა, ობიექტურ შედეგზე საუბარი ზედმეტია. ამასთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის ჩატარებული ხანძრის შემდგომი ინვენტარიზაცია, ხოლო, ვინაიდან ინვენტარიზაციის აქტი არ არსებობს, მისი შედეგებიც ვერ შეფასდება.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

12. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

13. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამტკიცებული იყო სააპე-



ლაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

14. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას სადავო ხელშეკრულების ქირავნობის ხელშეკრულებად კვალიფიკაციის თაობაზე და მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სსკ-ის 532-ე (გამქირავებელი მოვალეა გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა), 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის), 396-ე (მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლებს ეფუძნება.

15. საკასაციო საჩივრის მიხედვით, კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია ისაა, რომ გამოძიების მიერ ჯერჯერობით დაუდგენელი პირის მხრიდან, სავარაუდოდ, განზრახ გაჩენილი ხანძრის შედეგად მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის კასატორისათვის დაკისრება უკანონოა.

პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელე მოპასუხეს ხანძრის „წაკიდებას“ კი არ ედავება, არამედ მათ შორის გაფორმებული სავაჭრო ფართის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევაზე აპელირებს, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ სხვა მომსახურების განევაზეც, კერძოდ, ხელშეკრულების 2.4. და 5.1.4. პუნქტების თანახმად, დამქირავებელი ვალდებული იყო, მოპასუხისათვის გადაეხადა ელექტრომომარაგების, წყალ-

მომარაგების, გაზ-მომარაგების, დასუფთავებისა და სხვა მომსახურების გადასახადები. ეს უკანასკნელი რომ დაცვის გადასახადსაც გულისხმობდა, კასატორიც ადასტურებს. მისი განმარტების მიხედვით, დამქირავებელი ცალკე უნაზღაურებდა დაცვის თანხას. ამდენად, კასატორი იმასაც ადასტურებს, მის ვალდებულებაში ობიექტისა და მასში არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვის მომსახურების განევაც რომ შედიოდა (იხ. 03.11.2016 წლის უზენაესი სასამართლოს სხდომის ოქმი). აქედან გამომდინარე, გამომძიებით რომც დადგინდეს ხანძრის წამკიდებელი პირის ვინაობა, ეს მოპასუხის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ პასუხისმგებლობას ვერ გამოორიცხავს და ვერც შეამსუბუქებს. ამდენად, არსებითია, გაირკვეს მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი გამოიწვია თუ არა მოპასუხის ვალდებულების არაჯეროვანმა შესრულებამ.

16. დამქირავებლის წინაშე საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად დამქირავებელი იყენებდა დაცვის სამსახურს. ეს უკანასკნელი 2013 წლის 26 თებერვალს ხანძრის წაკიდებისას, იცავდა რა სავაჭრო ობიექტს, რომელშიც მოსარჩელის დამქირავებული ფართი იყო განთავსებული, ასრულებდა მოვალის (დამქირავებლის) ვალდებულებას. შესაბამისად, დაცვის თანამშრომელთა ქმედება განიხილება დამქირავებლის ქმედებად. მოპასუხესა და დაცვის სამსახურს შორის არსებული ხელშეკრულების თანახმად, დაცვის სამსახური ვალდებულია – „ორგანიზება გაუკეთოს და დაიცვას მატერიალური ფასეულობები და საზოგადოებრივი წესრიგი დასაცავ ობიექტზე 24 საათის განმავლობაში. თვალყური ადევნოს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას და ხანძრის შემთხვევაში გაუწიოს პირველადი დახმარება“.

17. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ხანძრის გაჩენის მიზეზი კი არ არის, არამედ ის, რამ გამოიწვია ხანძრის გავრცელება და შესაძლებელი იყო თუ არა ხანძრის მასშტაბისა და მიყენებული ზიანის თავიდან არიდება. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე დადგენილია, რომ ხანძრის სწრაფ გავრცელებას და განვითარებას ხელი შეუწყო მისმა დაგვიანებით აღმოჩენამ, ასევე, სახანძრო სამსახურის არასწორმა მოქმედებამ. ამავე დასკვნის მიხედვით, ხანძარი მასშტაბური გახდა, როგორც კერების არსებობის, ასევე, – ავეჯის ცენტრის დაცვისა და სახანძრო სამსახურების მხრიდან ხანძრის ჩაქრობის სანყის ეტაპზე მეთოდურად არასწორი მოქმედების გამო, აქედან ძირითადია: ხანძრის გვიან აღმოჩენა, 50-ლიტრიანი ცეცხლმაქრის გამოუყენებლობა და კერების ლოკალიზება.

18. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ 50-ლიტრიანი ცეცხლმაქრის გამოყენება შეუძლებელი იყო ამ უკანასკნელის ხანძრის კერასთან ახლოს არსებობისა და მასზე ცეცხლის დაცვენის გამო, რამდენადაც ეს გარემოება საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება. ამასთან, ექსპერტიზის დასკვნაში დაცვის მუშაკის განმარტებაზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ 50-ლიტრიანი „ოპ-50“ ცეცხლმაქრი არ იქნა გამოყენებული. ექსპერტს ცეცხლმაქრის გამოყენების შეუძლებლობაზე არ მიუთითებია, ხოლო ამ მტკიცებულების საწინააღმდეგო მტკიცებულება მოპასუხეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

19. რაც შეეხება კასატორის აპელირებას, რომ ექსპერტიზის დასკვნაში ტექნიკური უზუსტობაა დაშვებული, კერძოდ, მითითებულია, რომ „ვიდეომასალაზე ხანძრის საწყის პერიოდში 56 წუთის განმავლობაში არავინ არ ფიქსირდება“, რეალურად კი, 5-6 წუთზეა საუბარი. ჯერ ერთი, სახანძროს მისვლამდე 180 კვ.მ დაინვა და არადამაჯერებელია 5 წუთში ამხელა ტერიტორიის დანვა. მეორეც, თუ წუთებს შორის განსხვავება მხოლოდ ტექნიკური უზუსტობაა და არა – შინაარსობრივი, გამოდის, რომ ექსპერტმა სწორედ ეს დრო მიიჩნია დაგვიანებად. ამასთან, ექსპერტის დასკვნა ხანძრის გვიან აღმოჩენასთან დაკავშირებით, ყველა მტკიცებულების ანალიზს ეფუძნება და არა მხოლოდ ვიდეომასალას. ამდენად, თუნდაც 5-6 წუთზე იყოს მითითება, აღნიშნული არ ცვლის ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილ ფაქტს, რომ ხანძრის მასშტაბურობა განაპირობა დაცვის სამსახურის მიერ ხანძრის გვიან აღმოჩენამ.

20. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეს მტკიცებულებად არ დაურთო თავად სამხარულის ექსპერტიზის დასკვნის ავტორი ექსპერტების ახსნა-განმარტება, რომლითაც ისინი აბათილებდნენ თავიანთსავე დასკვნას ვალდებულების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით, პალატა არ იზიარებს და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინებას მითითებული მტკიცებულების საქმეზე დართვაზე უარის თქმის თაობაზე.

სსსკ-ის 171-ე მუხლის თანახმად, დასკვნის განმარტებისა და შევსების მიზნით ექსპერტს მხარემ შეიძლება, დაუსვას შეკითხვები, თუმცა ამავე მუხლის თანახმად, ექსპერტი დაიკითხება სასამართლოს პროცესზე, ხოლო, თუ ექსპერტის დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია, ასეთ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს დამატებით ექსპერტიზას (სსსკ-ის 173-ე მუხლი). მესამე პირის მიერ წარდგენილი ექსპერტთა წერილობითი ახსნა-განმარტება, უფ-

რო ზუსტად კი, მესამე პირის მიერ დასმულ შეკითხვებზე მათი პასუხი, რომელიც ემსახურებოდა ექსპერტიზის დასკვნის „განმარტებას“, არ არის დასაშვები მტკიცებულება, რამდენადაც ეს დოკუმენტები ვერ აკმაყოფილებს მტკიცებულების სტანდარტს და ვერ გამოდგება რაიმეს დასადასტურებლად, მით უფრო, არ არის ექსპერტიზის დასკვნის საპირწონე და მისი გამაბათილებელი მტკიცებულება.

20. ამდენად, მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენდა ბრალის არარსებობის მტკიცება, კერძოდ, რომ მან იმოქმედა დროულად, ეფექტურად და ხანძარი მაინც გავრცელდა. მოპასუხემ კი, სათანადოდ ვერ დაასაბუთა, რომ მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა, თუმცა ცეცხლის ლიკვიდაცია და ზიანის თავიდან არიდება შეუძლებელი იყო.

21. რაც შეეხება დაკისრებულ თანხას, კასატორის პრეტენზია ზიანის ოდენობის სასამართლოს მიერ გამოანგარიშებას უკავშირდება. მისი მტკიცებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა მოპასუხის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გამოირიცხავს პალატის მიერ დაკისრებული ოდენობით ზიანის არსებობას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას სასამართლოს მხრიდან ექსპერტიზის დასკვნის არასწორი შეფასების თაობაზე და განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი დადგენილია სსსკ-ის 105-ე მუხლით (სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ) რომლის თანახმადაც, სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, რა დროსაც მათ როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად სწავლობს, სწორედ ამ გზით არკვევს სასამართლო კონკრეტული მტკიცებულების დამაჯერებლობას, მის იურიდიულ სარწმუნოობას. მოცემული ნორმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექსპერტის დასკვნასთან მიმართებით. სსსკ-ის 172-ე მუხლის მიხედვით, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის. მან ექსპერტიზის დასკვნის კრიტიკული განხილვის შედეგად უნდა ჩამოიყალიბოს საკუთარი აზრი.

22. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ ხანძრის შედეგად განადგურებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების მტკიცების მიზნით წარადგინა აუდიტორული დასკვნა,

რომლის თანახმადაც, განადგურებული საქონლის საბალანსო ღირებულება 36 974.37 ლარია. ამასთან, მოსარჩელემ ამავე დასკვნაზევე დაყრდნობით მოითხოვა საქონლის სარეალიზაციო ფასი – 52 400 ლარი.

თავის მხრივ, მოპასუხემ წარმოადგინა ალტერნატიული აუდიტორული დასკვნა, რომელიც კითხვაზე – 2013 წლის 16 თებერვლისათვის რა რაოდენობისა და ფასეულობის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ერიცხებოდა მოსარჩელეს? ექსპერტი პასუხობს – 28 227 ლარის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, თუმცა მიუთითებს, რომ მხოლოდ 8 887 ლარის საქონელი იყო განთავსებული შემთხვევის ადგილას.

23. სააპელაციო სასამართლომ გაანალიზა ორივე დასკვნის შინაარსი სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად, კერძოდ, ზიანის თანხის განსაზღვრას საფუძვლად დაუდო 2012 წლის მოგების დეკლარაცია, საიდანაც დაადგინა 2013 წლის 1 იანვრისათვის დამქირავებლის სახელზე რიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება და 2013 წლის იანვარ-თებერვალში მოსარჩელის მიერ გასხვისებული და შეძენილი საქონლის თვითღირებულებები. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მოსარჩელეს პირველი იანვრისათვის ერიცხებოდა 51 117 ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, მან 2013 წლის იანვარში გაყიდა 11 028.3 ლარის (თვითღირებულების) საქონელი, ხოლო თებერვალში – 5 753 ლარის. ამასთან, 2013 წლის თებერვალში მოსარჩელემ შეიძინა 19 468 ლარის საქონელი, რის გამოც ხანძრის გაჩენამდე მას 53 804 (51 117 – 11 028.3 – 5 753 + 19 468) ლარის საქონელი ჰქონდა.

24. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა, რომ ხანძრის შემდგომი ინვენტარიზაციით დადგენილი საქონლის ნაშთის ღირებულება – 28 227 ლარი იყო. ამ დასკვნის გასაბათილებლად მოპასუხემ წონადი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა. მითითება, რომ ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით არ ჩატარებულა, ინვენტარიზაციის აქტსა და აუდიტის დასკვნას ვერ აბათილებს. ამასთან, ვერც მოპასუხის მიერ წარდგენილი აღნიშნულთან დაკავშირებული დასკვნა სათანადოდ ვერ აქარწყლებს მოსარჩელის მიერ წარდგენილ დასკვნას. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ ხანძრის შედეგად განადგურებული საქონლის ღირებულება 25 577 (53 804 – 28 227) ლარი იყო.

25. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლი-

ვი ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლო იზიარებს შეფასებას იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირი სწორედ მოპასუხე კომპანიაა. პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ სასამართლომ დაარღვია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების, მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ხანძრის შედეგად განადგურებული მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება სწორად განსაზღვრა. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა ვერ შეძლო დამაჯერებელი და სამართლებრივად ნონადი არგუმენტების წარმოდგენა, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

26. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა. კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ე-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნარღობა

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-871-821-2015

5 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** გამოსყიდვის უფლებით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემის დავალდებულება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. 2011 წლის 15 ივლისს ბინათმშენებლობა ამხანაგობა „ს-სა“ (შემდეგში ამხანაგობა) და გ. კ-ეს (შემდეგში ბინის მყიდველი ან მოსარჩელე) შორის გაფორმდა „უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება“ (შემდეგში ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება). ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა – ქ. ბათუმში, ფ-ის ქ. №4-ში, ასაშენებელ მრავალსართულიან სახლში, მყიდველისათვის საცხოვრებელი სახლის საკუთრებაში გადაცემა და, ამასთან დაკავშირებით, ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმება საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ. ხელშეკრულების მე-3 მუხლით, მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის ფასზე (32 200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში) და მისი გადახდის წესზე (თანხის გადახდა მოხდებოდა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღეს). ამასთან, ხელშეკრულებით განისაზღვრა სახლის მშენებლობის დასრულების ვადა – 31.01.2012წ. იანვრამდე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 327-ე მუხლის პირველი ნაწილი, 477-ე, 629-ე მუხლები; იხ. ხელშეკრულება).

2. მყიდველმა ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული ქონების ნასყიდობის ფასი სრულად გადაიხადა.

3. ამხანაგობამ დაადასტურა, რომ ქ. ბათუმში, ფ-ის ქ. №4-ში მდებარე მშენებარე მრავალბინიან სახლში, №14 ბინის ადრინდელი ნომერი იყო 9. ბინაში ამჟამადაც ცხოვრობს მყიდველი.

4. 2013 წლის 25 ოქტომბერს ამხანაგობასა და ა. თ-ას (შემდეგში მოპასუხე, კასატორი, მეორე მყიდველი ან ბინის მესაკუთრე) შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, გა-

მოსყიდვის უფლებით, რომლის თანახმად, ამხანაგობამ მეორე მყიდველს მიჰყიდა წინამდებარე განჩინების მე-3 პუნქტში მითითებული უძრავი ქონება – ბინა № 14 (ფართი 81.75 კვ.მ., ს/კ №...). ხელშეკრულების თანახმად, მეორე მყიდველმა ბინა შეიძინა 27000 აშშ დოლარად (სსკ-ის 477-ე, 509-ე, 510-ე მუხლები).

5. 2013 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, გამოსყიდვის უფლება განისაზღვრა სამი თვით, 2014 წლის 25 იანვრის ჩათვლით, ამხანაგობას გამოსყიდვის უფლებით არ უსარგებლია (სსკ-ის 509-ე, 514-ე მუხლები).

6. უძრავი ქონება, საჯარო რეესტრის მონაცემებით, აღიცხებულია მეორე მყიდველის საკუთრებად (სსკ-ის 183-ე, 310-ე, 312-ე მუხლები; იხ. განჩინების მე-3, მე-4 პუნქტები).

7. მყიდველმა 2014 წლის 27 იანვარს სარჩელი აღძრა სასამართლოში ამხანაგობისა და ბინის მესაკუთრის წინააღმდეგ, მათ შორის, გამოსყიდვის უფლებით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემის დავალდებულების მოთხოვნით. სარჩელზე შესაგებელი წარადგინა მხოლოდ ამხანაგობამ.

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მყიდველის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. სასამართლომ დადგენილად ცნო წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას იხელმძღვანელა სსკ-ის 50-ე, 327.1, 477-ე 629-ე, 56-ე, 183-ე, 185-ე, 312-ე მუხლებით.

10. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სადავო გარიგება იყო ნამდვილი, მხარეებმა გამოხატეს ნასყიდობის ხელშეკრულების, გამოსყიდვის უფლებით, დადების ნება, ხოლო ფაქტობრივი გარემოება, იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის სინამდვილეში დაიდო სესხის ხელშეკრულება (სესხის ძირითადი თანხა იყო 25 000 აშშ დოლარი, 3 თვის საპროცენტო სარგებელი – 2000 აშშ დოლარი), საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებებით, არ დადასტურდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ ადასტურებდა 2013 წლის 25 ოქტომბერს, ამხანაგობასა და მეორე მყიდველს შორის, გამოსყიდვის უფლებით, გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების მოჩვენებითობას ან/და თვალთმაქცურობას (სსკ-ის 56-ე მუხლი).

11. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი



15.07.2011 წლის ხელშეკრულების სახელწოდების – უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება – მიუხედავად, თავისი არსით, მხარეთა შორის იყო გარიგება ნარდობაზე (სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილი და 629-ე მუხლი).

12. სასამართლომ მიუთითა მოსარჩელის პრეტენზიაზე, რომ ამხანაგობას მისთვის სადავო ფართზე (ბინაზე) საკუთრების უფლება არ გადაუცია, რის გამოც, მოითხოვა ამხანაგობასა და მეორე მყიდველს შორის 2013 წლის 25 ოქტომბერს, გამოსყიდვის უფლებით, გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც თვალთმაქცური გარიგების, ბათილობა და ამხანაგობის დავალდებულება, მყიდველისათვის საკუთრებაში გადაეცა სადავო ბინა (სსკ-ის 56-ე, 477-ე, 509-ე, მუხლები; იხ. განჩინების მე-3 პუნქტი).

13. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება თვალთმაქცური გარიგება იყო და რეალურად სესხის ხელშეკრულებას წარმოადგენდა, რასაც ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი შესაგებელიც ადასტურებდა, რომლითაც მოპასუხე ამხანაგობა აღიარებდა სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს.

14. სასამართლომ აღნიშნა, რომ ნასყიდობის ფასის შეუსაბამობა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებასთან, ვერ გახდებოდა გარიგების ბათილობის კანონიერი საფუძველი, მით უფრო ისეთ ვითარებაში, როდესაც, ხელშეკრულების მიხედვით, ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 27000 აშშ დოლარად, რაც არ იყო საბაზრო ღირებულებასთან აშკარა შეუსაბამობა, ამასთან, მხარეებმა თავად განსაზღვრეს ნასყიდობის ფასი, რაც მთლიანად ხელშემკვერელ მხარეთა ნებაზე იყო დამოკიდებული.

15. სასამართლომ განმარტა, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით, უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგების მიმართ, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ის კანონიერია, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით დადებული გარიგების ბათილობის მოთხოვნის არსებობის პირობებში, ასეთი მოთხოვნის მქონე პირმა უნდა ამტკიცოს გარიგების ბათილობის საფუძველების არსებობა. განსახილველ შემთხვევაში, გარიგების ბათილობას არა გარიგების მონაწილე მხარე, არამედ მესამე პირი ითხოვდა იმ საფუძველით, რომ გარიგების მხარეები არ ისახავდნენ მიზნად გარიგების სამართლებრივი შედეგის დადგომას და აღნიშნული გარიგება იყო თვალთმაქცური. ასეთ ვითარებაში, სწორედ მესამე პირის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა იმ ფაქტის დადასტურება, რომ ამხანაგობას არ სურდა უძრავი ქონების გაყიდვა, ხოლო მეორე მყიდველს – ამ ქონების შეძენა. სასამართლომ განმარტა, რომ გარიგების მოჩვენებითად მიჩ-

ნების მიზნებისათვის, დადასტურებულ უნდა იქნეს გარიგების ორივე მხარის განზრახვა, რომ არ დადგეს ამ გარიგების გაფორმების შედეგად ის სამართლებრივი შედეგი, რაც სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას მოჰყვება (სსკ-ის 56-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ, 102-ე მუხლი).

16. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება გარიგების მოჩვენებითობასთან დაკავშირებით. დადგინდა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მეორე მყიდველი აღირიცხა მესაკუთრედ საჯარო რეესტრში. საქმის მასალებით არ დადასტურდა, რომ მეორე მყიდველმა იცოდა უძრავი ქონების სადავოობის თაობაზე, ასევე, მისი განზრახვა, ან თუნდაც მოტივი, შეექმნა გარიგების დადების იმიტაცია. სადავო გარიგების ბათილად ცნობის საფუძველების არარსებობა, გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილებას იმ ნაწილში, რომლითაც მოთხოვნილ იქნა საკუთრების უფლების მყიდველისათვის გადაცემის დავალდებულება. აღნიშნული მსჯელობის შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მყიდველის სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

17. მყიდველმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორი (მისი წარმომადგენელი) არ გამოცხადებულა სააპელაციო სასამართლოში, საქმის განხილვისას, სხდომაში მოპასუხის მხარეზე მონაწილეობდა მხოლოდ ამხანაგობა.

## **18. სააპელაციო საჩივარში მყიდველმა მიუთითა:**

18.1. წინამდებარე განჩინების მე-10 პუნქტში მითითებულ გარემოებაზე.

18.2. სსსკ-ის 131-ე მუხლის თანახმად, „ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძველად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას“. სსსკ-ის 133-ე მუხლის თანახმად „მხარეს შეუძლია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე გააქარწყლოს (უარყოს) თავისი აღიარება, თუ დაამტკიცებს, რომ ეს აღიარება იყო შეცდომის შედეგი და განპირობებული იყო ისეთი გარემოებით, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის აღიარების შემდეგ, ანდა მასზე ფსიქიკური თუ ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც გამოცხადდა მის თავისუფალ ნებას“. სასამართლომ არცერთ სხდო-

მაზე ამხანაგობას არც კი გამოუთქვამს პრეტენზია თავისი აღიარების უზუსტობის შესახებ, შესაბამისად, ის მთელი სასამართლო დავის განმავლობაში ადასტურებდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მასა და მეორე მყიდველს შორის რეალურად დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება და არა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, გამოსყიდვის უფლებით.

18.3. აღნიშნულ დავაზე მოპასუხემ – მეორე მყიდველმა არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა შესაგებელი, თუმცა, ვინაიდან საქმეში ორი მოპასუხე იყო, სასამართლომ არ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში, საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, მეორე მყიდველს აღარ ჰქონდა უფლება, ფაქტობრივ გარემოებებზე მიეთითებინა. მეორე მყიდველის მიერ შესაგებლის წარუდგენლობით არაპირდაპირ დადასტურდა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2013 წლის 25 ოქტომბრის „უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით“ არარეალური და თვალთმაქცური გარიგება იყო. უფრო მეტიც, მეორე მყიდველის წარმომადგენელი, სასამართლოს მთავარ სხდომაზე, სასარჩელო მოთხოვნის უარყოფის ერთადერთ საფუძვლად იმ გარემოებაზე უთითებდა, რომ მეორე მყიდველმა შეიძინა ბინა №14, მყიდველს კი ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება დადებული ჰქონდა №9 ბინაზე.

18.4. მყიდველის განმარტებით, საცხოვრებელი ბინის გასაღები მას აქვს და ბინის სანახავად, ან/და სარგებლობის მიზნით არავის მისულა. საცხოვრებელი ბინა 2013 წლის შემოდგომიდან დღემდე მან გაარემონტა და პრეტენზია ბინის რემონტთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს. მყიდველმა საცხოვრებელი ბინა ჯერ კიდევ მაშინ შეიძინა, როცა მხოლოდ საძირკველი იყო ჩასხმული, ხოლო მეორე მყიდველმა უკვე აშენებული და გარემონტებული ბინა 27000 აშშ დოლარად შეისყიდა, რითაც დასტურდება გადახდილი ნასყიდობის თანხის არარეალურობა. საქმის განხილვის დროისათვის, ბინის ღირებულება დაახლოებით 60000-70000 აშშ დოლარია.

18.5. მყიდველის მოსაზრებით, დაუდგენელი და უცნობია, თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაადგინა სასამართლომ 2013 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულების ნამდვილობა. მოსამართლე გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებაში მხოლოდ აღნიშნავს, რომ სადავო ხელშეკრულების თვალთმაქცურობის დადასტურებას ორივე მხარის აღიარება უნდა, თუმცა, არ უთითებს იმაზე, რომ მეორე მყიდველს შესაგებელი არ წარუდგენია, შესაბამისად, სადავოდ არ და ვერ გახადა აღნიშნული ფაქტი. 18.6. სააპელაციო საჩივრის პრეტენზია იმასაც ეხება, რომ სასამართლომ არასწორად მიიჩნია ის გარემოება, რომ წინამდებარე განჩინების პირ-

ველ პუნქტში მითითებული ხელშეკრულება არის არა უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, არამედ ნარდობის ხელშეკრულება. მყიდველის მტკიცებით, მის სარჩელში მითითებული ფაქტი, რომ მასსა და ამხანაგობას შორის დაიდო უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, მოპასუხე ამხანაგობამ დაადასტურა. მყიდველის მოსაზრებით, სასამართლოს პროცედურულად არ ჰქონდა უფლება, მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება ნარდობის ხელშეკრულებად მიეჩნია, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ მყიდველისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა აღნიშნულ შეფასებას, რადგან ნარდობის ხელშეკრულებითაც იგივე ვალდებულება წარმოეშობოდა ამხანაგობას მყიდველის წინაშე, რაც ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებიდან.

19. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით მყიდველის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, მყიდველის სარჩელი დაკმაყოფილდა. ამხანაგობასა და მეორე მყიდველს შორის 2013 წლის 25 ოქტომბერს დადებული „უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით“, როგორც თვალთმაქცური გარიგება, ბათილად იქნა ცნობილი.

20. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა, რომ ამხანაგობასა და მყიდველს შორის ურთიერთობა გამომდინარეობდა ნარდობის ხელშეკრულების ნორმებიდან და არა უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებიდან.

21. სასამართლომ განმარტა, რომ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით არ დგინდებოდა, პირიქით, მოპასუხე ამხანაგობის ვალდებულება იყო, თანხის გადახდის სანაცვლოდ, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ამხანაგობას მყიდველისათვის საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება. დავა სწორედ იმიტომ წარმოიშვა, რომ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა ამხანაგობამ, ხოლო მყიდველმა, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულება პირნათლად შეასრულა: გარიგების ხელმოწერისთანავე სრულად გადაიხადა ნასყიდობის ფასი.

22. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო 25.10.13 წლის გარიგება, გაფორმებული ამხანაგობასა და მეორე მყიდველს შორის, თვალთმაქცურ გარიგებას წარმოადგენდა, ვინაიდან მისი მიზანი იყო სხვა გარიგების დაფარვა. მხარეებმა სადავო გარიგების დადებისას დაფარეს სესხის შესახებ შეთანხმება. სააპელაციო სასამარ-

თლომ განმარტა, რომ საქალაქო სასამართლოს სადავო ხელშეკრულება უნდა დაეკვალიფიცირებინა, როგორც თვალთმაქცური გარიგება და იგი ბათილად უნდა ეცნო.

23. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უდავოდ დადგინდა, რომ ამხანაგობასა და მეორე მყიდველს შორის, 2013 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულებით, მხარეთა შორის არსებული სხვა შეთანხმება დაიფარა, ანუ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, გამოსყიდვის უფლებით, ამხანაგობასა და მეორე მყიდველს შორის დაიდო თვალთმაქცურად, სხვა გარიგების (სესხის ხელშეკრულება) დაფარვის მიზნით, რის გამოც იგი ბათილ გარიგებას წარმოადგენდა.

24. სასამართლომ აღნიშნა, რომ გარიგების თვალთმაქცურობას ერთ-ერთი მოპასუხე, ამხანაგობა ადასტურებდა. იგი აღიარებდა, რომ ნასესხები თანხა მეორე მყიდველს ვერ გადაუხადა, რის გამოც ამ უკანასკნელთან 2013 წლის 25 ოქტომბერს სადავო გარიგება გააფორმა, რომლის საფუძველზეც მეორე მყიდველს მიჰყიდა მოსარჩელისათვის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით გადასაცემი ბინა. ამხანაგობას სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით დადგენილ სამთვიან ვადაში არ გამოუსყიდია გასხვისებული ქონება. უფრო მეტიც, ამხანაგობა შესაგებელში აღიარებდა, რომ არ ჰქონდა მნიშვნელობა, სასამართლო რას დაადგენდა, ვინაიდან მყიდველის წინაშე ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მაინც შესასრულებელი ჰქონდა. მოცემულ ფაქტობრივ გარემოებაზე ვერ იდავებდა ბინის მესაკუთრე, რადგან მან, თავის დროზე, არ წარადგინა სასამართლოში შესაგებელი და არ გააქარწყლა მოსარჩელის მიერ მითითებული ეს გარემოება, შესაბამისად, ამაზე მოგვიანებით მითითება, სსსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელი იყო. ასეთ შემთხვევაში კი, ამხანაგობის აღიარება სადავო გარიგების თვალთმაქცურობის დადასტურებაზე, მყიდველის სარჩელის დაკმაყოფილებისათვის საკმარის საფუძველს წარმოადგენდა.

25. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან სადავო ხელშეკრულება თვალთმაქცურ გარიგებას წარმოადგენდა და ამის საფუძველზე, მეორე მყიდველს სხვისი ბინა გადაეცა საკუთრებაში, ამხანაგობას უნდა შეესრულებინა 2011 წლის 15 ივლისის გაფორმებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება და მყიდველისათვის საკუთრებაში გადაეცა ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონება.

26. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას იხელმძღვანელა სსკ-ის 50-ე, 54-ე, 56-ე, 319-ე, 317-ე, 327-ე მუხლებით, სსსკ-ის მე-4, 102-ე, 105-ე 131-ე, 133-ე,

232<sup>1</sup>-ე მუხლებით.

27. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მეორე მყიდველმა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნება.

**28. საკასაციო საჩივარი დამყარებულია შემდეგ საფუძვლებზე:**

28.1. დავის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ის გარემოება, რომ კასატორს სასამართლო უწყება სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაჰბარდა. სასამართლოს დასკვნა, რომ 2015 წლის 3 ივნისის უწყება მისი ოჯახის წევრს, მ. გ-ეს ჩაჰბარდა, არასწორი და მცდარია. მ. გ-ე არ არის მისი ოჯახის წევრი, იგი მისი ნაცნობია, რომელსაც მეუღლესთან ერთად, იჯარით აქვს აღებული ქ. ბათუმში, ...-ს ქ. №68-ში მდებარე, მისი საადვოკატო ბიუროს გვერდით არსებული, ოთახი. იმის გამო, რომ სასამართლო უწყების ჩაბარების მომენტში კასატორი ადგილზე არ იმყოფებოდა, ფოსტის თანამშრომელმა მისთვის გადასაცემი გზავნილი მ. გ-ეს დაუტოვა. იმ პერიოდში, კასატორი 2015 წლის 14 მარტიდან 2015 წლის 13 ივლისამდე რუსეთის ფედერაციაში იმყოფებოდა, ამიტომ შეუძლებელი იყო, მ. გ-ისაგან ჩაებარებინა სასამართლო უწყება, ამასთან, ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს უწყება მის მარწმუნებელს არ გაგზავნია და მისთვის უცნობი იყო სასამართლო სხდომის თარიღი, შესაბამისად, სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რითაც მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი პრინციპი არსებითად დაირღვა, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს.

28.2. მყიდველსა და ამხანაგობას შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, ანუ იგი ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებას წარმოადგენს. კასატორის განმარტებით, სსკ-ის 68-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა, ხოლო 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. სსკ-ის 183-ე მუხლის მიხედვით, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებებით განსაზღვრული უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამასთან, სსკ-ის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორ-

მა ვრცელდება წინარე ხელშეკრულებაზეც, რომელიც წარმოადგენს ჩვეულებრივ ხელშეკრულებას.

28.3. კასატორის მოსაზრებით, მოხმობილი ნორმებიდან გამომდინარე, მყიდველი ვალდებული იყო, ამხანაგობასთან დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, მისი დადებისთანავე, დაერეგისტრირებინა, ხოლო თვითონ ქონების მომავალ მესაკუთრედ დარეგისტრირებულიყო. ასეთ შემთხვევაში, კასატორი ამ ქონების მესაკუთრე ველარ გახდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირდა, ამიტომაც იგი ბათილ გარიგებას წარმოადგენს, რასაც არ შეიძლება რაიმე იურიდიული ძალა გააჩნდეს, შესაბამისად, შეუძლებელია მყიდველს იურიდიული ინტერესი ჰქონოდა კასატორსა და ამხანაგობას შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. კასატორის მტკიცებით, ამ არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველად ბათილ გარიგებაზე მიუთითა.

28.4. სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე გაიზიარა ამხანაგობის ე.წ „აღიარება“, რომ მან ბინის მესაკუთრესთან რეალურად სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დადო და არა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, გამოსყიდვის უფლებით. არც მყიდველსა და არც ამხანაგობას არ წარმოუდგენიათ ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, პირიქით, სააპელაციო შესაგებელში ამხანაგობა მიუთითებდა, რომ თავდაპირველად, კასატორს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება შესთავაზა, რაზეც იგი არ დათანხმდა, ამის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაეფორმებინათ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, გამოსყიდვის უფლებით. კასატორის მოსაზრებით, ამ განმარტებიდან დასტურდება მხარეთა ნება, გამოსყიდვის უფლებით, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, რაც გამორიცხავს ნების ნაკლის არსებობასა და მხარეთა მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისადმი თვალთმაქცურ დამოკიდებულებას.

28.5. კასატორის მტკიცებით, მასა და ამხანაგობას შორის 2013 წლის 25 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებით დგინდება, რომ ამხანაგობამ გაჰყიდა, ხოლო კასატორმა შეიძინა ბინა, ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 27 000 აშშ დოლარით. ამავე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით, გამოსყიდვის ვადად განისაზღვრა სამი თვე. ხელშეკრულება კანონით დადგენილი წესით დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მეორე მყიდ-

ველმა გამოხატა კეთილი ნება და კვლავ სამი თვით გაუგრძელა ამხანაგობას გამოსყიდვის ვადა, თუმცა, ამ უკანასკნელს, უძრავი ქონების გამოსასყიდად, რაიმე ნაბიჯი არ გადაუდგამს, რის გამოც, კასატორმა 2014 წლის 12 თებერვალს საჯარო რეესტრს მიმართა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეწყვეტის მოთხოვნით. ამ მტკიცებულებათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეებს შორის რეალურად სარგებლიანი სესხის ხელშეკრულება დაიდო, თუმცა, საქმეში არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც ამხანაგობისგან სესხისათვის სარგებლის თანხის მიღების ფაქტს დაადასტურებდა.

28.6. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ის უტყუარი მტკიცებულებები, რომ 2013 წლის 25 ოქტომბერს, კასატორის მიერ უძრავი ქონების შექენის დროისათვის, ქონების მესაკუთრედ საჯარო რეესტრში მხოლოდ ამხანაგობა იყო რეგისტრირებული და ამ ქონებაზე რაიმე სამართლებრივი შეზღუდვა არ არსებობდა.

28.7. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულების გარეშე, უსაფუძვლოდ და უკანონოდ ჩამოართვა მას და მყიდველს გადასცა კონსტიტუციით გარანტირებული და დაცული საკუთრება, ისე, რომ არ დაუდგენია, თუ ვინ იყო ამ ქონების მესაკუთრე. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, სასამართლომ, დავის გადაწყვეტისას, უპირატესობა მიანიჭა ამხანაგობასა და მყიდველს შორის ფორმის დაუცველად დადებულ, ბათილ გარიგებას, ამასთან, იგნორირება გაუკეთა, კანონით დადგენილი წესით, მასა და ამხანაგობას შორის დადებულ გარიგებას. კასატორი უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენია და მისთვის ამ ქონების ჩამორთმევა უკანონოა (სსკ-ის 185-ე, 312-ე მუხლები).

28.8. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 5.1. პუნქტის დასკვნა ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა, ვინაიდან გაუგებარია, რა დაადგინა საბოლოოდ სასამართლომ, რა მიზნით დაიდო მეორე მყიდველსა და ამხანაგობას შორის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით. 28.9. კასატორის განმარტებით, ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით, მყიდველს საკუთრებაში უნდა გადასცემოდა ბინა №9 და არა ბინა №14. მართალია, ამხანაგობა განმარტავს, რომ ბინა №14-ს ადრინდელი ნომერი იყო 9, თუმცა, საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც ბინის ნუმერაციის შეცვლის ფაქტს დაადასტურებდა. სააპელაციო სასამართლოს არც ის გაურკვევია, თუ როდის, რა მიზეზით და ვინ შეცვალა ბინების ნუმერაცია, თუკი ასეთი ფაქტი მართლაც იყო.

29. კასატორი ითხოვს ზემოხსენებული პრეტენზიების საფუძ-



ველზე, საქმის ხელახლა დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში, სხვა შემადგენლობისათვის.

30. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2015 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით, წარმოებაში მიიღო საკასაციო საჩივარი სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 26 ნოემბრის განჩინებით, დასაშვებად ცნო დასახელებული ნორმის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუქტების საფუძველზე და, საქმის არსებითად განხილვისათვის, ზეპირ მოსმენაზე მოიწვია მხარეები.

31. საკასაციო პალატის 2016 წლის 5 თებერვლის სხდომაზე გამოცხადებულმა მხარეებმა საკუთარი არგუმენტები წარმოადგინეს.

32. კასატორმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და დამატებით განმარტა, რომ ამხანაგობას სჭირდებოდა თანხა, ამიტომაც დაიდო ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით, თუმცა, შემდეგ ამხანაგობას არ გამოუსყიდია ეს ქონება.

33. მოწინააღმდეგემ მხარი დაუჭირა სააპელაციო შესაგებელს, მოითხოვა საკასაციო საჩივრის უარყოფა და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა გამომდინარეობდა ნასყიდობიდან, ამხანაგობასა და მყიდველს შორის დაიდო ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, აქ იყო წარდობისათვის დამახასიათებელი ელემენტებიც, თუმცა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, რადგან დადგენილია ფაქტები, რომ მყიდველმა სრულად გადაიხადა გარიგებით გათვალისწინებული საფასური, მან გაარემონტა და დღემდე ოჯახით ცხოვრობს სადავო ბინაში. ამხანაგობასა და კასატორს შორის დადებული გარიგება იყო თვალთმაქცური, რეალურად დაიფარა სესხის ხელშეკრულება, ამ ურთიერთობას საქმისწარმოების ყველა ეტაპზე აღიარებდა ამხანაგობა, ხოლო კასატორს არ წარუდგენია შესაგებელი, რითაც მან დაკარგა სამართლებრივი შედავების უფლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

34. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარ-

ტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვე-პუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება);

35. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დამატებით კვლევას საჭიროებს მხარეთა – ამხანაგობასა და მყიდველს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა, კერძოდ, წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომელიც თავისი შინაარსიდან, და არა სათაურიდან, გამომდინარე, მხარეთა შორის ნარდობის ურთიერთობის მონესრიგებას უფრო ასახავს, ვიდრე ნასყიდობის ხელშეკრულებას. საკასაციო სასამართლოს ამგვარი დასკვნის საფუძველს აძლევს მხარეთა შორის 2011 წლის 15 ივლისს ხელმოწერილი ხელშეკრულების პირველი მუხლის შინაარსი, რომლის მიხედვით, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „...ასაშენებელ მრავალსართულიან სახლში „მყიდველისათვის“ საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემა და, ამასთან დაკავშირებით, ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმება საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ“ (იხ. ხელშეკრულება). საკასაციო სასამართლო, სსკ-ის 629-ე მუხლზე მითითებით, განმარტავს, რომ 15.07.2011წ. გარიგებით მხარეები შეთანხმდნენ გარკვეული სამუშაოს შესრულებაზე და არა, გამყიდველის მიერ, ქონებაზე მყიდველისათვის საკუთრების უფლების, მასთან დაკავშირებული საბუთების გადაცემაზე, რაც გამყიდველის მოვალეობაა, როგორც ეს სსკ-ის 477-ე მუხლითა დადგენილი. ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება ეხებოდეს მყიდველისათვის უკვე არსებული ქონების გადაცემას, განსახილველ შემთხვევაში, ეს უნდა ყოფილიყო აშენებულ და არა ასაშენებელ სახლში, საცხოვრებელი ბინა. მოხმობილი ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ამხანაგობასა და მყიდველს შორის ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა გაფორმდა, არ იყო სავალდებულო, აღნიშნული გარიგება წერილობით გაფორმებულიყო, შესაბამისად, ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომელიც, თავისი არსით ნარდობის გარიგება იყო, არ მოითხოვდა სსკ-ის 183-ე მუხლით დადგენილი წერილობითი ფორმის დაცვასა და შემძენზე განსაზღვრული საკუთრების უფლების, თუნდაც სამომავლო უფლების რეგისტრაციას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრი-

ვი შეფასება უნდა მისცეს 15.07.2011 წლის გარიგებას და დამატებით გამოიკვილოს აღნიშნული საკითხი (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება).

36. ამ განჩინების 35-ე პუნქტში განვითარებული მსჯელობის მიზანია, მართებულად შეფასდეს სადავო საქმეზე მხარეთა შორის არსებული შეთანხმებების არსი და მიზანი, სწორედ ამ კონტექსტში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვილოს და შეაფასოს ამხანაგობასა და მეორე მყიდველს (კასატორს) შორის 2013 წლის 25 ოქტომბერს ხელმოწერილი ხელშეკრულება, კერძოდ, გაანალიზებას საჭიროებს დასახელებული გარიგების 3.1. პუნქტი, რომლის მიხედვით გამყიდველი (ამხანაგობა) ვალდებულია დაუბრუნოს მყიდველს 27 000 აშშ დოლარი სამ თვეში, 2014 წლის 25 იანვრის ჩათვლით. სსკ-ის 509-ე მუხლზე მითითებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „თუ გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს გამყიდველის უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებით განკარგოს გამოსყიდვის უფლების გამოყენების საკითხი. გამოსყიდვის უფლების რეალიზაცია ცალმხრივი ნების გამოვლენას წარმოადგენს და მისი ნამდვილობა უკავშირდება როგორც ნების სწორ ფორმირებას, ისე გამოხატვის პროცესის სათანადოდ დასრულებას. ამასთანავე, გამოსყიდვის უფლების ბუნებიდან გამომდინარე, იგი წარმოადგენს რა მიღებასავალდებულო ნებას, ასეთი ნების ნამდვილობის კიდევ ერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს ნების ადრესატთან მისვლა, რამდენადაც, გამოსყიდვის უფლება, სამოქალაქო კოდექსის 514-ე მუხლით შეიძლება მხოლოდ დროის გარკვეული პერიოდით იყოს შეზღუდული, ხოლო ამავე კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა“ (სუსგ №ას-167-155-2015, 14.05.2015წ.) საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გამყიდველისათვის ნასყიდობის ხელშეკრულებით მინიჭებული გამოსყიდვა არის უფლება და არა ვალდებულება, შესაბამისად, კასატორსა და ამხანაგობას შორის 25.10.2013წ. გაფორმებული ხელშეკრულების 3.1. პუნქტიდან გამომდინარე (იხ. ხელშეკრულება), ამხანაგობამ, როგორც გამყიდველმა იკისრა ვალდებულება, სამ თვეში დაებრუნებინა მყიდველისათვის საცხოვრებელი ბინის საფასური, აღნიშნული შეთანხმება, თავისი შინაარსით, ეწინააღმდეგება, ნასყიდობისას, გამოსყიდვის შესაძლებლობის სამართლებრივ ბუნებას, რადგან გამოსყიდვის ნების გამოხატ-

ვა გამყიდველზეა დამოკიდებული და ასეთი ნების იძულებად გადაქცევა, ეწინააღმდეგება სსკ-ის 509-ე მუხლის მიზანს, უფლების განხორციელების შესაძლებლობა კი კონკრეტული ვადითაა ლიმიტირებული (სსკ-ის 514-ე მუხლი). მითითებული მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს, კასატორსა და ამხანაგობას შორის 25.10.2013 წ. გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი.

37. საკასაციო სასამართლო უთითებს გასაჩივრებული გადანყვებილების 4.28-4.31 პუნქტებზე, რომლებშიც სააპელაციო სასამართლო მსჯელობას ავითარებს, რომ მხარეთა შორის თვალთმაქური გარიგება დაიდო (სსკ-ის 56-ე მუხლი), რეალურად, სესხის ხელშეკრულების დასაფარად, დაიდო ნასყიდობა, გამოსყიდვის უფლებით. აღნიშნული საკითხი დამატებით კვლევასა და შეფასებას მოითხოვს, რადგან თუკი მხარეებმა გარიგებით სასესხო ურთიერთობა დაფარეს, მაშინ სავალდებულოა მისი უზრუნველყოფის – იპოთეკის საკითხის გამოკვლევა, რაც განსახილველ შემთხვევაში არ მომხდარა (სსკ-ის 623-ე, 286-ე, 289-ე). „თვალთმაქცური გარიგების დროს, მართალია, ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ, თუმცა არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარეები თანხმდებიან. ამგვარი გარიგების მიზანს წარმოადგენს იმ გარიგების დაფარვა, რომლის მიღწევის სურვილი მხარეებს რეალურად გააჩნიათ. ამ შემთხვევაში არსებობს ორი გარიგება, ერთი თვალთმაქცური და მეორე – რომელიც მხარეებმა უშუალოდ გაითვალისწინეს. ამდენად, თვალთმაქცური გარიგება ერთგვარად ფარავს ნამდვილ გარიგებას, შესაბამისად, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და იგი ბათილია. თუმცა, ამ საფუძველით გარიგების ბათილობას გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია მხარეთა რეალური ნების გათვალისწინებით. ხშირ შემთხვევაში, მხარეები ვერ ერკვევიან, რა შინაარსის ხელშეკრულების გაფორმება სურთ ან კიდევ ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან გარიგების სხვადასხვა ტიპებს. სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას ანიჭებს ხელშეკრულების სუბიექტებს, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობით და მხარეთა შეთანხმების მიმართ გამოიყენონ ის მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია იმ გარიგებისათვის, რომლის მიღწევაც მხარეებს სურდათ“ (სუსგ №ას-487-461-2015, 17.06.2015წ.). საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სსკ-ის 56-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგე-

ბის მიმართ მოქმედი წესები.

38. საკასაციო სასამართლო, ასევე, უთითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტზე, რომლითაც ამხანაგობას დაევალა, საკუთრებაში გადასცეს მყიდველს სადავო ბინა (იხ. ს.ფ. 315), რომელიც არსებული ფორმულირებით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, ვერ იქნება აღსრულებადი, რადგან გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი არ შეიძლება იყოს დამოკიდებული რომელიმე მხარეზე. სააპელაციო სასამართლომ სარეზოლუციო ნაწილში მკაფიოდ, არაორაზროვნად უნდა ჩამოაყალიბოს სასამართლო განხილვის შედეგი, მიღებული გადაწყვეტილების სახით იმგვარად, რაც იქნება ობიექტურად აღსრულებადი და არა სადავო სამართალურთიერთობის რომელიმე მხარის ნებაზე დამოკიდებული.

39. საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას, რომელიც ამ განჩინების 27.1 ქვეპუნქტშია მითითებული და ეხება სააპელაციო სასამართლოში, 3 ივნისის სხდომაზე, მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობას, რაც, კასატორის მტკიცებით, განპირობებული იყო იმით, რომ სასამართლომ არასწორად მიიჩნია 29.05.2015. უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულიად. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე, კასატორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ის გაემგზავრა რუსეთში, სადაც დააკავეს, ამის გამო, 14 მარტიდან 13 ივლისამდე არ იმყოფებოდა საქართველოში და ვერ შეძლო სააპელაციო სასამართლოს 3 ივნისის სხდომაზე გამოცხადება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში განთავსებული მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს 06.01.2015წ. გზავნილი იმავე წლის 12 იანვარს ჩაჰბარდა კასატორის წარმომადგენელს – ლ. მ-ეს, ხოლო ამ უკანასკნელმა 2015 წლის 16 იანვარს შეიტანა სააპელაციო შესაგებელი, სადაც იგივე მისამართია მითითებული, რომელზედაც მიიღო სასამართლოდან გზავნილი სააპელაციო საჩივრით. ამის შემდეგ, კასატორის წარმომადგენელმა, 2015 წლის 2 თებერვალს, იგივე მისამართზე (2-ს 68, ბინა 1) ჩაიბარა უწყება, ხოლო 2015 წლის 29 მაისის გზავნილზე, რომლის ჩაბარებაზეც დავობს კასატორი, მიმღებად მითითებულია მ. გ-ე (ორგანიზაციის თანამშრომელი), განმარტებაში: საადვოკატო ბიუროს ადვოკატი. კასატორის წარმომადგენლის არგუმენტის გაზიარების შემთხვევაშიც, რომ მ. გ-ე არ არის მისი ოჯახის წევრი, მისი პოზიცია დაუსაბუთებელია, რადგან წარმომადგენლის მიერ საკუთარი სამუშაო ადგილის მისამართის (2-ს 68, ბინა 1) მითითებისას, არ ყოფილა რაიმე მინიშნება ან მოთხოვნა, რომ წარმომადგენელს პირადად უნდა ჩაბარებოდა სასამართლო გზავნილი. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით,

საკასაციო სასამართლოში ზეპირი მოსმენისას, კასატორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მის სამუშაო მისამართს, რამდენიმე შესასვლელი კარი აქვს, სხვადასხვა ოფისია განთავსებული, მ. გ-ე ერთ-ერთი სხვა ფირმის წარმომადგენელია (საკასაციო პალატის სხდომის ოქმი, 05.02.2016). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოსთვის უცნობი იყო ის გარემოება, რომ კასატორის წარმომადგენელი აპირებდა რუსეთის ფედერაციაში გამგზავრებას, რადგან ეს ფაქტი არ უცნობებია წარმომადგენელს სასამართლოსათვის, ასევე, სასამართლოსთვის ცნობილი იყო ის მისამართი, სადაც არაერთხელ ჩაჰბარდა ადრესატს გზავნილი, ხოლო ერთსა და იმავე მისამართზე გზავნილის ჩასაბარებლად, კონკრეტული პირი ან რაიმე დამატებითი რეკვიზიტი წარმომადგენელს არ მიუთითებია, რომლის გაუთვალისწინებლობაც, შესაძლებელია მიჩნეულიყო ადრესატისათვის გზავნილის არასწორ ჩაბარებად, ამდენად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი სახეზე არ არის (სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლები, 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

40. სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, ამავე ნორმის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების არასაკმარისი იურიდიული დასაბუთებულობის გამო. წინამდებარე განჩინების 31-33 პუნქტებში მითითებული სამართლებრივი შეფასებისათვის, დამატებითი კვლევის ნაწილში, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, თავად დაადგინოს ახალი ფაქტები და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები; მოდავე მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის შეფასებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, რის გამოც, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი სახეზეა.

41. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 7.2, 257.1, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. თ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება და

საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის ხელახლა განსახილველად;

3. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდელი აქვს;

4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ნარღობა**

### **განჩინება საქართველოს სახელის**

№ას-6-6-2016

12 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**პ. ქათამაძე**

**ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** მესაკუთრედ ცნობა, ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ნ.“ (შემდეგში: ამხანაგობა) ფიზიკურმა პირებმა (მ. წ., გ. გ., უ. შ. და ნ. ა-ძე) დააფუძნეს 2006 წლის 2 მაისს. მონაწილეთა საქმიანობის მიზანს წარმოადგენდა დაბა ... და №3 მიწის ნაკვეთებზე (1121კვ.მ) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენება და ამხანაგობის წევრებისათვის მათი წილის შესაბამისად, საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემა {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 930-ე და მომდევნო მუხლები}.

2. ამხანაგობამ, რომელიც წარმოდგენილი იყო მისი თავმჯდომარის მ.წ-ის სახით, 2006 წლის 2 ივნისს გ. მ-თან (შემდეგში: მოსარჩელე, მესაკუთრე) დადო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი გახდა ამხანაგობის წევრი და მისი წილი ამხანაგობაში განისაზღვრა 40 000 აშშ დოლარით {სსკ-ის, 930-ე და 932-ე მუხლები}.

3. მოსარჩელემ პირველი შენატანი, 25000 აშშ დოლარი, იმავე დღეს, ხოლო დარჩენილი ნაწილი 15 000 აშშ დოლარი, მოგვიანებით, 2006 წლის 25 ივნისს გადაუხადა ამხანაგობას.

4. ამხანაგობის ყოფილ თავმჯდომარე მ. წ-სა და ამჟამინდელ

თავმჯდომარე დ. ს-ძეს შორის 2010 წლის 15 ოქტომბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად, მოსარჩელის წინააღმდეგ ამხანაგობაში განისაზღვრა საცხოვრებელი ბინით, მდებარე – თბილისი, დაბა ... მიმდებარე ტერიტორია, მრავალბინიანი სახლის მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული, ბინა №20, ფართი – 125 კვ.მ (შემდეგში: სადავო უძრავი ქონება).

5. მანამდე, 2006 წლის 14 ივლისს, ფაქტობრივად, იმავე ბინაზე (განჩინების პ.4) ამხანაგობასა და ნ. გ-ძეს შორის (შემდეგში: პირველი მოპასუხე, აპელანტი, კასატორი,) დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ეს უკანასკნელი გახდა ამხანაგობის წევრი. ამხანაგობაში მისი შენატანი განისაზღვრა 43 000 აშშ დოლარით, რომელიც მან იმავე დღეს გადასცა ამხანაგობის იმჟამინდელ თავმჯდომარეს მ. წ-ს.

6. 2010 წლის 19 აგვისტოს ამხანაგობის საერთო კრებამ წევრებს გაუანაწილა ქონება და მოსარჩელეს მისცა უფლება, სადავო უძრავი ქონება საკუთრების უფლებით მის სახელზე საჯარო რეესტრში აღერიცხა {სსკ-ის 183-ე, 311<sup>1</sup>-ე მუხლები}.

7. მოსარჩელემ ვერ შეძლო კანონით დადგენილი წესით თავისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, რადგანაც იმავე ქონებაზე პრეტენზია განაცხადა პირველმა მოპასუხემ (კასატორმა).

8. ამხანაგობამ, 2010 წლის 9 ოქტომბერს, სანოტარო წესით დაამონმა საერთო საქმიანობის ხელშეკრულების ახალი რედაქცია. ამხანაგობის წევრთა და წილის მფლობელთა სიაში მოსარჩელე მითითებული არ არის.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 28 მარტის კანონიერ ძალაში შესული განაჩენის თანახმად, 2006 წლის 2 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელეს ჰქონდა საკუთრების უფლება ამხანაგობის მიერ აშენებული კორპუსის სადავო ფართზე. განაჩენში ასევე მითითებულია, რომ მოპასუხის შვილთან, დ. გ-სთან, ამხანაგობის თავმჯდომარემ ამხანაგობის სახელით გააფორმა ხელშეკრულება. ხელშეკრულებით შენატანი 43 000 აშშ დოლარით განისაზღვრა; სანაცვლოდ, მას უნდა მიეღო უძრავი ქონება, რომელიც გამოძიებით მოპოვებული, 2006 წლის 2 ივნისით დათარიღებული ხელშეკრულებით უკვე წარმოადგენდა მოსარჩელის საკუთრებას და რისთვისაც ამ უკანასკნელს ხელშეკრულების თანახმად, გადახდილი ჰქონდა 40 000 აშშ დოლარი.

10. 2012 წლის 15 ნოემბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ამხანაგობის წევრების, მათ შორის, პირველი მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა სადავო ბინის მესაკუთრედ ცნობა (საკუთრების უფლების აღიარება), პირველ მოპასუხესთან დადებული 2006 წლის 14 ივლისის ხელშეკრულებისა და ამხანაგობის 2010 წლის 9 ოქ-



ტომბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

11. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს. მათ წარადგინეს მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოსარჩელე ცნობილ იქნა მესაკუთრედ სადავო ბინაზე, მოსარჩელის მოთხოვნა ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში მითითებული გარემოებები, ხოლო დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის 248-ე, სსკ-ის 485-ე, 642-ე მუხლები და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი.

**13. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პირველმა მოპასუხემ შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით:**

13.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონოა, როგორც ფაქტობრივი ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და მათ მისცა მცდარი სამართლებრივი კვალიფიკაცია. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთების შინაარსი ცხადყოფს, რომ სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად არ გაიზიარა მოსარჩელის შუამდგომლობები, რომელიც აუცილებელი იყო სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.

13.2. სსსკ-ის 52-ე მუხლი გულისხმობს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნამდვილი ნების დადგენას. ამასთან, ნების განმარტება უნდა განხორციელდეს განსამარტ ტექსტთან მჭიდრო კავშირში. ნების განმარტება ადექვატური უნდა იყოს ფაქტის. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორი შეფასება არ მისცა 2006 წლის 2 ივნისის ხელშეკრულებას.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ნოემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

15. პალატის განმარტებით, აპელანტის მტკიცება 2006 წლის 2 ივნისის ხელშეკრულების სიყალბესთან დაკავშირებით, უარყოფილი იქნა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაკითხული მონმეების: მ. ნ-სა და რ. ნ-ის ჩვენებებით. აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმის მასალები ასევე არ იძლეოდა დასახელებული სადავო გარემო-

ებების გაზიარებისათვის საკმარის საფუძველს.

16. პალატის მოსაზრებით, საქმეზე გამოტანილი განაჩენის და მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზით დადასტურებულია, რომ ერთსა და იმავე საგანზე, კერძოდ, სადავო უძრავ ქონებაზე ხელშეკრულება ამხანაგობამ გაუფორმა ჯერ მოსარჩელეს, ხოლო შემდეგ აპელანტს, შესაბამისად, მოსარჩელის საკუთრების უფლების კანონიერების დადასტურებამ გამორიცხა სადავო ქონებაზე აპელანტის საკუთრების უფლების არსებობა.

**17. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა პირველმა მოპასუხემ, შემდეგი დასაბუთებით:**

17.1. სასამართლომ მტკიცებულებებს არ მისცა სათანადო სამართლებრივი შეფასება, არასწორად შეფასდა მოწმეთა ჩვენებები და არ იქნა გათვალისწინებული თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ვაკე-საბურთალოს განყოფილებიდან გამოთხოვილ მასალებში მითითებული ფაქტები, რასაც შედეგად უკანონო განჩინების მიღება მოჰყვა.

17.2. სასამართლომ უსაფუძვლოდ და სრულიად დაუსაბუთებლად დაასკვნა, რომ მოსარჩელეს, 2006 წლის 2 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ბინათმშენებლობისთვის გადახდილი ჰქონდა 40 000 აშშ დოლარი. მოსარჩელეს არსად მითითებული არ აქვს, რომ აღნიშნული თანხა გადაიხადა, ამასთან, მოწმეთა ჩვენებითაც დასტურდება, რომ მოსარჩელეს აღნიშნული თანხა არ გადაუხდია.

17.3. საკითხის გამოსარკვევად, თუ დავის რომელ მხარესთან უფრო ადრე დაიდო ხელშეკრულება, სასამართლომ სწორი შეფასება არ მისცა არც ხელშეკრულების შინაარსს და არც მოწმეთა ჩვენებებს. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოსარჩელესთან ხელშეკრულების 2006 წლის 14 ივლისამდე დადების ფაქტს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ, ამხანაგობის თავმჯდომარემ, სასამართლო პროცესზე დაადასტურა, რომ მოსარჩელესთან ხელშეკრულება დაიდო 2010 წელს. ეს გარემოება კი სასამართლომ არ შეაფასა.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 მარტის განჩინებით, საკასაციო საჩივარი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, დასაშვებად იქნა ცნობილი.

**სამოტივაციო ნაწილი:**

19. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასე-

ვე, საკასაციო საჩივრის მოტივების ზეპირი მოსმენით შემომწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს გამოიტანოს დასკვნა საჩივრის უსაფუძვლობის თაობაზე.

20. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ძირითადად სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და სწორად დატოვა ძალაში გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სახელდობრ:

#### **21. საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი ფაქტები:**

21.1. 2006 წლის 2 ივნისს, ამხანაგობას წარმოადგენდა ერთ-ერთი დამფუძნებელი მ. წ. მან ამხანაგობის სახელით მოსარჩელესთან დადო ხელშეკრულება, რომელიც აკმაყოფილებდა გარიგების დადების ზოგად პირობებს {სსკ-ის 54-ე-59-ე და 629-ე მუხლები}.

21.2. ამხანაგობა ვალდებული იყო, 2007 წლის 31 დეკემბრამდე, 40 000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, მოსარჩელისათვის აეშენებინა და საკუთრებაში გადაეცა დაბა ... მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე მრავალბინიან სახლში 125 კვ.მ საცხოვრებელი ბინა. მოსარჩელემ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და ასაშენებელი ბინის ღირებულება შეიტანა ამხანაგობის ანგარიშზე {სსკ-ის 629.1 მუხლი}.

21.3. 2010 წლის 15 ოქტომბერს, ამხანაგობის ახალ თავმჯდომარეს ყოფილმა თავმჯდომარემ გადასცა იმ პირთა სია, რომლებსაც მოთხოვნის უფლება ჰქონდათ ამხანაგობის მიმართ. მათ შორის იყო მოსარჩელეც.

21.4. ამხანაგობის საერთო კრებამ, 2010 წლის 19 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება სადავო უძრავ ქონებაზე, საკუთრება გადაეცა მოსარჩელისათვის, თუმცა, მოსარჩელემ ვერ შეძლო, კანონით დადგენილი წესით, თავისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, რადგანაც იმავე ქონებაზე პრეტენზია განაცხადა პირველმა მოპასუხემ. ეს უკანასკნელი თავის პრეტენზიას აფუძნებდა 2006 წლის 14 ივლისს ამხანაგობასთან დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც თავისი შინაარსით მოსარჩელესთან გაფორ-

მებუღი ხელშეკრულების ანალოგიურ დებულებებს შიეცავდა.

22. საკასაციო პალატა არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ნარდობის ურთიერთობიდან არ გამომდინარეობს. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა), როგორც არანაკლებ ორი პირის გაერთიანება, უმეტეს შემთხვევაში (მით უფრო მენაშენეთა გაერთიანება), საერთო მიზნის მისაღწევად მონოდებულია დაამყაროს ურთიერთობა მესამე პირებთან, რადგანაც, როგორც წესი, მას შესაძლოა არ გააჩნდეს საკმარისი მატერიალური, მათ შორის ფულადი სახსრებიც. ამიტომ ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები მშენებლობისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვის მიზნით, მესამე პირებთან შედიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომელთა სამართლებრივი ბუნებაც დამოკიდებულია ხელშეკრულების მიზანსა და შინაარსზე. მოცემულ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შეფასებით, მოსარჩელესთან დადებული შეთანხმება უნდა შეფასდეს ნარდობად, რადგანაც ის არ განსაზღვრავს საერთო საქმიანობისათვის დამახასიათებელ მხარეთა უფლება-მოვალეობებს, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 930-ე და მომდევნო მუხლებით. მოსარჩელის ერთადერთი ვალდებულებაა, გადაუხადოს ამხანაგობას 40 000 აშშ დოლარი, ხოლო ეს უკანასკნელი ამის სანაცვლოდ მოვალეა, აუშენოს და შემდგომში საკუთრებაში გადასცეს მას უძრავი ქონება. ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ამხანაგობის მიმართ, სადავო ბინაზე საკუთრების გადაცემის თაობაზე, სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებიდან გამომდინარეობდა. ეს დასკვნა სრულ შესაბამისობაშია ამ ტიპის დავებზე უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებთან: „საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის წარმოშობილი ურთიერთობა შესაძლებელია შეფასდეს ნარდობად, კერძოდ, 18.07.2005 წლის ხელშეკრულებისა და ამხანაგობის 06.04.2006 წლის №13 კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, ამხანაგობამ იკისრა ვალდებულება, აეშენებინა საცხოვრებელი სახლი და, მისი ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, სადავო ბინაზე საკუთრება გადაეცა მოსარჩელისათვის. თავის მხრივ, მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, ამხანაგობისათვის გადაეხადა შეთანხმებული საზღაური შესრულებული სამუშაოსათვის. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის დადებული იყო ნარდობის ხელშეკრულება (სსკ-ის 629.1 მუხლი). ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, ასევე, რომ ამხანაგობას სადავო ბინა უნდა აეშენებინა თავის მიერ შეძენილი მასალით. ასეთ შემთხვე-

ვაში, კანონი მენარდეს ავალდებულებს, გადასცეს შემკვეთს საკუთრების უფლება დამზადებულ ნაკეთობაზე, მოცემულ შემთხვევაში, სადავო ბინაზე (სსკ-ის 629.2 მუხლი). იმ შემთხვევაშიც, თუ ზემოხსენებულ ხელშეკრულებას მივიჩნევთ სსკ-ის 930-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) და არა ნარდობის ხელშეკრულებად, მოსარჩელეს მაინც ექნება სადავო ბინაზე საკუთრების გადაცემის მოთხოვნის უფლება სსკ-ის 935-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე (თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შემოსავლები მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად). მოცემულ შემთხვევაში, მხარეებმა ხელშეკრულებით განსაზღვრეს, რომ მოსარჩელის წილი, მის მიერ გადახდილი შესატანის გათვალისწინებით, იქნებოდა სადავო ბინაზე საკუთრების გადაცემა“ (იხ. სუსგ №ას-643-611-2013, 19 ივნისი 2015 წელი).

23. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა ამხანაგობისაგან ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

24. ამხანაგობის საერთო კრებამ 2010 წლის 19 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება, სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრება გადაეცა მოსარჩელისათვის. ამ გადაწყვეტილების ნამდვილობაზე გავლენას ვერ იქონიებს პირველი მოპასუხის პრეტენზია, რადგანაც საკუთრებაში გადაცემის გადაწყვეტილება კონკრეტული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ფარგლებშია მიღებული. შესაძლოა პირველ მოპასუხესაც ჰქონდეს ამხანაგობის მიმართ ნამდვილი მოთხოვნა, მაგრამ ამით სამართლებრივი სურათი არ შეიცვლება, რადგანაც მოსარჩელის მოთხოვნაც ნამდვილია და არ არსებობს მისი წარმოშობის დამაბრკოლებელი გარემოებები: ამხანაგობას სადავოდ არ გაუხდია მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულების ნამდვილობა, მან ფაქტიურად შეასრულა 2006 წლის 2 ივნისის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება, საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი 40 000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტიც, თუმცა ამ თანხის გადაუხდელობა პირველი მოპასუხის შესაგებელს ვერ ასაბუთებს და შესაბამისად, არ გამოდგება სარჩელის უარსაყოფად, რადგანაც ვალდებულების შეუსრულებლობა არ წარმოადგენს გარიგების ბათილობის საფუძველს, როგორც ამას კასატორი ამტკიცებს.

25. როგორც უკვე აღინიშნა, სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დაადგინა, რომ მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის ხელშეკრულება 2006 წლის 2 ივნისს დაიდო. შესაბამისად, კასატორის პრეტენზია აღნიშნულთან დაკავშირებითაც ასევე დაუსაბუთებელია, თუმცა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემული და-

ვისათვის იმ საკითხის გარკვევა, თუ რომელ მხარესთან უფრო ადრე დაიდო ხელშეკრულება, სამართლებრივად მნიშვნელოვანი ვერ იქნება, რადგანაც კასატორსა და ამხანაგობას შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნები ცალკე დავის საგანია. თუ დადგინდება, რომ ამხანაგობამ მოსარჩელისათვის განკუთვნილ შესრულების საგანზე დადო პირველ მოპასუხესთან გარიგება, მაშინ სწორედ მან და არა მოსარჩელემ უნდა აგოს პასუხი. კასატორმა ამხანაგობისაგან სხვა შესრულება (თუ ეს შესაძლებელი იქნება) უნდა მიიღოს {სსკ-ის 428-ე მუხლი}, ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის {394-ე მუხლის და 408-ე მუხლის პირველი ნაწილები}.

26. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონი არ დარღვეულა, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ნოემბრის განჩინება
3. კასატორი განთავისუფლებულია საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ნარდობა

## შიასლოპითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგები

### განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-845-795-2015

17 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქუური

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

#### 1. სასარჩელო მოთხოვნა:

ვ. ჯ-ამ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლო-ში სს „ს-იის“ (შემდგომში – მოპასუხე, კასატორი) მიმართ 54 500 ლარის დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს და სს „ს-ს“ შორის, ფოთი-თბილისის გაზსადენის მშენებლობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სს „ს-ი“ მოპასუხეს უწევდა მომსახურებას. გაზსადენის პრეზენტაციის მიზნით მოხდა ბუნებრივი გაზის გაფრქვევა, რისი ღირებულებაც „ს-ას“ აუნაზღაურა სს „ს-მა“. ყოველივე კი განხორციელდა მოპასუხე მხარის დავალებით. მოპასუხის მიმართ წარმომოხილი მოთხოვნა სს „ს-მა“ დაუთმო ვ. ჯ-ას.

#### 2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შედეგებით არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ საპროექტო დოკუმენტაცია არ ითვალისწინებდა პრეზენტაციის მოწყობას და, შესაბამისად, მასთან დაკავშირებული ხარჯების განევას. ამასთან, ხელშეკრულებების თანახმად, თუ სს „ს-ი“ პროექტის აუცილებლობიდან გამომდინარე საჭიროდ მიიჩნევა რაიმე დამატებითი ხარჯის განევას, ვალდებული იყო აღნიშნული საკითხი წინასწარ შეეთანხმებინა მოპასუხესთან და დადებითი პოზიციის შემთხვევაში მხარეთა შორის უნდა დადებულიყო შესაბამისი წერილობითი შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რასაც ადგილი არ ჰქონია. მოპასუხემ ასევე აღნიშნა, რომ გაზსა-

დენის პრეზენტაცია მისი ინიციატივითა და ორგანიზებით არ განხორციელებულა.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 54 500 ლარის, ასევე მის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაღებული ხარჯის გადახდა.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

### **5.1. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

5.1.1. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლები დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სამართლებრივი საფუძვლით. თავად აპელანტის განმარტებით დგინდებოდა, რომ შპს „ს-ია“ ასრულებდა აგენტის ფუნქციას აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის გაფორმებული „დახმარების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე. აშშ-ის მიერ დაფინანსებული „სენაკი-ფოთის“ გაზსადენის პროექტის განხორციელებაში შპს „ს-იასა“ და სს „ს-ს“ შორის ხელშეკრულება, სწორედ ამ მიზნით და ამ პროექტის ფარგლებში იქნა დადებული. სს „ს-ის“ მიერ იქნა გამოცხადებული ტენდერი მომსახურების შესყიდვაზე და, შესაბამისად, გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება.

5.1.2. მომსახურების ღირებულება ანაზღაურებული იქნა სს „ს-ის“ მიერ აშშ-ის პროგრამის ფარგლებში დახმარების სახით გამოყოფილი თანხიდან. ხელშეკრულების შედეგად მიღებული პროდუქტი (სენაკი-ფოთის 700მმ-იანი, 30428 კმ. მილსადენი, მასზე შესრულებულ სამუშაოებთან ერთად, ასევე გამოუყენებელი მილი (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება)) შეტანილ იქნა „ს-ის“ საწესდებო კაპიტალში საქართველოს ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2012 წლის 2 ივლისის ბრძანებით, რის



შედეგადაც საზოგადოებაში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ აქციათა ოდენობა გაიზარდა 77%-მდე. ამდენად, პალატამ დაასკვნა, რომ მილსადენის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საორგანიზაციო საკითხი, ისევე როგორც ფინანსური ანგარიშსწორება, ხორციელდებოდა კორპორაციის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ რაიმე დამატებითი ანაზღაურება ამ მომსახურების განწვევით კორპორაციას საქართველოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მხარისგან არ მიუღია, უდავო იყო, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებული მატერიალური სიკეთე კორპორაციის სანესდებო კაპიტალის ნაწილი გახდა.

5.1.3. მოწყობილი პრეზენტაცია ემსახურებოდა სახელმწიფოს მიერ შესრულებული პროექტის თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობას, ასევე მისი ამსახველი სიუჟეტი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე, თანამდებობის პირებსა და მათ საქმიანობაზე საზოგადოების პოზიტიურ შთაბეჭდილებებს იწვევდა. პრეზენტაციის ამსახველ სიუჟეტში სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა თავად კორპორაციის ტექნიკური დირექტორი, რომელმაც განმარტა გაზსადენის მშენებლობის მიზანი, შესაბამისად, მთლიანად პროექტი განხორციელდა საქართველოს ხელისუფლების მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, რომლის განხორციელებაში ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე სახელმწიფოს სახელით მონაწილეობდა კორპორაცია. მისი მონაწილეობა განპირობებული იყო მისივე საქმიანობის მიზნებიდან, საქართველოს, როგორც კორპორაციის ერთპიროვნული პარტნიორის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ განეული ხარჯები, რომლის გაღების რაიმე ინტერესი სს „ს-ს“ არ გააჩნდა, უნდა ჩათვლილიყო კორპორაციის, როგორც აშშ-ის დახმარების პროექტში საქართველოს სახელით მონაწილე პირის ინტერესში გაღებულ ხარჯებად.

5.1.4. პალატამ ჩათვალა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და მე-4 მუხლების მოთხოვნათა დარღვევა არ დასტურდებოდა. მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა, რომ მოქმედებდა მოპასუხის დავალებით რაც, დადასტურების შემთხვევაში, მხარეთა შორის სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობებს წარმოშობდა და სარჩელი სახელშეკრულებო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით დაკმაყოფილდებოდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ნამდვილად ჰქონდა ადგილი მოსარჩელის მიერ მითითებული ხარჯების განწვევას, თუმცა ვერ დაადგინა რა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობა, მოთხოვნის საფუძვლიანობა (მოსარჩელის მიერ გაზის

გაფრქვევის ხარჯის განევა) შემონმდა კანონისმიერი ვალდებულებითი ნორმებით და საქალაქო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლი, რითაც ფაქტობრივად მითითებულ გარემოებას შეუცვალა სამართლებრივი საფუძველი.

## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე, დაკისრებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება.

### **6.1. საკასაციო საჩივრის საფუძველი:**

6.1.1. სარჩელის თანახმად, მოსარჩელე თანხის ანაზღაურებას იმ საფუძველით მოითხოვდა, რომ მისი განცხადებით, პრეზენტაციის მოწყობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება სს „ს-ს“ კორპორაციამ დაავალა. მოსარჩელის თავდაპირველ პოზიციას იზიარებდა მისი ადვოკატიც. პირველი ინსტანციის სასამართლომ დამოუკიდებლად შეცვალა სარჩელის საფუძველი. სააპელაციო სასამართლოში ვ. ჯ-ამ კვლავ დაადასტურა ის გარემოება, რომ იგი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებით კი არ მოქმედებდა, არამედ, მხოლოდ კორპორაციის მოთხოვნისა და დავალების საფუძველზე. მისმა ადვოკატმა კი, სააპელაციო სასამართლოში პოზიცია შეცვალა და განაცხადა, რომ კორპორაციას კი არ დაუვალვია ვ. ჯ-ასთვის პრეზენტაციის მოწყობა, არამედ მხარე დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებით მოქმედებდაო. სამუშაოები, რომელთა ღირებულების ანაზღაურებასაც ითხოვს მოსარჩელე, გათვალისწინებული არ იყო კორპორაციასა და „ს-ს“ შორის გაფორმებული კონტრაქტებით. 2010 წლის 7 სექტემბერს გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე სს „ს-ი“ ვალდებული იყო, შეესრულებინა მხოლოდ ამავე კონტრაქტების დანართი №1-ით განსაზღვრული სამუშაოები. სამივე კონტრაქტის 30-ე მუხლი იძლევა მათში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას, თუმცა, ამისათვის აუცილებელია ორივე მხარის ნება. პრეზენტაციის მოწყობას შეთანხმება არ ითვალისწინებდა. არც სს „ს-ს“ გააჩნდა ხსენებული სამუშაოების შესრულების ვალდებულება და არც კორპორაცია იყო ვალდებული აენაზღაურებინა ამ კონტრაქტებით გათვალისწინებული სამუშაოები.

6.1.2. პრეზენტაციის მიზნით შესრულებული სამუშაოები გათვალისწინებული არ არის „ს-ის“ მიერ კორპორაციისათვის წარმოდგენილ ფორმა №2-ებში და მხარეთა შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში, მაშინ, როდესაც, კონტრაქტების თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ფორმა №2-ებსა და მი-

ლება-ჩაბარების აქტებში შესული სამუშაოები.

6.1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით, თუ მოსარჩელე ვერ დაადასტურებს მის მიერ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, სასამართლო ვალდებულია უარი უთხრას მას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მიუხედავად ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ მაინც დააკმაყოფილა სარჩელი და თან დააკმაყოფილა სრულიად სხვა სამართლებრივი ინსტიტუტის – დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების საფუძველზე. სარჩელში საერთოდ არ ახსენებს მოსარჩელე დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას. საგულისხმოა ისიც, რომ თავად მოსარჩელესაც არ აქვს სასამართლოს მთავარ სხდომაზე სარჩელის საფუძვლისა და საგნის შეცვლის უფლება. პირველი ინსტანციის სასამართლომ თავად დაარღვია ეს აკრძალვა, თანაც საქმის განხილვის დასრულების შემდეგ. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს ლოგიკა, საერთოდ არ მიაქცია ყურადღება ხსენებულ დარღვევას, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი.

6.1.4. მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება საქმეში არსებულ უამრავ მტკიცებულებას, განსაკუთრებით კი, სს „ს-სა“ და ვ. ჯ-ას შორის 2013 წლის 29 მარტს გაფორმებულ მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულებას, რომლის პრემამულაშიც აღნიშნულია, რომ პრეზენტაციის მოწყობის მიზნით სს „ს-მა“ შესაბამისი ღონისძიებები განახორციელა კორპორაციის დავალებით. აქედან გამომდინარე, მას და ვ. ჯ-ას შორის 2013 წლის 29 მარტს გაფორმდა მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულება. მოსარჩელის მოთხოვნები მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას, თუკი დადასტურდებოდა ხელშეკრულების პრემულაში აღნიშნული გარემოება.

6.1.5. გასათვალისწინებელი ის ფაქტიც, რომ პრეზენტაციის მოწყობის მიმართ კასატორს არ გააჩნდა არანაირი ინტერესი. „სენაკი-ფოთის“ გაზსადენის მშენებლობის პროექტი განხორციელდა აშშ-სა და საქართველოს შორის ხელშეკრულების საფუძველზე, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებითა და ეგიდით. კორპორაცია კი, პროექტების განხორციელების დროს მხოლოდ აგენტის ფუნქციებს ასრულებდა. „სენაკი-ფოთის“ გაზსადენის მშენებლობის პროექტი არ წარმოადგენდა კორპორაციის ეგიდით მიმდინარე პროექტს. პროექტთან დაკავშირებით პრეზენტაციის მოწყობის მიმართ კორპორაციას ვერ ექნებოდა ინტერესი. აღნიშნულით შესაძლოა დაინტერესებული ყოფილიყო მხოლოდ დამფინანსებელი ან სახელმწიფო (როგორც გაზსადენის მომავალი მესაკუთრე). საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილ სა-

ტელევიზიო სიუჟეტებში სს „ს-ია“ საერთოდ არ არის ნახსენები – კორპორაციის შესახებ არ მიუთითებენ როგორც ჟურნალისტები, ასევე მასზე დამსწრე მაღალი თანამდებობის პირები, შესაბამისად, სიუჟეტი პუბლიკას არ/ვერ უქმნის აზრს, წარმოდგენასა თუ შთაბეჭდილებას კორპორაციის და მისი საქმიანობის შესახებ. სიუჟეტები მხოლოდ ერთადერთ უმნიშვნელო გარემოებას შეიცავენ (თანაც მხოლოდ „რ.-ის“ მიერ მომზადებული სიუჟეტი) კორპორაციის შესახებ – კორპორაციის იმდროინდელი ტექნიკური დირექტორი ლ. გ-ე დაახლოებით 29 წამის განმავლობაში განმარტავს გაზსადენის მშენებლობის მიზანს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლ. გ-ეც არ ახსენებს საერთოდ კორპორაციას.

6.1.6. მხარეებს შორის არსებული ურთიერთობა არ თავსდება დავალების გარეშე სხვის საქმეების შესრულების მარეგულირებელი ნორმების ჩარჩოებში. თუ არ არსებობს ობიექტური რეალობა და საჭიროება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესასრულებლად და შესაბამისი სუბიექტი რეალურად სუბიექტურად მოქმედებს, შემსრულებელი პირის ამგვარი სუბიექტივიზმი მინიმალური გონიერების ფარგლებში მაინც უნდა იყოს მოქცეული. პრეზენტაციის მოწყობა ისეთი ხასიათის ღონისძიებას წარმოადგენს, რომელიც არანაირად არ არის საჭირო გაზსადენის უსაფრთხოებისა და გამართულად ფუნქციონირებისათვის, შესაბამისად, პრეზენტაციის მოწყობის კვალიფიკაცია დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად ყოველგვარ სერიოზულობას არის მოკლებული. ამ პრეზენტაციის გარეშე კორპორაციას ვერანაირი ზიანი ვერ მიადგებოდა, შესაბამისად, პრეზენტაციით კორპორაციისათვის მისაყენებელი ზიანის თავიდან აცილება არ მომხდარა. განსახილველ შემთხვევაში, სს „ს-ს“ არა თუ პრეზენტაციის მოწყობის პერიოდში არ უცნობებია კორპორაციისათვის მის მიერ ხარჯების განწევის და ხსენებული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ, არამედ, სადავო თანხის ანაზღაურების მოთხოვნით სს „ს-ს“ კორპორაციისათვის საერთოდ არ მიუმართავს. „სენაკი-ფოთის“ გაზსადენის ექსპლუატაციაში მიღება განხორციელდა პრეზენტაციიდან ერთ წელზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ, შესაბამისად, პრეზენტაციის მიმართ კორპორაციას ინტერესი თუ ექნებოდა, მხოლოდ 2012 წლის 3 თებერვლის შემდეგ, ან აღნიშნულ თარიღამდე მცირე ხნით ადრე. იმ პირობებში კი, როდესაც პრეზენტაციის მოწყობის დღეს გაზსადენის მშენებლობა დასრულებული არ იყო და იმთავითვე იყო ცნობილი, რომ გაზსადენის ექსპლუატაციაში გაშვება უახლოეს ხანებში ვერ მოხდებოდა, გაზსადენის მშენებლობის დასრულებულად წარმოჩენა იმ პერიოდის ქართული სინამდვილის და პრეზენტაციაზე დამსწრე თანამდებობის პირების გათვალისწინებით, ად-

ვილი მისახვედრია ვისი ინტერესი შეიძლება ყოფილიყო. კორპორაცია არ ანარმობს ისეთი ტიპის საქმიანობას, რომ ობიექტურად საჭიროებდეს საკუთარი საქმიანობის რეკლამირებას.

6.1.7. 2010 წლის 9 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებულია შეჭრის სამუშაოები და გაფრქვეული გაზის ღირებულება ასახულია მოსარჩელის მიერ კორპორაციისათვის წარდგენილ ფორმა №2-ში და კორპორაციასა და სს „ს-ს“ შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში, რისი ღირებულებაც სს „ს-ს“ სრულად აუნაზღაურდა. როგორც მოსარჩელე მიუთითებს, პრეზენტაცია განხორციელდა 2011 წლის 24 იანვარს, ხოლო სს „ს-სა“ და შპს „ს-ას“ შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2011 წლის 4 თებერვალს, ანუ პრეზენტაციის მოწყობიდან 11 დღის შემდეგ. ამდენად, პრეზენტაციის მოწყობა შესაძლებელი იყო ბუნებრივი გაზის გაფრქვევის გარეშე, შესაბამისად, პრეზენტაციის მოწყობა 2011 წლის 4 თებერვლამდეც იყო შესაძლებელი და გაურკვეველია რა მიზანს ემსახურებოდა 2011 წლის 4 თებერვლის ხელშეკრულება.

6.1.8. ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორად მიიჩნიეს დადგენილად შემდეგი გარემოებები: შპს „ს-ასა“ და სს „ს-ს“ შორის 2011 წლის 4 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების კავშირი და შემხებლობა 2011 წლის 24 იანვარს დაგეგმილ და ჩატარებულ პრეზენტაციასთან; პრეზენტაციის მოწყობისადმი გადაუდებელი ინტერესი გააჩნდა კორპორაციას და, შესაბამისად, პრეზენტაციის მოწყობაც მხოლოდ კორპორაციის დაინტერესების გამო და ინიციატივით განხორციელდა; განსახილველი ურთიერთობა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად უნდა დაკვალიფიცირდეს; კორპორაციისათვის ცნობილი იყო სს „ს-ის“ მიერ განეული სამუშაოების და ხარჯების შესახებ, რაც დაედო კიდევაც საფუძვლად სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო საჩივრის ფარგლებში შემონმების საგანს წარმოადგენს კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში (დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება) მოპასუხისათვის თანხის დაკისრების საფუძვლიანობა. ამ თვალსაზრი-

სით კი, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები, ვინაიდან, მოსარჩელის განმარტება იმის თაობაზე, რომ სს „ს-ი“ მოქმედებდა სს „ს-ის“ დავალებით, არ ზღუდავდა სასამართლოს მოთხოვნის სამართლებრივი კვალიფიკაციის არჩევანში.

1.2. საკასაციო საჩივრის შესწავლით ირკვევა, რომ სს „ს-ია“ არ ეთანხმება ქვემდგომ სასამართლოთა დასკვნებს, როგორც გადანყვეტილების ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი დასაბუთების თვალსაზრისით.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

#### **1.4. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ:**

1.4.1. 2010 წლის 7 სექტემბერს სს „ს-სა“ (შემდგომში – შემსრულებელი) და მოპასუხეს შორის გაფორმდა ნარდობის სამი ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზეც შემსრულებელმა იკისრა ვალდებულება, გაეყვანა გაზსადენი სენაკი-ფოთის მიმართულებით, ხოლო მოპასუხეს უნდა აენაზღაურებინა შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

1.4.2. 2011 წლის 4 თებერვალს შპს „ს-ასა“ (შემდგომში – ქვეკონტრაქტორი) და შემსრულებელს შორის დაიდო №27.07.11 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ქვეკონტრაქტორმა იკისრა ვალდებულება, განეხორციელებინა „სენაკი-ფოთის“ დ=700მმ მაგისტრალური გაზსადენის დაცლა 0-246 პიკეტებს შორის, სანაცვლოდ კი, შემსრულებელს უნდა გადაეხადა სამუშაოებისა და გაფრქვეული გაზის საფასური. მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეთა შორის შედგა მიღება-ჩაბარების აქტი და სამუშაოების საბოლოო ღირებულებამ შეადგინა 54 500,82 ლარი, რომელიც მოიცავდა სამუშაოების შესრულების დროს გაფრქვეული ბუნებრივი გაზის ღირებულებასაც. შემსრულებელმა ქვეკონტრაქტორს გადაუხადა შეთანხმებული ოდენობის თანხა.

1.4.3. 2011 წლის 24 იანვარს განხორციელდა სენაკი-ფოთის გაზსადენის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს

პრეზიდენტი, ენერგეტიკის მინისტრი, სს „ს-ის“ ერთ-ერთი დირექტორი ლ. გ-ე და სხვა ოფიციალური პირები, რომლებმაც კომენტარი გააკეთეს საქართველოს ტელევიზიების წინაშე პროექტის პრეზენტაციის მიზნით.

1.5. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომლის თანახმადაც განხორციელებული პრეზენტაცია უნდა ჩაითვალოს კასატორის, როგორც საქართველოსა და აშშ-ს შორის დახმარების პროექტში საქართველოს სახელით მონაწილე პირის ინტერესებში განხორციელებულ ღონისძიებად. ამ თვალსაზრისით სასამართლომ მართებული შეფასება მისცა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის გაფორმებულ „დახმარების შესახებ“ ხელშეკრულებას, მოპასუხის მიერ ტენდერის გამოცხადებისა და შემსრულებელთან ნარდობის ხელშეკრულების გაფორმების ფაქტს, ასევე, ნარდობის შედეგად მიღებული პროდუქტის მოპასუხე სანარმოს კაპიტალში შეტანასა და საინფორმაციო („რ-2“, „პ-ი“) გამოშვებების მიერ მომზადებულ სიუჟეტებს. ამასთანავე, გაზსადენის სადავო მონაკვეთის ბუნებრივი აირით შევსება ემსახურებოდა სწორედ პრეზენტაციის მოწყობის მიზანს, ხოლო შემდგომში, ამ მონაკვეთის დაცლის საჭიროება განპირობებული იყო მაგისტრალზე სამუშაოების გაგრძელების აუცილებლობით. მითითებული გარემოებების წინააღმდეგ კასატორს დასაბუთებული შედეგება არ წარმოუდგენია.

1.6. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს იმის შესახებ, რომ სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მოთხოვნები, რაც გამოიხატა სადავო საკითხის დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესით განხილვაში, რადგანაც საკითხს, თუ სამართლის რომელი ნორმა უნდა იქნას გამოყენებული, წყვეტს სასამართლო იმის მიხედვით, თუ რა ფაქტებზე მიუთითებენ მოდავე მხარეები და საქმის განმხილველი სასამართლო არ არის შებოჭილი მხარის სამართლებრივი მოსაზრებებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით მართალია, აღიარებულია მოსარჩელის ვალდებულება, სარჩელში მიუთითოს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზეც (სამართლის ნორმაზე), თუმცა კანონის იმპერატიული დათქმა არ არის, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. თუკი მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციებს ირჩევენ, საქმის მასალებზე დაყრდნობითა და სხვაგვარი დასაბუთებით სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს კანონ-

ნიერი გადაწყვეტილების გამოტანა. სწორედ აღნიშნული წარმოდგენს სამოსამართლო საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას (იხ. სუსგ №ას-877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი).

1.7. საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის იმ არგუმენტს, რომელიც შეეხება ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის არასწორ კვალიფიკაციასა და დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არასწორად დადგენას, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული საფუძვლები. როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეთა შორის სადავო არაა ის ფაქტი, რომ ისინი სახელშეკრულებო ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან (07.09.2010წ. ხელშეკრულება), ხოლო სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ რადგანაც პრეზენტაციის ჩატარებისათვის აუცილებელი სამუშაოების შესრულებაზე არც არსებულ ხელშეკრულებაში განხორციელებულა რაიმე სახის ცვლილება და არც დამოუკიდებელი ხელშეკრულება დადებულია კორპორაციის ინტერესების გათვალისწინებით, სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლის საფუძველზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის, რომლის მიღწევაც სურს მოსარჩელეს, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს გამოსაყენებელი ნორმის აღწერილობით ნაწილში მოცემული განმაპირობებელი გარემოებების არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი ფორმალურად მაინც არ გვაქვს გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტული შემადგენლობის თუნდაც ერთ-ერთი წინაპირობა, სარჩელი უსაფუძვლოა. სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლის თანახმად, პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად. ურთიერთობის მითითებული ნორმით კვალიფიკაციისათვის, სახეზე უნდა იყოს შემდეგი პირობების ერთობლიობა: კრედიტორი (შემსრულებელი) მოვალის (მეპატრონის) ქონებრივ სფეროში უნდა იჭრებოდეს; მას ამ ჩარევის არც უფლებამოსილება და არც მოვალეობა არ უნდა ეკისრებოდეს; შემსრულებელი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად. ამგვარი ჩარევის საკანონმდებლო აღიარება გამომდინარეობს გარკვეულ სიტუაციაში მეპატრონის ინტერესების დაცვითა და შემსრულებლის კეთილი ნებით.

1.8. საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს მხარეთა შო-



რის დადებულ ნარდობის ხელშეკრულებებს, მოსარჩელის იმ მტკიცებას, რომლის თანახმადაც შემსრულებელს მოპასუხემ დაავალა პრეზენტაციის მოწყობა (რაც ასევე ასახულია მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების პრეამბულაში) და მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მხრიდან დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები – სასამართლოს ინდივიდუალურად და ერთობლიობაში არ მიუცია საქმის მასალებისათვის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შეფასება, რასაც შედეგად დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არასრული და არასწორი დადგენა მოჰყვა. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პრეზენტაციის მოწყობის დროისათვის მხარეთა შორის ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა შეწყვეტილი არ ყოფილა, უფრო მეტიც, გაზის გაფრქვევა შემსრულებლის მიერ სამუშაოების შედგოში გაგრძელებისათვის ტექნიკური თვალსაზრისით სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენდა, ამ მხრივ კი, ქვემდგომ სასამართლოს არ უმსჯელია და არ გამოუკვლევია ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, სარჩელით მოთხოვნილი ხარჯები ხომ არ წარმოადგენს ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე გადახარჯვის ანაზღაურების მოთხოვნას. თუკი საქმის მასალების ყოველმხრივი შესწავლის შედეგად სააპელაციო სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ მოთხოვნის საფუძველი სწორედ გადახარჯვის ანაზღაურებაა, მაშინ გამოკვლევას ექვემდებარება საკითხი იმის თაობაზე, შეეძლო თუ არა მენარდეს გადახარჯვის მოთხოვნა და თუ შეეძლო რა შემთხვევაში?

1.9. სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის თანახმად, მენარდეს შეუძლია, მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური. ამ წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი (მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგები). მითითებული ნორმის გამოყენებისათვის სასამართლომ უპირველესად უნდა შეამოწმოს, არსებობს თუ არა მხარეთა შეთანხმება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით და დადებით შემთხვევაში – წინასწარ აცნობა თუ არა მენარდემ შემკვეთს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვანი გადაჭარბების შესახებ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა, იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას, მიუხედავად მისი გადასინჯვის მოთხოვნის მიზეზისა. საერთო წესის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს ვალდებულ პირს. ამ საერთო წესიდან არსე-

ბოზს გამონაკლისი, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი). შეცვლილი გარემოებები ართულებს შესრულებას იმ დონემდე, რომ მისი შესრულების მოთხოვნა, როგორც გამართლებული საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს მეორე მხარეს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი (ეკვივალენტური) გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, რაც შეიძლება, განპირობებული იყოს, როგორც შესრულების ღირებულების გაზრდით, ისე – მისი შემცირებით. მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თუ მენარდე ამ უფლებით არ ისარგებლებს და მაინც გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება (იხ. სუსგ №ას-888-834-2012, 30 დეკემბერი, 2013 წელი).

1.10. მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლებმა ისე მიიჩნიეს სადავო თანხა კანონისმიერი ვალდებულების ფარგლებში განეულ ხარჯად, რომ ამომწურავად არ შეუმონმებიათ არსებული ხელშეკრულების პირობებში ხომ არ განხორციელდა სადავო შესრულება, ვინაიდან მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრისას ჯერ უნდა მოხდეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის, ხოლო შემდეგ – კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლების განხილვა.

1.11. გარდა აღნიშნულისა, პალატა სრულად იზიარებს კასატორის მოსაზრებას გასაჩივრებული განჩინების დასაბუთების კუთხით და აღნიშნავს, რომ სასამართლოს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში (სსსკ-ის 377-ე მუხლი) არ უმსჯელია მხარის პრეტენზიებზე და შემოიფარგლა იმაზე მითითებით, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს ვერ აბათილებდა აპელანტი. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ „აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე, როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფ-

ლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფასაც, ხოლო დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმგვარად, რომ სასამართლომ სწორედ მხარის შედავების საფუძვლიანობის კვლევით, მოტივირებული მსჯელობით, დაარწმუნოს მხარე მისი პოზიციის მართებულობა-უმართებულობაში.

1.12. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები (საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა), საკასაციო პალატა მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, ვიდრე ობიექტურად არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

2.1. განსახილველი დავა გამომდინარეობს თანხის – 54 500 ლარის დაკისრებიდან და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 391-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მისი საგნის ღირებულება მითითებული ოდენობით განსაზღვრება. ამავე კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე კი, საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა 2 725 ლარია. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა საკუთარი ინიციატივით სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 2 834 ლარი, რის გამოც, ამავე კოდექსის მე-7 და 42-ე მუხლების შესაბამისად, პალატა თვლის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ ზედმეტად გადახდილი 109 ლარი.

2.2. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ კასატორის მიერ გაწეულ ხარჯს, მისი მხარეთა შორის განაწილება უნდა განხორციელდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წესით (თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად,

მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით). ამდენად, საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განანილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კასატორ სს „ს-იას“ (ს/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს მის მიერ 2015 წლის 4 აგვისტოს №... საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 2 834 ლარიდან ზედმეტად გადახდილი 109 ლარი.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# მიზარება

## მიზარების საზღაური

### განჩინება

### საქართველოს სასჯელით

№ას-1085-1042-2016

10 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქუჩი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:

1.1. შპს „ი-მა“ (უფლებამონაცვლე – სს ფ-ი“, შემდგომში – მო-  
სარჩელე, აპელანტი, კასატორი ან შემნახველი) სარჩელი აღძრა  
სასამართლოში მ. შ-ას (შემდგომში – მოპასუხე, მონინალმდგეგე  
მხარე ან ტვირთმიმღები) მიმართ სანყოფი ავტომობილის შენახ-  
ვის ხარჯის – 15 340 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთ-  
ხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მო-  
სარჩელე ახორციელებს ქ. ფოთში საავტომობილო-საკონტინერო  
ტვირთების ტერმინალში შენახვის მომსახურებას. ფოთის გაფორ-  
მების ეკონომიკურ ზონაში შეყვანილი ავტომობილებით დატვირ-  
თული კონტეინერების განბაჟების მიზნით გამოიყენება მოსარჩე-  
ლის სანყოფი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის, ხოლო შე-  
ნახვა-მიბარების მომსახურების ტარიფები განსაზღვრულია შემ-  
ნახველის 2012 წლის 1 ივნისის ბრძანებით. მოსარჩელის ინფორმა-  
ციით, შპს „ბ-ის“ (შემდგომში – გადამზიდველი) გაცემული კონო-  
სამენტი მოპასუხის სახელზე ჩამოყვანილ იქნა ავტომობილი  
(BMW Silver WIN: W...), რომელიც დღეისათვის მის საკუთრებადაა  
რეგისტრირებული. აღნიშნული ნივთი 2013 წლის 19 სექტემბერს  
ფოთის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში შეყვანილ იქნა გადამ-  
ზიდველის მიერ და შესანახად განთავსდა სანყოფიში. ნივთი სან-  
ყოფიში ინახებოდა 2015 წლის 30 ოქტომბრამდე და სანყოფიდან გაყ-  
ვანილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დაუწინრებე-

ლი გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლით. მოსარჩელის მიერ განეული მომსახურების საფასური გადახდილი არ არის, რომელმაც შეადგინა 15 340 ლარი.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის წინააღმდეგ წარადგინა პროცესუალური ხასიათის შედაგება, კერძოდ, მიუთითა, რომ არ წარმოადგენდა სათანადო მოპასუხეს, მისივე განმარტებით, მან 2015 წლის 30 ოქტომბრამდე ვერ შეძლო კუთვნილი ავტომობილის მიღება, რადგანაც გადამზიდავმა კომპანიამ დაარღვია გადაზიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, არ მიაწოდა ტვირთმიმღებს კონოსამენტი. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ საწყობში ნივთი გადამზიდევის მიერ განთავსდა და სწორედ ამ უკანასკნელის მიერ გაცემული კონოსამენტი ადასტურებდა ტვირთის მოპასუხისადმი კუთვნილებას. კონოსამენტის მიუწოდებლობის გამო კი, მოპასუხეს მოუხდა სასამართლო დავის წარმოება და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა ფაქტი, რომ გადამზიდავი მოპასუხის კუთვნილი ნივთის უკანონო მფლობელი იყო, შესაბამისად, მოსარჩელის ტერიტორიაზე ნივთის დიდი ხნის განმავლობაში გაჩერება მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგი არაა. 2013 წლის 18 ოქტომბერს სსიპ შემოსავლების სამსახურმა მოპასუხეს აცნობა, რომ მიღებული იყო Z... კონტეინერი 2013 წლის 18 სექტემბერს და უნდა დალოდებოდა შემოსავლების სამსახურის შემდგომ შეტყობინებას, კონტეინერი გაიხსნებოდა 19 სექტემბერს. ვინაიდან გადამზიდავთან მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო ტვირთმიმღებმა კლიენტებთან ურთიერთობის სამსახურს სთხოვა კონოსამენტის ასლის ან მასში არსებული ინფორმაციის წერილობითი დადასტურების მიზნით დოკუმენტის გადაცემა, თუმცა, ტვირთმიმღებს ეცნობა, რომ კონტეინერი გადამზიდავი კომპანიის სახელზე იყო და მისი თანხმობის გარეშე მოთხოვნას ვერ დაუკმაყოფილებდნენ, ამდენად, მოპასუხე არ წარმოადგენს პირს, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

## **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-

ლატის 2016 წლის 27 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის 15 340 ლარის დაკისრება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლომ შეფასების საგანია მიბარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სასყიდლის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს წარმოადგენს თუ არა მოპასუხე. ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან დადგენილია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის მიბარების ხელშეკრულება არ დადებულა, არამედ, იგი გააფორმა გადამზიდველმა, რომელიც ტვირტის საზღვაო გადაზიდვის კონოსამენტში თავად იყო ტვირტომიმღებად რეგისტრირებული, შესაბამისად, მოპასუხე არ წარმოადგენდა შემნახველთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირს და მის მიმართ სარჩელი იყო უსაფუძვლო.

1.2. კასატორი, როგორც შემნახველი, არ ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოების დასკვნებს და თვლის, რომ მოპასუხე, რომელიც მიბარებული ტვირტის მესაკუთრეა, სწორედ ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს წარმოადგენს.

1.3. ვიდრე საკასაციო საჩივრის საფუძვლების კვლევას შეეუდგებოდეთ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს, რომლებიც პირობითად, შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: პირველ მათგანს წარმოადგენს ამავე კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული იმგვარი კანონდარღვევები (მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა არსებითი დარღვევა), რომლებზეც მოდავე მხარემ უნდა მიუთითოს და ზემდგომი სასამართლოც პრეტენზიის დასაბუთებულობას კასატორის შედავებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესაბამისი დასკვნების ურთი-

ერთშეჯერების გზით ადგენს, ხოლო, გადანყვეტილების გაუქმების მეორე ჯგუფს განეკუთვნება იმგვარი შემთხვევები, რომელთა არსებობასაც, მიუხედავად მხარის მითითებისა, საკუთარი ინიციატივით ამონიშნებს სასამართლო. ისინი პროცესში გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლებითაა მოხსენიებული და რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით, თავის მხრივ, ზემდგომი სასამართლო მომჩივანის პრეტენზიათა დასაბუთებულობის შემონიშნებამდე, ყოველთვის არკვევს, სახეზე ხომ არ არის გადანყვეტილების გაუქმების რომელიმე აბსოლუტური საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 სექტემბრის განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები, რამდენადაც მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონიშნება შეუძლებელია.

1.4. სარჩელის თანახმად, შემნახველი საკუთარი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს საავტომობილო-საკონტინერო ტვირთების ტერმინალში შენახვის მომსახურებას, მისი სანყობი ქ. ფოთის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში შეყვანილი ავტომობილებით დატვირთული კონტეინერების განაწესების მიზნით გამოიყენება, რომელიც ყველა პირისათვის ხელმისაწვდომია, ხოლო შენახვის ტარიფები განსაზღვრულია შესაბამისი ბრძანებით. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ გადამზიდველის მიერ მოპასუხის სახელზე გაცემული კონოსამენტის საფუძველზე მის სანყობში განთავსდა ნივთი (ავტომობილი), შესაბამისად, სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 763-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობა, რომლის თანახმადაც, მიბარების ხელშეკრულებით შემნახველი კისრულობს შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი. როგორც აღინიშნა, განხილვის საგანს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება, კერძოდ კი, მიბარების საზღაურის ანაზღაურება წარმოადგენს, შესაბამისად, მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს სამოქალაქო კოდექსის 764-ე (1) და 775-ე მუხლები წარმოადგენენ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მიბარების ხელშეკრულება ორმხრივ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც რეალური გარიგებაა და დადებულად ითვლება მას შემდეგ, რაც მიმბარებელი შესანახად გადასცემს შემნახველს ნივთს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ დოქტრინაში მიბარება კონსესუალურ ხელშეკრულებადაც განიხილება. შემნახველი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე – იურიდიული პირი, ხოლო შენახვა შეიძლება, როგორც სამენარმეო საქმიანობის



ფარგლებში, ისე – ერთჯერადად ხორციელდებოდა. რაც შეეხება მიმბარებელს, იგი შეიძლება იყოს, როგორც ხელშეკრულების საგნის მესაკუთრე, ისე – მფლობელი, რომელიც იურიდიული საფუძვლით ახორციელებს ქონებაზე ფაქტობრივ ბატონობას. სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს მიბარების, როგორც სასყიდლიან, ისე – უსასყიდლო სახეს. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ სარჩელში მოხმობილი ხელშეკრულება წარმოადგენს სასყიდლიან გარიგებას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 764-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მიბარება უსასყიდლოა, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ შემნახველი ახორციელებს შენახვას სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად ჩაითვლება.

1.5. სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, მოპასუხემ საპროცესო ხასიათის შედავება წარადგინა და განმარტა, რომ იგი არ იყო შემნახველის მოთხოვნაზე პასუხისმგებელი პირი. ამ თვალსაზრისით მან მიუთითა გადამზიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტზე (კონოსამენტის გადაუცემლობა) და აღნიშნა, რომ მას ბრალი არ მიუძღვოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნივთის შემნახველის სანყობში განთავსებაში.

1.6. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს მხრიდან სარჩელის წარმატებულობის საკითხის კვლევისას, უპირველესად პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვებს: ვინ?; ვისგან?; რას?; რის საფუძველზე მოითხოვს? პირველი ორი კითხვა იძლევა პასუხს სათანადო მხარეზე, რომლის შემონიშნებაც (ისევე, როგორც შემდგომი საკითხები: მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძველი) სასამართლოს პრეროგატივაა და ორიენტირებულია მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებაზე. აღნიშნული საკითხები ჯერ კიდევ საქმის მომზადების ეტაპზე უნდა დაისვას/გადაწყდეს, რათა სამართალწარმოების შემდგომი ეტაპი (სასამართლოს მთავარი სხდომა) სათანადო მხარეთა შორის შედავებული იმ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების სწორად დადგენას მიეძღვნას, რომლებიც მტკიცების საგანში შედიან და მიღწეულ იქნას მართლმსაჯულების მიზანი – კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილებით აღიკვეთოს მხარეთა სადავოდ ქცეული უფლებების დარღვევა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იცნობს სათანადო მოპასუხის ინსტიტუტს და ადგენს ქცევის შემდეგ წესს: თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლა-

ზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე (იხ. სსსკ-ის 85-ე მუხლი).

1.7. იმ საკითხის შესამონმებლად, წარმოდგენს თუ არა მოპასუხე მიბარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე საზღაურის გადახდაზე ვალდებულ პირს, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.7.1. 2013 წლის 13 ივლისს შპს „A-სა“ (შემდგომში – შუამავალი) და მოპასუხეს შორის დაიდო ხელშეკრულება „საშუამავლო მომსახურების შესახებ“, რომლის საფუძველზეც შუამავალი უნდა დახმარებოდა კასატორის მონინალმდეგე მხარეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ავტომობილის (BMW X5, 2001 silver WIN:W...) შეძენაში;

1.7.2. ვალდებულების შესასრულებლად შუამავალმა ხელშეკრულება დადო შპს „ბ-თან“ (შემდგომში – გადამზიდველი), რომელსაც უშუალოდ უნდა უზრუნველყო ზემოხსენებული ავტომობილის შესყიდვა და ტრანსპორტირება;

1.7.3. გადამზიდველმა შეიძინა შეთანხმებული ავტომობილი და ჩამოიყვანა საქართველოში. ტვირთის მიმღებად თავად იყო მითითებული;

1.7.4. 2013 წლის 18 სექტემბერს კონტეინერში მოთავსებული ავტომობილი შემოვიდა ქ. ფოთის საავტომობილო-საკონტეინერო ტვირთების ტერმინალში, ხოლო 19 სექტემბერს კონტეინერი დაიცალა და ავტომობილი განთავსდა მოსარჩელის საწყობში;

1.7.5. 2013 წლის 8 ოქტომბერს მოპასუხემ ავტომობილის მისაღებად, წერილობით მოითხოვა კონტეინერის კონოსამენტის ასლი, თუმცა იმ მოტივით, რომ ავტომობილი რეგისტრირებული იყო გადამზიდველის სახელზე, მას ამ მოთხოვნაზე უარი ეთქვა. ამის შემდეგ მოპასუხემ აღძრა სარჩელი გადამზიდველის წინააღმდეგ და მოითხოვა ავტომობილის გამოთხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან;

1.7.6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 3 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 3 ივნისს. საბოლოოდ, მოპასუხეს ავტომობილი გადაეცა 2015 წლის 30 ოქტომბერს;

1.7.7. 2013 წლის 19 სექტემბრიდან 2015 წლის 30 ოქტომბრამდე ავტომობილი იდგა კასატორის საწყობში.

1.8. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მონინალმდეგე მხარის პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით, სამართლებრივ კვალი-

ფიკაციას ექვემდებარება მიზარებამდე არსებული სამართალურ-თიერთობები, კერძოდ, შუამავლის მეშვეობით ნივთის შექენა (საკუთრების უფლების წარმოშობა) და მისი გადაზიდვა, ასევე, მოპასუხისათვის მოთხოვნის უფლების გადაცემის ფაქტი:

1.8.1. სამოქალაქო კოდექსის 744-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შუამავლის დახმარებით საზღვარგარეთ ავტომობილის შექენა განხორციელდა მოპასუხის სახელითა და ხარჯზე, რამდენადაც საშუამავლო საქმიანობის ობიექტი სავაჭრო და სხვა სამოქალაქო ურთიერთობებში მხარეთა მოძიება და მათი დაახლოებაა, ანუ შუამავლობის ბუნებიდან გამომდინარე, მისი ადგილი, სამართლებრივი თვალსაზრისით, არა შემკვეთისათვის სასურველ ხელშეკრულებაში (განსხვავებით მაგ: ვალებისაგან, როდესაც მინდობილი პირი თავად დებს გარიგებას მარწმუნებლის სახელით, შეად. სკ-ის 709-ე მუხლი), არამედ ამ ხელშეკრულების მიღმაა, რადგანაც შუამავლის ვალდებულება კონტრაპენტის მოძიება, შემკვეთთან მისი დაკავშირება და ამ გზით მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების მიღწევაა, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ავტოაუქციონზე ხელშეკრულება მოპასუხემ საკუთარი სახელით გააფორმა შპს „ბ-თან“;

1.8.2. ამავდროულად უდავოა, რომ შპს „ბ-ი“ წარმოადგენდა გადამზიდველსაც, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლის შესაბამისად, ტვირთი უნდა გადაეზიდა დანიშნულების ადგილამდე – ფოთის საზღვაო ნავსადგურამდე. გადაზიდვის ხელშეკრულების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ როგორც ხელშეკრულების დადება (იხ. სკ-ის 672-ე მუხლი), ისე – მისი შესრულება სპეციალური დოკუმენტის – ზედნადების ან სხვა დოკუმენტის (მაგალითად: კონოსამენტი) შედგენითა და უფლებამოსილი პირისათვის მისი გადაცემით დასტურდება. სამოქალაქო კოდექსის 681-ე მუხლის თანახმად, ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვირთის მიტანისთანავე მიმღები უფლებამოსილია გადამზიდველს მოსთხოვოს ტვირთის მიღების დადასტურებით ზედნადების მეორე პირის გადაცემა და ამით ტვირთი ჩაითვლება გადაცემულად. თუ აღმოჩნდება ტვირთის დანაკლისი, ან ტვირთი არ არის 688-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მიტანილი, მიმღებს შეუძლია გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები საკუთარი სახელით გამოიყენოს გადამზიდველის წინააღმდეგ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გადაზიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზემოხსენებული დოკუმენტები წარმოადგენენ ხელშემკვერელი მხარის უფლებაგანმკარგავ აქტებს, რამდენადაც სწორედ დოკუ-

მენტის ხელთმქონე პირი განიხილება ტვირთის მართლზომიერ მფლობელად. ამასთანავე, სამოქალაქო კოდექსის 682-ე-684-ე მუხლების სისტემური ანალიზით პალატა ასკვნის, რომ გადაზიდვის ხელშეკრულების დასრულებისას, თუ ტვირთის მიღების დაყოვნება გამონვეულია ტვირთმიმღების ბრალით, ან სხვა, კანონით გათვალისწინებული ობიექტური საფუძვლით, გადაზიდვის დასრულების მიზნით გადამზიდავს, ბუნებრივია, შეუძლია, ტვირთმიმღების სასარგებლოდ და მისივე ხარჯით გააფორმოს მათ შორის მიზარების ხელშეკრულება, თუმცა, ამისათვის სავალდებულოა, არსებობდეს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები. საკითხის სრულყოფილად შეფასებისათვის პალატა მოიხმობს საქართველოს საზღვაო კოდექსის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც, მხარეთა უფლება-მოვალეობანი ტვირთის საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულების (თავი VIII) მიხედვით განისაზღვრება გაფორმების ადგილის კანონით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. განსახილველ შემთხვევაში, ქვემდგომ სასამართლოებს არ გამოუკვლევიათ რა მოპასუხის მიერ შექმნილი ტვირთის თაობაზე გაფორმებული კონოსამენტიის შინაარსი, საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს გამოსაყენებელ სამართალზე. ამავე კოდექსის 118-ე-120-ე მუხლებით კი, მონესრიგებულია კონოსამენტიან ან საზღვაო ზედნადებთან დაკავშირებული ურთიერთობანი, რომლებიც, სამოქალაქო კოდექსის ზემოხსენებული რეგულაციებისაგან არსებითად არ განსხვავდება და დადგენილია, რომ სამართლებრივი ურთიერთობები ტვირთის გადამზიდავსა და მიმღებს შორის განისაზღვრება კონოსამენტიით ან საზღვაო ზედნადებით. ტვირთის საზღვაო გადაზიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კონოსამენტიში ან საზღვაო ზედნადებში, აუცილებელია შეასრულოს ტვირთის მიმღებმა, თუ კონოსამენტი ან საზღვაო ზედნადებში მითითებულია საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება, რომელშიც ეს პირობებია ჩამოყალიბებული. თავად კონოსამენტი არის ტვირთის განმკარგავი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულებას და გადამზიდავის მიერ ტვირთის მიღებას ან დატვირთვას. კონოსამენტიის წარდგენისას გადამზიდავი ვალდებულია გასცეს ტვირთი. ტვირთის გემზე მიღების შემდეგ გადამზიდავი ვალდებულია ტვირთის გამგზავნის მოთხოვნით გადასცეს მას კონოსამენტი (ან საზღვაო ზედნადები), რომელიც ადასტურებს, რომ გადამზიდავმა მიიღო კონოსამენტიში მითითებული ტვირთი. 148-ე მუხლის თანახმად კი, დანიშნულების ნავსადგურში ტვირთის გადაცემის წინაპირობა კონოსამენტიის დედნის წარდგენაა.

1.8.3. საქართველოს საზღვაო კოდექსის 114-ე მუხლი საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვის რეგულაციისათვის მიუთითებს ასევე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1978 წლის კონვენციაზე საზღვაო ტვირთზიდვის შესახებ. მოხმობილი კონვენციით კი, სხვა საკითხებთან ერთად, რეგულირდება გადამზიდვის პასუხისმგებლობა და პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შეიძლება ხელშეკრულების ობიექტის მდგომარეობაზე მოეთხოვოს მას პასუხისმგებლობა, კერძოდ, კონვენციის მე-4 მუხლის (1) (2) თანახმად, ტვირთისთვის გადამზიდველის პასუხისმგებლობა კონვენციის საფუძველზე მოიცავს პერიოდს, რომლის განმავლობაში ტვირთი გადამზიდველის გამგეობაშია დატვირთვის ნავსადგურში, გადაზიდვის დროს და გადმოტვირთვის ნავსადგურში. მოცემული მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის, ტვირთი გადამზიდველის გამგეობაში მიიჩნევა:

ა) იმ მომენტიდან, როცა მან მიიღო ტვირთი:

i) ტვირთის გამგზავნისგან ან ტვირთის გამგზავნის სახელით მოქმედი პირისგან; ან

ii) რომელიმე ორგანოსგან ან სხვა მესამე მხარისგან, რომელსაც დატვირთვის ნავსადგურში მოქმედი კანონის ან რეგულაციების თანახმად ტვირთი უნდა გადაეცეს გასაგზავნად;

ბ) იმ მომენტამდე, სანამ მან გადასცა ტვირთი:

i) ტვირთის მიმღებისთვის ტვირთის ჩაბარების გზით; ან

ii) იმ შემთხვევაში, როცა ტვირთის მიმღები ტვირთს არ იღებს გადამზიდველისაგან, – ტვირთის მიმღების გამგეობაში მისი გადაცემის გზით ხელშეკრულების ან კანონის, ან ვაჭრობის ამ დარგში არსებული ჩვეულების შესაბამისად, რომლებიც გადმოტვირთვის ნავსადგურში გამოიყენება; ან

iii) ტვირთის რომელიმე ორგანოსთვის ან სხვა მესამე მხარისთვის გადაცემით, რომელსაც გადმოტვირთვის ნავსადგურში გამოყენებადი კანონისა თუ რეგულაციების შესაბამისად უნდა გადაეცეს ტვირთი.

1.8.4. ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.7.5.-1.7.6. პუნქტებში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, ვინაიდან გადამზიდავს ტვირთმიმღებისათვის არ გადაუცია ტვირთის განმკარგავი დოკუმენტი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ უნდა დაადგინოს მიზარების ხელშეკრულებაზე პასუხისმგებელი სათანადო მოპასუხის ვინაობა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, იმსჯელოს პროცესში მის ჩაბმაზე, არასათანადო მოპასუხის მიმართ დადგენილ ფაქტებთან დაკავშირებით კი, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებუ-

ლებით და მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

1.9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო სწორედ საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს ქვემდგომ სასამართლოში, რომელმაც საპროცესო სამართლის წესების დაცვით უნდა განსაზღვროს სათანადო მოპასუხის საკითხი, მის მიმართ დაადგინოს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები და ამის შემდგომ გადაწყვიტოს უფლების საკითხი.

2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა იქნას გადაწყვეტილი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ი-ის“ უფლებამონაცვლე სს „ფ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-

ქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **დაზღვევა**

### **განჩინება საქართველოს სახელის**

№ას-1272-1214-2013

18 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** სადაზღვევო პრემიის გადახდა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. სს „ს-ი ბ-მ“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადაზღვევო კომპანია, მზღვეველი, მოსარჩელე, აპელანტი, პირველი კასატორი) და გ. ბ-ემ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც დამზღვევი, მოპასუხე, მეორე კასატორი) 2010 წლის 16 ნოემბერს გააფორმეს საშემოდგომო ხორბლის ნათესებისა და მომავალი მოსავლის დაზღვევის ხელშეკრულება (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც დაზღვევის ხელშეკრულება ან ხელშეკრულება), რომლის მოქმედების ვადა 2010 წლის 16 ნოემბრიდან 2011 წლის 30 ივლისის ჩათვლით განისაზღვრა.

2. ხელშეკრულებით სადაზღვევო შესატანის გადახდის ვალდებულება ორ ეტაპად დადგინდა: დამზღვევს პირველი შესატანი, 7150 ლარი – 2010 წლის 10 დეკემბერს, ხოლო მეორე – 7150 ლარი 2011 წლის 1 აპრილს უნდა გადაეხადა.

3. მოპასუხემ სადაზღვევო პრემიის ნაწილი – 2000 ლარი 2011 წლის 3 თებერვალს, ხოლო 2500 ლარი – 2011 წლის 10 თებერვალს გადაიხადა. მას სადაზღვევო პრემია – 9800 ლარი არ გადაუხდია.

4. 2012 წლის 12 დეკემბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ 9800 ლარის დაკისრების მოთხოვნით. მისი

მტკიცებით, დამზღვევმა დაარღვია დაზღვევის ხელშეკრულების პირობები, ვალდებულება შეასრულა მხოლოდ ნაწილობრივ. ამასთან, მოპასუხეს გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება ვალდებულების შესრულების თაობაზე, თუმცა უშედეგოდ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის სადაზღვევო შესატანის (პრემიის) სრულად დაკისრება.

5. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ხელშეკრულების მე-20 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება ძალაში შედის დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის სადაზღვევო პრემიის გადახდის ოცდაოთხი საათიდან და მოქმედებს ხელშეკრულების დასრულების თარიღის ოცდაოთხ საათამდე. ამავე ხელშეკრულების 31.2 პუნქტის თანახმად, სადაზღვევო პრემიის ორ ნაწილად გადახდის შემთხვევაში, ხელშეკრულება ძალაში შედის მზღვეველის ანგარიშზე სადაზღვევო პრემიის პირველი ნაწილის ჩარიცხვის მომენტიდან. ვინაიდან მოპასუხემ პირველი შესატანი 2011 წლის 03 თებერვალს შეიტანა, რა დროსაც ორი თვით გადაცილებული იყო პირველი შენატანისათვის დადგენილი ვადა, დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში არ შესულა და მხარეებს ერთმანეთის მიმართ უფლება-მოვალეობები არ წარმოშობიათ. რაც შეეხება გაფრთხილების წერილს, ხელშეკრულების თანახმად, პრემიის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, მზღვეველი დამზღვევს 2-კვირიან დამატებით ვადას უწესებს ვალდებულების შესასრულებლად, ამ ვადის უშედეგოდ გასვლისას თუ მოხდება სადაზღვევო შემთხვევა, იგი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან. მოცემულ შემთხვევაში კი, სადაზღვევო კომპანიამ დამზღვევს გაფრთხილების წერილი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან 4 თვის შემდეგ გაუგზავნა. ამდენად, მოპასუხის მტკიცებით, დამატებითი ვადის დაწესება უკანონო იყო და კომპანიის უსაფუძვლო გამდიდრებას ემსახურებოდა.

## **6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა.**

6.1. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 799.1, 815.1, 816-ე, 8.3, 817-ე მუხლები და განმარტა, რომ დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი და რეალური ხელშეკრულებაა, რომლის დასაგებად მხოლოდ მხარეთა შეთანხმება არ არის საკმარისი, აუცილებელია ერთმა მხარემ სადაზღვევო პოლისი გასცეს, მეორემ კი – სადაზღვევო პრემია გადაიხადოს. ამდენად, დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საჭიროა დამზღვევმა პრემია



ერთჯერადად ან შეთანხმებით გათვალისწინებული გრაფიკით გადაიხადოს.

6.2. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს სადაზღვევო პოლისი არ გაუცია, ხოლო დამზღვევეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველადი შესატანი დათქმულ დროს არ გადაუხდია, რაც იმას ნიშნავდა, რომ მზღვეველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ წარმოშობია. სასამართლოს განმარტებით, სამართლიანობის პრინციპს არსებითად ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები წარმოემყვას მხოლოდ მოპასუხე მხარეს, მაშინ, როდესაც იგივე ვალდებულებები არ წარმოშობია სადაზღვევო კომპანიას. ამდენად, დაზღვევის ხელშეკრულების რეალური ბუნებიდან გამომდინარე, რადგან მოპასუხემ არ გადაიხადა სადაზღვევო პრემია არც კანონით და არც ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, სასამართლომ ხელშეკრულება დადებულად არ მიიჩნია და სარჩელი არ დააკმაყოფილა.

6.3. სასამართლომ მიუთითა, რომ, როგორც კანონი, ისე მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდას უკავშირებს მზღვეველის უფლებას, განსაზღვროს სადაზღვევო პრემიის გადახდის ორკვირიანი ვადა ან ერთი თვიანი ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის შესახებ. განსახილველ შემთვევაში, სადაზღვევო შესატანის გადაუხდელობის მიუხედავად, მზღვეველს დამზღვევი მოსალოდნელი შედეგის თაობაზე არ გაუფრთხილებია. სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნორმები არ არის მავალდებულებელი, კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს, მართლზომიერად გამოიყენოს თავისი უფლებები და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ არ მოითხოვოს სადაზღვევო შენატანის ანაზღაურება, მაშინ, როდესაც თავად არ წარმოშობია გარეგნობით გათვალისწინებული ვალდებულებები.

**7. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით შემდეგ საფუძვლებზე მიითვებით:**

7.1. აპელანტის მტკიცებით, სადაზღვევო კომპანიამ სადაზღვევო პოლისი გასცა. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარმოდგენილ დოკუმენტს „სადაზღვევო პოლისი“ არ აწერია, ის შეიცავს ყველა იმ რეკვიზიტს, რაც, კანონის თანახმად, სადაზღვევო პოლისს სჭირდება.

7.2. აპელანტი არ იზიარებს სასამართლოს დასკვნას, რომ, ვინაიდან მოპასუხემ სადაზღვევო პრემიის პირველადი შენატანი დადგენილ ვადაში არ გადაიხადა, მზღვეველს არ წარმოშობია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. მხარემ პირველი სადაზღვევო შესატანი დაგვიანებით გადაიხადა, ეს კი უნდა შეფასდეს, როგორც ვალდებულების აღიარება, რამაც მზღვეველს ამ მომენტიდან წარმოუშვა, სადაზღვევო შემთხვევის პირობებში, ანაზღაურების ვალდებულება. აპელანტის მტკიცებით, სსკ-ის 816-ე მუხლის მიხედვით, მზღვეველი თავისუფალია ანაზღაურების ვალდებულებისაგან მხოლოდ პირველადი შენატანის გადახდამდე. იგი არ გულისხმობს, რომ ამ ვალდებულების წარმოშობისათვის თანხა აუცილებლად სრულად უნდა იყოს გადახდილი ან თუნდაც დაგვიანების გარეშე.

7.3. აპელანტის მოსაზრებით, აუცილებელია, გაიმიჯნოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტი და რეალური ხელშეკრულების ძალით კონკრეტული ვალდებულებების წარმოშობის მომენტი. კანონის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება დადების დღის ოცდაოთხ საათზე. დამზღვევის მიერ პირველად შენატანს კი, მხოლოდ მზღვეველის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობა უკავშირდება და არა – ხელშეკრულების ძალაში შესვლა. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სადაზღვევო შენატანის ნაწილი გადახდილია 2011 წლის 3 თებერვალს, ამ დროიდან მზღვეველს, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის პირობებში, ანაზღაურების ვალდებულება წარმოეშვა და, შესაბამისად, იგი სრულად გახდა სადაზღვევო რისკის მონაწილე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დამზღვევის გათავისუფლება დარჩენილი სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების ვალდებულებისაგან საფუძველსაა მოკლებულია.

**8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა.**

8.1. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ, მართალია, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ, მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი სწორი შედეგი, კონკრეტულ შემთხვევაში, ვერ გახდებოდა გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველი.

8.2. პალატამ ერთმანეთისგან გამიჯნა ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და ხელშეკრულების ძალით კონკრეტული ვალდებულებების წარმოშობის მომენტი და მიიჩნია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2010 წლის 16 ნოემბრიდან წარმოიშვა დაზღვევის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ნამდვილობაც სადაზღვევო პრემიის გადახდას არ უკავშირდებოდა. პალატის მოსაზრებით, ის, რომ სადაზღვევო პრემიის გადახდამდე, სადაზღვევო შემთხვევის მიუხედავად, მზღვეველს არ წარმოეშობა სადაზღვევო თანხის გაცემის ვალდებულება, მიუთითებს არა ხელშეკრულების რეალურობაზე, არამედ ხელშეკრულების სასყიდლიანობაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 806-ე მუხლის დანაწესი ცალსახად ადასტურებს, რომ დაზღვევის ხელშეკრულება, თავისი სამართლებრივი ბუნებით, წარმოადგენს კონსესუალურ ხელშეკრულებას, რომლის დადებისთვისაც საკმარისია მხარეთა მიერ ნების გამოვლენა. მოცემულ შემთხვევაში კი, მხარეთა ნება გამოვლენილია.

8.3. პალატის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მზღვეველის მიერ საბუთი სადაზღვევო პოლისის სახელწოდებით არ გაცემულა, იგი ყველა იმ პირობასა და აუცილებელ რეკვიზიტს შეიცავს, რაც პოლისისათვის აუცილებელია. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ სადაზღვევო კომპანიის სასარგებლოდ გადახდილი თანხა სადაზღვევო პრემიის (თუნდაც არასრული სახით) ნაწილი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ იგი, როგორც მოცულობით, ასევე, გადახდის ვადის თვალსაზრისით, არ აკმაყოფილებდა სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მომავალში უკან დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა, როგორც უსაფუძვლოდ გადახდილი თანხა.

8.4. სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების შესახებ, უსაფუძვლო იყო, მით უმეტეს, რომ არც სადაზღვევო შემთხვევა არ დამდგარა და არც სადაზღვევო თანხა არ გაცემულა. პალატამ განმარტა, რომ მზღვეველის უფლებამოსილება დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, შემოიფარგლება ხელშეკრულების მოშლის და არა – სადაზღვევო პრემიის დამზღვევისაგან გადახდევინების მოთხოვნის უფლებით. სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდას კანონმდებელი უკავშირებს მზღვეველის უფლებამოსილებას, დამზღვევს წერილობით განუსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა ან ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე (სსკ-ის 817-ე-818-ე მუხლები). პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, ეს ნორმები არ არის მავალდებულებელი, მაგრამ კეთილსინდისიერების პრინ-

ციპი ავალდებულებს მზღვეველს, მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და, სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას და შემდეგ მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სსკ-ის 817-ე მუხლის დათქმაზეც, რომ გაფრთხილების ორკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, თუ ამ დროისათვის დამზღვევის მიერ გადაცილებულია შესატანის გადახდის ვადა, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობებისაგან. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ, თუკი დამზღვევის მიერ პრემიის გადახდამდე მზღვეველი გათავისუფლებულია სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან, დაუშვებელია, ძალაში დარჩეს დამზღვევის ვალდებულება იმ პერიოდისათვის გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია).

**9. აღნიშნული გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა როგორც მოსარჩელემ, ისე მოპასუხემ. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**

9.1. პირველი კასატორის მტკიცებით, ვალდებულების არსებობისათვის განმსაზღვრელია დაზღვევის ხელშეკრულების დადება, რადგან დამზღვევი უპირობოდ ვალდებულია, გადაიხადოს პრემია მას შემდეგ, რაც მზღვეველი გასცემს დაზღვევის დამადასტურებელ საბუთს. დაზღვევის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების ერთობლივი ანალიზი ცხადყოფს, რომ დაზღვევის ხელშეკრულების დადებით ორივე მხარე კისრულობს გარკვეულ ვალდებულებებს. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება დაკავშირებულია მზღვეველის მიერ სადაზღვევო პოლისის დამზღვევისათვის გადაცემასთან და არა სადაზღვევო შემთხვევასთან ან სადაზღვევო თანხის მიღებასთან. დაზღვევის შეწყვეტის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია, მიიღოს ნაკისრი რისკის ხანგრძლივობის პროპორციული თანხა. შესაბამისად, ვალდებულების ძალით, როგორც დამზღვევია უფლებამოსილი, მზღვეველისაგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ისე მზღვეველია უფლებამოსილი, დამზღვევს მოსთხოვოს ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

9.2. დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას, მზღვეველს გონივრული მოლოდინი აქვს, რომ დამზღვევმა მზღვეველთან ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაში შესვლისა და სადაზღვევო მომსახურების მიღების ნება ნათლად გამოხატა. ამდე-

ნად, მზღვეველი მოელის, რომ დამზღვევი კეთილსინდისიერად შეასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, ხოლო სადაზღვევო ინტერესის დაკარგვის შემთხვევაში, მზღვეველს მიანვდის ინფორმაციას ამის თაობაზე.

9.3 პირველი კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მზღვეველი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს დარჩენილი სადაზღვევო პრემიის გადახდა დამზღვევისაგან, რადგან კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებული იყო, ესარგებლა ხელშეკრულების მოშლის უფლებით. კასატორს გაუმართლებლად მიაჩნია, სასამართლოს მიერ მზღვეველის დავალდებულება, რომ ისარგებლოს კანონით მინიჭებული უფლებით და, სადაზღვევო შენატანის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მოშალოს ხელშეკრულება, ამასთან, არ მოითხოვოს განვლილი პერიოდის პრემია.

მისი მტკიცებით, თუ დაზღვევის ხელშეკრულება ძალაშია, მზღვეველს უფლება აქვს, იძულების წესით მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის გადახდის დაკისრება დამზღვევზე ხელშეკრულების ძალაში ყოფნის პროპორციულად. მოცემულ შემთხვევაში კი, დაზღვევა უწყვეტად იყო ძალაში და დამზღვევს ინტერესის დაკარგვის შესახებ არ განუცხადებია. მისი მოსაზრებით, სადაზღვევო კომპანია თავის თავზე იღებს სადაზღვევო შემთხვევის რისკს და სწორედ ამ მომსახურების მისაღებად დამზღვევი ვალდებულია, გადაიხადოს მომსახურების თანხა – პრემია იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც დაზღვევის ხელშეკრულება ძალაშია, მიუხედავად იმისა, სადაზღვევო შემთხვევა დადგება თუ არა. ამასთან, კასატორი დამზღვევის არაკეთილსინდისიერებაზეც აპელირებს და მიიჩნევს, რომ მანაც კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს საკუთარი უფლებები და მოვალეობები. თუკი მას აღარ ჰქონდა დაზღვევის ინტერესი, სწორედ იგი იყო ვალდებული, უზრუნველყო მზღვეველის ინფორმირება.

9.4. პირველი კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ სადაზღვევო კომპანია გათავისუფლებული იყო სადაზღვევო პრემიის ანაზღაურებისაგან. პირიქით, მისი მტკიცებით, დამზღვევის მიერ პირველი შესატანის გადახდის მომენტიდან, სადაზღვევო შემთხვევისას, კომპანია ვალდებული იყო, გაეცა სადაზღვევო ანაზღაურება. ამასთან, მზღვეველს არ გამოუყენებია მისთვის მინიჭებული უფლება ორკვირიანი ვადის დაწესების თაობაზე, რის გამოც ვალდებულება სადაზღვევო თანხის ანაზღაურების თაობაზე უწყვეტად განაგრძობდა არსებობას ხელშეკრულების დასრულებამდე.

9.5. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ იგი იზიარებს პირველი

ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ, მიიჩნევს, რომ დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში არ შესულა. მხარეთა შეთანხმების მიხედვით, იგი ძალაში შედის დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის სადაზღვევო პრემიის გადახდის დღის 24 საათზე, ხოლო პრემიის ორ ნაწილად გადახდის შემთხვევაში, ხელშეკრულება ძალაში შედის მზღვეველის ანგარიშზე სადაზღვევო პრემიის პირველი ნაწილის ჩარიცხვის მომენტიდან. ამდენად, მართალია, ხელშეკრულება დადებულია, მაგრამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობა მისი ძალაში შესვლისა, არ არის შესრულებული, რადგან დამზღვევმა პირველი შენატანი ორი თვის დაგვიანებით გადაიხადა. ვინაიდან ხელშეკრულება ძალაში არ შესულა, მხარეებს ერთმანეთის მიმართ უფლება-მოვალეობები არ წარმოშობიათ.

9.6. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ დამზღვევის მიერ გადახდილი თანხა სადაზღვევო პრემიის (თუნდაც არასრული სახით) ნაწილი იყო, რომელიც მომავალში უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, მეორე კასატორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული დასკვნა ეწინააღმდეგება თავად სასამართლოს მსჯელობას, რომ სადაზღვევო შესატანის გადაუხდელობა სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველია და ხელშეკრულების ძალით კონკრეტული ვალდებულება არ წარმოშობილა. ამასთან, მეორე კასატორი მიიჩნევს, რომ მითითებული მსჯელობით სააპელაციო სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებსა და დავის არსს.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

11. საკასაციო საჩივრები დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

12. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-

დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

13. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მხარეთა შორის სადავო არ არის. სადავოა მხარეთა შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლის საკითხი. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას დაზღვევის ხელშეკრულების კონსესუალურ ბუნებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ იგი რეალური ხელშეკრულებაა, რომლის ასამოქმედებლად სავალდებულოა მზღვეველის მიერ დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის გაცემა და დამზღვევის მიერ სადაზღვევო შენატანის გადახდა (მდრ. იხ. სუსგ, ას-663-624-2011, 17.02.2012; ას-1165-1110-2014, 23.01.2015). შესაბამისად, მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობისათვის მითითებული ორი პირობის შესრულება სავალდებულოა. ამდენად, სსკ-ის 799-ე მუხლით განმტკიცებული (დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა, აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა, გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება) მზღვეველის ძირითადი ვალდებულება, სადაზღვევო შემთხვევისას აანაზღაუროს ზიანი, არ წარმოიშობა პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შენატანის დროულად გადახდამდე (სსკ-ის 816-ე მუხლის თანახმად, პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შენატანის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისგან).

14. ასეც რომ არ იყოს და საკასაციო პალატამ გაიზიაროს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება დაზღვევის ხელშეკრულების კონსესუალურ ბუნებასთან დაკავშირებით, მოცემულ შემთხვევაში, თავად მხარეებმა დაუკავშირეს ხელშეკრულების ძალაში შესვლა დამზღვევის მიერ პრემიის გადახდას. ხელშეკრულების მე-20 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება ძალაში შედის დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის სადაზღვევო პრემიის გადახდის დღის 24 საათიდან და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების დასრულების თარიღის 24 საათამდე. მზღვეველის პასუხისმგებლობა იწყება ნათესის აღმონაცენის შესახებ აქტის შედგენის მომენტიდან, მაგრამ არაუადრეს სადაზღვევო პრემიის (მისი პირველი ნაწილის) მზღვეველის ანგარიშზე ჩარიცხვის დღისა, ხოლო, ხელშეკრულების 30.6 პუნქტის თანახმად, შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დამზღვევის მიერ გადახდამდე, მზღვეველი თავის

ვისუფალია ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან. 31.2. პუნქტის თანახმად, სადაზღვევო პრემიის ორ ნაწილად გადახდის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მზღვეველის ანგარიშზე სადაზღვევო პრემიის პირველი ნაწილის ჩარიცხვის მომენტიდან.

15. მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ დამზღვევეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველი სადაზღვევო შესატანი – 7150 ლარი არც ხელშეკრულებით განსაზღვრულ დღეს – 2010 წლის 10 დეკემბერს და არც მას შემდეგ არ გადაუხდია. მან, მართალია, სადაზღვევო კომპანიის სასარგებლოდ გადაიხადა ჯამში 4500 ლარი, თუმცა, ვინაიდან, როგორც კანონმდებელი, ისე ხელშეკრულება, მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას პირველი პრემიის სრულად და დროულად გადახდას უკავშირებს, მისი არასრულად გადახდა დამზღვევეს მიერ პირველი შესატანის თაობაზე მხარეთა შეთანხმების შესრულებად ვერ მიიჩნევა. ცალსახაა, რომ პირველი პრემიის ნაწილის და ისიც დაგვიანებით გადახდა არ იწვევს ხელშეკრულების ძალაში შესვლას. შესაბამისად, ვინაიდან ხელშეკრულება ძალაში არ შესულა, არ არსებობს სადაზღვევო პრემიის სრულად გადახდის მოთხოვნის წინაპირობები.

16. პირველი კასატორის ძირითადი არგუმენტი, რომ დამზღვევემა სადაზღვევო პრემიის ნაწილის გადახდით საკუთარი ვალდებულება აღიარა და მზღვეველსაც ამ დროიდან წარმოეშვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. პალატის მოსაზრებით, სსკ-ის 361-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების არსებობის პრეზუმფციაზე (ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას) აპელირება უსაფუძვლოა, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, პრეზუმირებული ფაქტი არ არსებობს. მართალია, ხელშეკრულება სამართლებრივი ძალის მქონე არ არის, თუმცა იგი წერილობით გაფორმებულია, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულების არსებობის პრეზუმირება არ ხდება, ვინაიდან არსებობს წერილობითი ხელშეკრულება, ასევე, დადგენილია, რომ დამზღვევემა მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობა, 2010 წლის 10 დეკემბერს მზღვეველის სასარგებლოდ 7150 ლარი გადაეხადა, არ შეასრულა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება დამზღვევეს მიერ ვალდებულების დარღვევად არ მიიჩნევა, ვინაიდან დაზღვევის ხელშეკრულების თავისებურებიდან გამომდინარე, პირველი პრემიის გადახდამდე მხარეებს ერთმანეთის მიმართ უფლება-მოვალეობები არ წარმოშობიათ. შესაბამისად, კასატორის არგუმენტი პირველი პრემიის ნაწილის გადახდით ვალდებულების აღიარების თაობაზე უსაფუძვლოა.

17. პალატა იზიარებს პირველი კასატორის მსჯელობას, რომ,



დაზღვევის შეწყვეტის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია, მიიღოს ნაკისრი რისკის ხანგძლივობის პროპორციული თანხა, თუმცა მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულება კი არ შეწყდა, იგი ძალაში არ შესულა. ის ფაქტი, რომ სადაზღვევო რისკის რეალიზაციის შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია არ აანაზღაურებდა ზიანს, პირველმა კასატორმა სასამართლო პროცესზეც დაადასტურა. შესაბამისად, უსაფუძვლოა აპელირება, რომ მითითებული სადაზღვევო პრემიის თანხა მზღვეველის მიერ გაწეული „რისკის ტარების“ ღირებულებაა.

18. ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, პირველი სადაზღვევო შესატანის გადაუხდელობა კი, სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველია, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში არ შესულა და სადაზღვევო კომპანიის მოთხოვნა სადაზღვევო პრემიის სრულად დაფარვის თაობაზე უსაფუძვლოა (შდრ. იხ. სუსგ, №ას-841-799-2013, 10.02.2015).

20. რაც შეეხება მეორე კასატორის საკასაციო პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ამ საქმეში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტს (იმის შესახებ, რომ მოპასუხის მიერ გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება), შესაძლოა პრეიუდიციული ძალა მიენიჭოს სხვა საქმეში, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს. ჯერ ერთი, სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული მოსაზრება არის სამართლებრივი შეფასება და არა ფაქტი. სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას კი, პრეიუდიციული ძალა ვერ მიენიჭება. მეორე, გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მოცემულ საქმეში დავის საგანი არ არის. აქედან გამომდინარე, ამ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ემსჯელა, ამიტომ მის მიერ გაკეთებულ დასკვნებს, სსსკ-ის 106-ე და 266-ე მუხლების შესაბამისად, პრეიუდიციული ძალა ვერ ექნება ამავე მხარეებს შორის გამართულ სხვა დავაში.

21. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

22. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკ-

მაყოფილებს საკასაციო საჩივრებს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

23. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ს-ისა“ და გ. ბ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# საბანკო კრედიტი

## ზიანის ანაზღაურება კრედიტის ვადაში დაბრუნებისათვის

### ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-681-652-2016

17 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** დავალიანების გადახდა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. სს „თ-ი“ ბანკსა (შემდეგში: მოსარჩელე, ბანკი, გამსესხებელი, კრედიტორი ან აპელანტი) და ლ. ც-ს (შემდეგში: მოპასუხე, მსესხებელი, მოვალე ან კასატორი) შორის, 2012 წლის 29 ივნისს, გაფორმდა საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება, საკრედიტო ბარათი გაიცა 960 ლარიანი საკრედიტო ლიმიტით. საკრედიტო ლიმიტის ვადად განისაზღვრა 728 დღე, წლიური 22%-იანი საპროცენტო სარგებლის დარიცხვით, ხოლო ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრა 20 ლარით გრაფიკის ყოველი დარღვევისათვის (გარდა სესხის წინსწრებით დაფარვისა) და 0,5% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 867-ე, 417-ე-418-ე მუხლები; იხ. საკრედიტო ბარათით სარგებლობის ხელშეკრულება).

2. ამ ხელშეკრულებაზე 2013 წლის 19 ივნისს ავტომატურად გაიზარდა საკრედიტო ლიმიტის მოცულობა. ათვისებული და დაბრუნებული თანხების ნაშთმა შეადგინა 1560.23 ლარი.

3. გამსესხებელსა და მსესხებელს შორის, 2013 წლის 24 ივნისს გაფორმდა საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ მეორე ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მსესხებელზე გაიცა საკრედიტო ბარათი, 1500 ლარიანი საკრედიტო ლიმიტით, 16 072 კალენდარული დღის ვადით (25.06.2057 წლამდე). ხელშეკრულების საფუძველზე დადგინდა წლიური 36%-იანი საპროცენტო სარგებლის დარიცხვა, ხოლო ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლო

განისაზღვრა 20 ლარით გრაფიკის ყოველი დარღვევისათვის (გარდა სესხის წინსწრებით დაფარვისა) და დავალიანების 0,5% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სსკ-ის 867-ე, 417-ე-418-ე მუხლები; იხ. საკრედიტო ბარათით სარგებლობის ხელშეკრულება).

4. ზემოხსენებულ ხელშეკრულებაზე 2013 წლის 8 ივლისს ავტომატურად გაიზარდა საკრედიტო ლიმიტი. ათვისებული და დაბრუნებული თანხების ნაშთმა შეადგინა 5995.75 ლარი (იხ. თ-ის განაცხადი).

5. მსესხებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და მისი დავალიანება ბანკის წინაშე, 2015 წლის 17 აპრილის მდგომარეობით, დავალიანების შესახებ გაცემული ცნობის საფუძველზე, 29.06.2012წ. ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს 1856, 90 ლარს, ხოლო 24.06.2013წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 7212, 84 ლარს (იხ. ამ განჩინების პირველი და მესამე პუნქტები; ასევე, დავალიანების შესახებ).

#### **სასარჩელო მოთხოვნა:**

**6. ბანკმა 2015 წლის 21 მაისს სარჩელი აღძრა მსესხებლის წინააღმდეგ, ხოლო იმავე წლის 30 სექტემბერს დაზუსტებული სარჩელით მოითხოვა:**

6.1. 29.06.2012წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 1856,90 ლარის დაკისრება მოპასუხისათვის, საიდანაც სესხის ძირითადი თანხაა – 1560.23 ლარი, სარგებელი – 82.07 ლარი, პირგასამტეხლო – 214.60 ლარი;

6.1.1. 29.06.2012წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების შესახებ ცნობის გაცემის დღიდან (17.04.2015 წლიდან), მოპასუხეს დაეკისროს ძირითად თანხაზე – 1560.23 ლარზე, არა უმეტეს ერთი წლისა წლიური 22% სარგებლის გადახდა, რაც ყოველთვიურად შეადგენს 28 ლარს (წლიური თანხა 343 ლარი).

6.1.2. 29.06.2012წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების შესახებ ცნობის გაცემის დღიდან (17.04.2015 წლიდან), მოპასუხეს დაეკისროს ძირითად თანხაზე – 1560.23 ლარზე, არა უმეტეს ერთი წლისა პირგასამტეხლოს – 0,5%-ის გადახდა, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა, რაც ყოველდღიურად 7 ლარს შეადგენს;

6.2. 24.06.2013წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 7212.84 ლარის დაკისრება მოპასუხისათვის, საიდანაც სესხის ძირითადი თანხაა – 5995.75 ლარი, სარგებელი – 855.05 ლარი, პირგასამტეხლო – 362.04 ლარი;

6.2.1. 24.06.2013წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების შესახებ ცნობის გაცემის დღიდან (17.04.2015 წლიდან), მოპასუხეს დაეკისროს ძირითად თანხაზე – 5995.75 ლარზე, წლიური

36%-იანი სარგებლის გადახდა, რაც ყოველთვიურად შეადგენს 179.87 ლარს;

6.2.2. 24.06.2013წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების შესახებ ცნობის გაცემის დღიდან (17.04.2015 წლიდან), მოპასუხეს დაეკისროს ძირითად თანხაზე – 5995.75 ლარზე, არა უმეტეს ერთი წლისა, პირგასამტეხლოს – 0,5%-ის გადახდა, მაგრამ არა უმეტეს 300 ლარისა, რაც ყოველდღიურად 29 ლარს შეადგენს; საერთო ჯამში მოპასუხემ მოითხოვა 14 528.87 ლარი;

6.3. მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის დაკისრება, სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე, რადგან მოსარჩელემ მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო დაკარგა ის სარგებელი, რასაც ბანკი მიიღებდა ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულებით და სარგებელი, რომელსაც ბანკი მიიღებდა სარგებლის შემდგომი დაკრედიტების შემთხვევაში. საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების 2.1.8 პუნქტით განისაზღვრა წლიური საპროცენტო სარგებელი 36%-ის ოდენობით. ბანკმა მოითხოვა მოვალისათვის მიუღებელი შემოსავლის დაკისრება არა გადაწყვეტილების აღსრულებამდე, არამედ, არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში, რათა მოპასუხე არ აღმოჩენილიყო კაბალურ მდგომარეობაში.

6.4. მოსარჩელემ, ასევე, მოითხოვა მოპასუხისათვის იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი, დავის საგნის 4%-ის, 462.85 ლარის დაკისრება (იხ. სარჩელი, დაზუსტებული სარჩელი).

#### **მოპასუხის შესაგებელი**

7. მოპასუხემ შესაგებლით სარჩელი ცნო 29.06.2012წ. და 24.06.2013წ. ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანების – 1560.23 ლარის ნაწილში, ხოლო მოთხოვნილი პირგასამტეხლო, შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიიჩნია და მისი შემცირება მოითხოვა (იხ. შესაგებელი).

#### **საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება**

**8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ბანკის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და, მის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრა:**

8.1. 8550.76 ლარის გადახდა;

8.2. ბანკს უარი ეთქვა მოპასუხისათვის ყოველთვიურად 28 ლარის დაკისრებაზე 2015 წლის 17 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

8.3. ბანკს უარი ეთქვა მოპასუხისათვის ყოველთვიურად 7 ლარის დაკისრებაზე 2015 წლის 17 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

8.4. ბანკს უარი ეთქვა მოპასუხისათვის ყოველთვიურად 179.87

ლარის დაკისრებაზე 2015 წლის 17 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

8.5. ბანკს უარი ეთქვა მოპასუხისათვის ყოველთვიურად 29 ლარის დაკისრებაზე 2015 წლის 17 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

8.6. გადაწყვეტილება მიეცეულ იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად;

8.7. მოპასუხეს, ბანკის სასარგებლოდ, დაეკისრა იურიდიული მომსახურების ხარჯის – 342.52 ლარის ანაზღაურება, ასევე, სახელმწიფო ბაჟის – 256.52 ლარის, ასევე, აკრძალვის რეგისტრაციის საფასურის – 20 ლარის გადახდა (იხ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება).

### **საქალაქო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები**

9. საქალაქო სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 327-ე, 361-ე, 411-ე, 417-ე, 420-ე, 867-ე მუხლები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 268-ე მუხლი.

10. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეებმა სადავოდ გახადეს ძირითად თანხაზე გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა და, მიუღებელი შემოსავლის სახით, მიყენებული ზიანის არსებობა დავალიანების შესახებ ცნობის გაცემიდან (2015 წლის 17 აპრილიდან) გადაწყვეტილების აღსრულებამდე (იხ. მე-5 პუნქტი).

11. სასამართლომ საბანკო კრედიტის მომწესრიგებელ სამართლის ნორმებზე – კერძოდ, სსკ-ის 867-ე-873-ე მუხლებზე მიუთითა, რომელთა საფუძველზე, ხელშეკრულების მხარეთა უფლებამოვალეობანი სწორედ ბანკსა და მოვალეს გააჩნიათ. სსკ-ის 867-ე მუხლით: „საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით“, ხოლო 868.1 მუხლით, მხარეთა შეთანხმებით, კრედიტისათვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, ამასთან, სსკ-ის 361.2 მუხლით, „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“.

12. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა საკრედიტო ბარათით სარგებლობის ხელშეკრულებიდან წარმოიშვა, რომელიც დადებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან კანონით გათვალისწინებული ფორმით. საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით, ბანკის ძირითადი ვალდებულებაა გასცეს მსესხებელზე სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით, ხოლო მსესხებელი ვალდებულია,

გადაიხადოს შეთანხმებული თანხა სარგებელთან ერთად.

13. სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 208.3 მუხლზე და განმარტა, რომ სარჩელის აღიარების შემთხვევაში, სასამართლო აღარ ამოწმებს და აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. გადანყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ ეფუძნება მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას. იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხემ სარჩელი ცნო 1560.23 ლარის ნაწილში (იხ. მე-7 პუნქტი), აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა.

14. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საკრედიტო ბარათით სარგებლობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები მოვალეს არ შეუსრულებია, ამასთან, ვალდებულების დროული და ჯეროვანი შესრულება სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთათვის არსებითი მნიშვნელობისაა. ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა ის მდგომარეობა, როდესაც კრედიტორი ვალდებულების შესრულებას დროის მკაცრად განსაზღვრულ მონაკვეთს უკავშირებს, ხოლო მოვალე ვალდებულებას დათქმულ ვადაში არ ასრულებს. იმ შედეგების აღსაკვეთად, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ შეიძლება გამოიწვიოს, კანონმდებელი სხვადასხვა ზომას ითვალისწინებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფენ და ემსახურებიან მისი შედეგების აღმოფხვრას, სწორედ ამ მიზანს ემსახურება პირგასამტეხლოს ინსტიტუტი, რომელიც ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს.

15. სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლების მოწესრიგებაზე მიუთითა სასამართლომ და მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო, კერძოდ, სარჩელის აღძვრამდე მოთხოვნილი პირგასამტეხლო უნდა შემცირებულიყო (სსკ-ის 417-ე-418-ე, 420-ე მუხლები) და მოპასუხეს პირგასამტეხლო არ უნდა დაკისრებოდა დავალიანების შესახებ ცნობის გაცემიდან – 17.04.2015 წლიდან (იხ. მე-5 პუნქტი) გადანყვეტილების აღსრულებამდე.

16. სასამართლომ იმსჯელა, რომ ბანკის მითითებით, მის საქმიანობას წარმოადგენდა საკუთრებაში არსებული ფულადი სახსრებიდან შესაბამისი მოგების მიღება. მოსარჩელის მტკიცებით, რადგან მოპასუხემ არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, მასვე უნდა დაკისრებოდა სესხის ძირითად თანხაზე, მიუღებელი შემოსავლის სახით, 29.06.2012წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 17.04.2015 წლიდან ძირითად თანხაზე – 1560.23 ლარზე, არა უმეტეს ერთი წლისა, წლიური 22%-ის სარგებ-

ლის გადახდა, რაც ყოველთვიურად შეადგენდა 28 ლარს. 24.06.2013წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 17.04.2015 წლიდან, სესხის ძირითად თანხაზე – 5995, 75 ლარზე, ორი წლის განმავლობაში დარიცხული, წლიური 36%-იანი სარგებლის გადახდა, რაც ყოველთვიურად შეადგენდა 179.87 ლარს.

17. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მისი მსჯელობის საგანს წარმოადგენდა მსესხებლის დავალიანების შესახებ ცნობის გაცემიდან – 2015 წლის 17 აპრილიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე პერიოდში, მიადგა თუ არა ზიანი მოსარჩელეს, მიუღებელი შემოსავლის სახით. ამ მიზნით სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია მიუღებელი შემოსავლის არსის განმარტება სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე, რომლითაც დადგენილია: „ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო“. მიუღებელი შემოსავალი, თავისი ბუნებით, გულისხმობს წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს, რომელიც მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი ექნებოდა მოვლენების განვითარებაში მართლმთხრობის ფარგლებში რომ მომხდარიყო. მიუღებელი შემოსავალი ზიანის ერთ-ერთი სახეა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ყველა ის ელემენტი, რომელიც ზიანიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის არის გათვალისწინებული, კერძოდ: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

18. სასამართლოს შეფასებით განსახილველ შემთხვევაში, გაურკვეველი იყო, რომ თუკი მოსარჩელისათვის წინასწარ იყო ცნობილი ვალდებულების დარღვევის გამო მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის საფუძველები, რატომ არ მიმართა ბანკმა შესაბამის ზომებს ვალდებულების დარღვევის დღიდან (რამ გამოიწვია დიდი ოდენობით პირგასამტეხლოს დაგროვება). ასევე, გაურკვეველი იყო, მიუღებელი შემოსავლის გამოანგარიშებაზე რატომ უნდა გავრცელებულიყო 29.06.2012წ. და 24.06.2013წ. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებელი.

19. საქალაქო სასამართლომ სსსკ-ის მე-4, 102-ე და 105-ე მუხლებზე მიუთითა და განმარტა, რომ მოსარჩელემ ვერ განსაზღვრა მკაფიოდ და ვერ დაადასტურა უტყუარი მტკიცებულებებით ზიანის, როგორც მიუღებელი შემოსავლის, დადგომა, შესაბამისად, ბანკის მიერ მითითებული გარემოება, რომ მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთრებაში არსებული ფულადი სახსრებიდან მოგების მიღება, არ იყო დადასტურებული.



## **მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები**

20. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ (კრედიტორმა), რომელმაც მოითხოვა სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა და, ახალი გადაწყვეტილებით, ბანკის სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

20.1. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 420-ე მუხლით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება და დაუსაბუთებლად შეამცირა პირგასამტეხლო. გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა კონკრეტული გარემოებებით: სესხის ძირითადი თანხითა და დარიცხული პროცენტის ოდენობით, გასულია თუ არა ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ის გარემოებები, თუ როდის და რა მიზეზით მოხდა ვალდებულების დარღვევა, მხარის ქონებრივი მდგომარეობა და ა.შ;

20.2. მოცემულ შემთხვევაში, მსესხებლის მიერ ვალდებულების დარღვევისა და ბოლო გადახდებიდან გამომდინარე, სარჩელის აღძვრამდე დარიცხული პირგასამტეხლო შეესაბამებოდა სესხის ძირითად თანხას და სრული იურიდიული საფუძველი არსებობდა ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხე იმაზე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე კეთილსინდისიერი ვადამხდელი, რომელიც ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას. იმის გარდა, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ბანკის მიერ მიუღებელი შემოსავლის მიღების საშუალებას, იგი ერთგვარი სანქციაცაა. სასამართლოს პრაქტიკა, მინიმუმამდე შეამციროს პირგასამტეხლოს ოდენობა, თავის მნიშვნელობას უკარგავს ამ სამართლებრივ ინსტიტუტს, უბიძგებს მსესხებელს, თავი აარიდოს დავალიანების გადახდას, რადგან სასამართლო ისედაც შეამცირებს მას და ზიანს აყენებს კრედიტორს. ასეთი პრეცედენტების გახშირება კი ხელს უშლის სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას;

20.3. დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილშიც. ბანკის საქმიანობას წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული ფულადი სახსრებიდან შესაბამისი მოგების მიღება და ვალდებულების შეუსრულებლობა თავისთავად ზიანის მომტანია მხარისათვის, რადგან კრედიტორს ყოველთვის აქვს შესრულების მოლოდინი და შესრულება მისთვის ყოველთვის გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენს. მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანი დგება, როდესაც ვალდებულების კრედიტორს გარკვეული შემოსავლის წყარო გაუჩნდებოდა, დამატებით მატერიალურ სიკეთეს შეიძენდა, რაც ვერ

განხორციელდა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. განსახილველ შემთხვევაში ბანკი ვერც მის მიერ გაცემულ თანხას იბრუნებდა შემდგომი დაკრედიტებისათვის და ვერც სარგებელს იღებდა;

20.4. სსკ-ის 412-ე მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, ზიანის სავარაუდოობა გულისხმობს კრედიტორისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ზიანის მიყენების გონივრულ მოლოდინს. განსახილველ შემთხვევაში, მხარეებმა წინასწარ განსაზღვრეს საპროცენტო სარგებელი და ბანკის მხრიდან კრედიტის გაცემა, სწორედ სარგებლის ამ ოდენობის მიღებამ განაპირობა. შესაბამისად, მოპასუხისათვის სავარაუდო და მოსალოდნელი იყო ყველა ის შედეგი (ზიანი), რაც მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას შეიძლებოდა მოჰყოლოდა;

20.5. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №... ბრძანების თანახმად, კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული უიმედოდ კლასიფიცირებული სესხისათვის, სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 100%-ის ოდენობით, შესაბამისად, სესხის გაპრობლემების შემდეგ, ბანკი განიცდის ორმაგ ზიანს, ვინაიდან მისი მხრიდან ვერ ხდება სარგებლის მიღება, გაცემული ფულადი სახსრების დაბრუნება შემდგომში მისი დაკრედიტებისათვის და, ასევე, ვერ ხდება დარეზერვებული თანხის გამოყენება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

**21. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით ბანკის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-5 პუნქტების გაუქმებით, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და კრედიტორის სარჩელი, მიუღებელი შემოსავლის ნაწილში, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ შემდეგი სახით:**

21.1. 29.06.2012წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოვალეს (მოპასუხეს), ბანკის სასარგებლოდ, 17.04.2015 წლიდან ერთი წლის განმავლობაში დაეკისრა 336.00 ლარის გადახდა;

21.2. 24.06.2013წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოვალეს (მოპასუხეს), ბანკის სასარგებლოდ, 17.04.2015 წლიდან ერთი წლის განმავლობაში დაეკისრა 2158.47 ლარის გადახდა;

21.3. დანარჩენ ნაწილში ბანკის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ამ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

**სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები**

22. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ინსტან-

ციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული არ იყო ფაქტობრივი თვალსაზრისით, ამდენად, საქალაქო სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოვლენილი იყო.

23. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეამონმა სამართლებრივი შეფასების ნაწილში, რადგან კრედიტორის სააპელაციო საჩივრით სადავო იყო გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს შემცირებისა და, მიუღებელი შემოსავლის სახით, ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, ამიტომ სწორედ ამ საკითხებზე იმსჯელა სასამართლომ.

24. სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, „სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“. პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა.

**25. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას, მათ შორის:**

ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება.

26. ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს უფლება აქვს, დაიყვანოს პირგასამტეხლო თანაზომიერების ფარგლებამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლომ, ხელშეკრულებების საერთო თანხის, შესრულებული ვალდებულებისა და ვადის დარღვევის ხარისხიდან გამომდინარე, სწორად შეამცირა პირგასამტეხლო. ამდენად, პირ-

გასამტეხლოს შემცირების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგებოდა კანონს. შესაბამისად, არ არსებობდა ამ ნაწილში სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლები.

27. სასამართლომ სსკ-ის 394.1 მუხლზე მიუთითა, რომლის თანახმად: „მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება“. ვალდებულების დარღვევა ზოგადი ფორმულირებაა და იგი შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მათ შორის, არაჯეროვან შესრულებაში. მტკიცების ტვირთის ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის (კრედიტორის) მხარეზეა. სსკ-ის 408.1 მუხლის თანახმად, „პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ანუ მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა“. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობის (განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა) ხარისხი ზიანის დადგომაში. სსკ-ის 411-ე მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს 408-ე მუხლში მოცემული ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს. სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება.

28. სსკ-ის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდოობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი ყოველთვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში.

29. ზემოხსენებული ნორმების შესაბამისად, ვალდებულების

დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორისათვის ანაზღაურებას ექვემდებარება, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, ასევე მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანი. ამდენად, მოხმობილ ნორმათა ერთობლივი ანალიზის შედეგად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია და მიუთითა, რომ მიუღებელ შემოსავლად იმ სარგებლის მიჩნევა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული და რაც საკრედიტო დაწესებულებას უნდა მიეღო, მართებული იყო, ვინაიდან საკრედიტო დაწესებულების ძირითადი ფუნქცია და დანიშნულება სწორედ ფულადი თანხის სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემაა. შესაბამისად, საკრედიტო დაწესებულებებთან მიმართებით, არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საკრედიტო დაწესებულება ვერ იღებს იმ შემოსავალს, რომელიც მას აღნიშნული თანხით უნდა მიეღო. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება.

30. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ბანკის პრეტენზია მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და მოვალის მიერ სესხად აღებული, დაუბრუნებელი და, სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხების ოდენობის, საკრედიტო ხელშეკრულებით მხარეთა შორის შეთანხმებული სესხის პროცენტის ოდენობის გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ ამ ნაწილში აპელანტის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო და მოპასუხეს (მოვალეს) 29.06.2012 წ. და 24.06.2013 წ. ხელშეკრულებების დარღვევის გამო, 2015 წლის 17 აპრილიდან (იხ. მე-7 პუნქტი), არაუმეტეს 1 წლის განმავლობაში უნდა დაკისრებოდა, მიუღებელი შემოსავლის სახით, ზიანის ანაზღაურება.

### **მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

31. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მისთვის 2494. 47 ლარის (336.00 + 2158.47) დაკისრების ნაწილში, რომელიც სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით დაეკისრა, შესაბამისად, მოითხოვა ბანკის სარჩელის უარყოფა მოვალისათვის დაკისრებული მიუღებელი შემოსავლის ნაწილში და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება (იხ. საკასაციო საჩივარი).

### **32. კასატორმა შემდეგ არგუმენტებზე მიუთითა:**

32.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არასაკმარისადაა დასაბუთებული, მის მიღებას საფუძვლად დაედო აპელანტის (ბანკის) ერთადერთი არგუმენტი საკრედიტო დაწესებულების ძირითადი ფუნქციის თაობაზე და ის გარემოება, რომ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკი ვერ მიიღებს იმ შემოსავალს, რაც მას აღნიშნული თანხით უნდა მიეღო (იხ. 20.3-20.5 ქვეპუნქტები, 23-ე, 27-ე-30-ე პუნქტები);

32.2. მიუღებელი შემოსავალი, ისევე, როგორც ზიანი, მკაფიოდ და უტყუარი მტკიცებულებებით უნდა იყოს დადასტურებული მხარის მიერ. მარტოოდენ იმაზე მითითება, რომ საბანკო საქმიანობიდან გამომდინარე, მოსარჩელის ძირითადი საქმიანობა არის ფულადი სახსრებიდან მოგების მიღება, არ წარმოადგენს იმგვარ მტკიცებულებას, რომელსაც სასამართლო უნდა დაყრდნობოდა მხარეთა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების საფუძველზე;

32.3. აპელანტმა ვერ დაამტკიცა, როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ისე, განცდილი ზიანის ოდენობა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ 29.06.2012წ. ხელშეკრულება, მისი დადებიდან 728 დღეში ამოიწურა, არ გაგრძელებულა, მით უმეტეს, მხარეები არ შეთანხმებულან პროცენტის გადახდაზე და ხელშეკრულების სხვა არსებით პირობებზე. უსაფუძვლოა, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის 336 ლარის დაკისრება. კასატორი აღნიშნავს, რომ სარგებლისა და მიუღებელი შემოსავლის გადახდის ვალდებულება, მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების პირობებშია შესაძლებელი, ხოლო რადგან 29.06.2012წ. ხელშეკრულება არ გაგრძელებულა მხარეთა შორის, მოვალეს არ დაურღვევია იგი, შესაბამისად, არც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა და, ამ ვალდებულების დარღვევის გამო, კრედიტორისათვის მიყენებული ზიანი არ არსებობს;

32.4. 24.06.2013წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხეს დაეკისრა 2158,47 ლარის გადახდა, რაც ასევე უსაფუძვლოა. ამ ხელშეკრულებითა და მისი დანართით დასტურდება, რომ თავდაპირველი კრედიტის თანხად განისაზღვრა 1500 ლარი (იხ. მე-3 პუნქტი). დაწესებული პერიოდულობით მოვალე ვერ იხდიდა თანხას და ვერ ფარავდა კრედიტს (იგივე ვითარება იყო 29.06.2012წ. ხელშეკრულებაზეც), რაც თვალსაჩინო იყო საკრედიტო დაწესებულებისთვისაც, თუმცა, მოვალეს არიცხავდნენ ჯარიმებს. თუკი აღნიშნული გარემოება წინასწარ იყო სავარაუდო ბანკისათვის, გაუგებარია,

რატომ არ მიმართა მან დარღვევისთანავე სასამართლოს, რატომ გასცა ახალი სესხი, რატომ „დააგროვა“ ზიანი. ბანკს არ წარუდგენია სასამართლოსათვის მოვალის გადახდის ისტორია, საქმეში არ არსებობს წერილობითი მტკიცებულება მოვალის მიერ მიღებული და გადახდილი თანხების შესახებ, მარტოოდენ აპელანტის სიტყვიერ განმარტებას დაეყრდნო სასამართლო;

32.5. კასატორი ყურადღებას ამახვილებს, რომ ბანკის წარმომადგენელი დავაში არის შპს „ტ-ა“, ეს უკანასკნელი რეალურად „ვალების მიმღები“ ორგანიზაციაა, რომელსაც „ნაყიდი“ აქვს ბანკისაგან მოთხოვნის უფლება და გარკვეულ გასამრჯელოს ღებულობს მოვალისაგან „ამოღებული“ თანხებიდან.

33. საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 აგვისტოს განჩინებით მოვალის საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული, ხოლო იმავე წლის 4 ნოემბრის განჩინებით დასაშვებადაა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს შემდეგი არგუმენტაციით:

34. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის პრეტენზიები დაუსაბუთებელია.

35. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღ-

მდგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81)

36. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა შეეხო მოსარჩელის სააპელაციო პრეტენზიებს მოვალისათვის პირგასამტეხლოს შემცირებისა და, მიუღებელი შემოსავლის სახით, ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი) და, საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გზით, ბანკის სარჩელი მიუღებელი შემოსავლის ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (იხ. ამ განჩინების 21-ე პუნქტი).

37. განსახილველ შემთხვევაში კასატორი ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მისთვის 2494. 47 (336.00+2158.87) ლარის, როგორც მიუღებელი შემოსავლის, დაკისრებას ამ განჩინების 32-ე პუნქტში ასახულ გარემოებებზე მითითებით.

38. განსახილველ საქმეზე „სასამართლო მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს: საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის თანახმად, ყოველთვის სარგებლიან სესხს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც კრედიტორი, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, იბრუნებს როგორც სესხად გაცემული თანხის ძირს, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცენტს“ (№ას-914-864-2015, 04.12.2015.). საბანკო კრედიტს უკავშირდება დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ვალდებულებები (იხ. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი – მუხლი 1, „თ“ პუნქტი).

39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით „სარგებლისა და მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი ბუნება განსხვავებულია. სარგებელი ეს არის ნივთის (ამ შემთხვევაში ფულის სარგებლობისათვის პროცენტი) გამოყენების შედეგად მსესხებლის მიერ მიღებული ან მისაღები შემოსავალი, ხოლო მიუღებელი შემოსავალი – ის ზიანია (დანაკარგია), რომელიც ვერ მიიღო ბანკმა მსესხებლის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო. მიუღებლად განიხილება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო“. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას ვადიანი ხელშეკრულებების შესრულების ვადის დარღვევით გამოწვეული ზიანის ნაწილში და მიიჩნევს, რომ



ქვემდგომმა სასამართლომ ფულის თვისობრივი ფუნქციიდან გამომდინარე, მართებულად დაუკავშირა ამგვარი ზიანი საბანკო სფეროში ანაბარზე თანხის განთავსების შემთხვევაში მისაღებ სარგებელს“ (იხ. სუსგ №ას-725-693-2014, 03.07.2015 წ.), შესაბამისად, განსხვავებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებლისა და მიუღებელი შემოსავლის მტკიცების ფარგლებიც. „მიუღებელ შემოსავალს დამტკიცება სჭირდება (სსკ-ის 404-ე, 411-ე-412-ე მუხლები), მაშინ, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული გონივრული პროცენტის ნამდვილობისათვის საკმარისია მხარეთა წერილობითი შეთანხმება“ (სუსგ №ას-932-882-2015, 15.03.2016წ.)

40. განსახილველ შემთხვევაში, მოვალისათვის დაკისრებული პირგასამტებლოს შემცირების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები (იხ. ამ განჩინების 26-ე და მე-15 პუნქტები).

42. საკასაციო საჩივრის პრეტენზია ეხება მოვალისათვის კრედიტორის სასარგებლოდ დაკისრებული მიუღებელი შემოსავლის დაუსაბუთებლობას (იხ. ამ განჩინების 31-ე-32-ე პუნქტები).

42. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვალდებულების დარღვევისას, კანონმდებელმა, კრედიტორს მინიჭა უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესი განმტკიცებულია სსკ-ის 394-ე მუხლით, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მაგალითად: პროცენტის გადახდა (403-ე მუხლი), პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (408.1 მუხლი), მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება (411-ე მუხლი) და ა.შ.

43. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის, როგორც საბანკო საქმიანობის სფეროში მოღვაწე სუბიექტის კომერციული ინტერესია, კრედიტის გაცემით მიიღოს გარკვეული მოგება. სწორედ ამიტომ, ჩვეულებრივი სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელიც შეიძლება იყოს სასყიდლიანი ან უსასყიდლო, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სასყიდლიანი ფორმით არსებობს (სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი). შესაბამისად, სს „ს. ბ-ს“, გაცემული კრედიტის დადგენილ ვადაში დაბრუნების შემთხვევაში, კვლავ შეეძლო მიეღო ის მინიმალური სარგებელი, რასაც სასესხო ვალუტის დაბრუნებამდე იღებდა. ნიშანდობლივია, რომ ბანკის მიერ სარგებლის მიღების პრეზუმფცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ კრე-

დიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება“ (იხ. სუსგ №ას-1385-1307-2012, 07.02.2013წ.).

44. სსკ-ის 348-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევენ სამეწარმეო საქმიანობას, მიიჩნევა ბათილად შეთანხმება ზიანის ოდენობაზე მეტი თანხის მოთხოვნის შესახებ (ზიანის ანაზღაურების გადამეტებული მოთხოვნა). განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელემ მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურება მოითხოვა 29.06.2012წ. და 24.06.2013წ. ხელშეკრულებებით (იხ. ამ განჩინების მე-16 პუნქტი) გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის მიხედვით გაანგარიშების საფუძველზე, რაც მითითებული ხელშეკრულებების მიხედვით, წარმოადგენს, შესაბამისად, 336 ლარს (28 ლარი x 12 თვეზე) და 2158.47 ლარს (179.87 ლარი x 12თვეზე), სულ 2494.47 ლარს.

45. უდავოდაა დადგენილი, რომ მოვალეს დარღვეული აქვს ვალდებულება (იხ. მე-14 პუნქტი), რის გამოც კრედიტორმა გასცა დავალიანების ცნობა 2015 წლის 17 აპრილის მდგომარეობით, ხოლო იმავე წლის 21 მაისს სარჩელის აღძვრით ცალმხრივად შეწყვიტა 24.06.2013წ. ხელშეკრულება მოვალესთან.

46. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, რომ მოსარჩელე მოპასუხის მხრიდან ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიიღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპროცენტო სარგებელს კრედიტის კვლავ გაცემით, რაც იმას ნიშნავს, რომ იკვეთება სსკ-ის 411-ე მუხლის ფაქტობრივი შემადგენლობა და არც ის გარემოება შეიძლება გახდეს სადავო, რომ საკრედიტო დაწესებულების ძირითადი საქმიანობა კრედიტის გაცემის გზით ეკონომიკური სარგებლის მიღებაა, აღნიშნული კი მყარ პრეზუმფციათა რიგს განეკუთვნება (იხ. სუსგები – №ას-1385-1307-2012, 07.02.2013წ; №ას-725-693-2014, 03.07. 2015 წ.).

47. ამდენად, საკასაციო საჩივრის ფარგლებში სამართლებრივად უნდა შეფასდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე კრედიტორის მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობა. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ კრედიტორმა ორი ხელშეკრულება გააფორმა მო-

ვალესთან, პირველი ხელშეკრულების – 29.06.2012წ. 728-დღიანი ვადა სარჩელის წარდგენის დღისათვის ამონურული იყო, ხოლო მეორე ხელშეკრულება – 24.06.2013წ. კრედიტორმა თვითონვე შეწყვიტა ცალმხრივად მოპასუხის წინააღმდეგ აღძრული სარჩელითა და მოთხოვნის წაყენებით, რომელიც პირგასამტეხლოს და მიუღებელ შემოსავალსაც მოიცავდა. ქვემდგომი ორი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, კრედიტორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოვალის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, ამ უკანასკნელს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა შემცირებული პირგასამტეხლო დავალიანების შესახებ ცნობის გაცემამდე, ასევე, მიუღებელი შემოსავალი დავალიანების შესახებ ცნობის გაცემიდან (15.04.2017წ.) ერთი წლის განმავლობაში.

48. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოვალისადმი იმთავითვე არ ყოფილა უსაფუძვლო და არც უსამართლო იმ თვალსაზრისით, რომ ფიზიკურ პირს, რომელიც საკრედიტო დაწესებულებასთან ურთიერთობაში, ცხადია, „სუსტ“ მხარედ გამოდის, მის მიერ შეუსრულებელი ვალდებულების მოცულობის, მისი დარღვევის სიმძიმისა და ხასიათის, ხანგრძლივობის გათვალისწინებით, კაბალურად დასწოლოდა სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესასრულებელი ვალდებულება სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით.

49. კრედიტორმა მიუღებელი შემოსავალი დაუკავშირა მოვალესთან გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებებში ასახულ წლიურ სარგებელს და მისი ნაწილობრივ დაკმაყოფილებული მოთხოვნა მთლიანად, როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე, შეადგენს სასამართლოს მიერ შემცირებულ პირგასამტეხლოს (8550.76 ლარი) და მიუღებელ შემოსავალს – 29.06.2012წ. საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილ წლიურ 22%-ს, რაც ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე 28 ლარია (28 X 12 თვეზე = 336 ლარს), ხოლო 24.06.2013წ. საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით, წლიურ 36 %-ს, რაც ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე 179.87 ლარია (179.87 X 12 თვეზე – 2158.44ლარს).

50. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლო, რომელიც არ საჭიროებს მტკიცებას, შესაძლებელია მნიშვნელოვნად აღემატებოდეს კიდევ მხარის მიერ მოთხოვნილ მიუღებელ შემოსავალს (ამ უკანასკნელს, როგორც ზიანის ერთ-ერთ სახეს, დამტკიცება სჭირდება). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს მიუღებელი შემოსავალი დაეკისრა დავალიანების შესახებ ცნობის შედგენიდან – 2015 წლის 17 აპრილიდან ერთი წლის განმავლობაში, რაც სავსებით ესადაგება იმ პრეზუმფციას, რომ საკრედიტო

დანესებულება ფულის სყიდვანარიანობის განსაკუთრებული თვისებიდან გამომდინარე, ორიენტირებულია მოგების მიღებაზე. მოვალის მიერ შეუსრულებელი ვალდებულების გამო კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ადეკვატურია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებული ფულადი ვალდებულება, მით უმეტეს, გასათვალისწინებელია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ შემცირებული პირგასამტეხლო უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომაც და ისეთ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე, როდესაც მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა პრაქტიკულად მოიცავს კრედიტორის ინტერესსაც მიუღებელი შემოსავლისადმი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით მიუღებელი შემოსავლის ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სააპელაციო საჩივრის შედეგად არ იკვეთება კრედიტორის უსაფუძვლოდ გამდიდრების ფაქტი (მდრ. სუსგ №ას-307-291-2011, 24.10.2011წ.).

51. საკასაციო საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო დასაბუთებული და სამართლებრივად ნონადი არგუმენტებით დაეძლია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები, მოვალემ ვერ გააქარწყლა კრედიტორის მოთხოვნის სამართლებრივი დასაბუთებლობა, რაც საკასაციო განაცხადის უარყოფისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

52. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

53. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განსახილველ შემთხვევაში, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი სახელმწიფო ბიუჯეტში დარჩება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ც-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილე-

ბა;

3. კასატორის მიერ გადახდილი ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;

4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საბანკო გარანტია

### განჩინება

### საქართველოს სახელმწიფო

№ას-396-376-2015

10 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის უკანონოდ აღიარება, უსაფუძვლოდ მიღებული თანხის დაბრუნება (სარჩელში), გარანტიის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პროცენტის გადახდა, სესხად გარდაქმნილი გარანტიიდან გამომდინარე დავალიანების გადახდა, სესხად გარდაქმნილი გარანტიიდან გამომდინარე პროცენტისა და პირგასამტეხლოს გადახდა, იპოთეკის საგნის რეალიზაცია (შეგებებულ სარჩელში)

### აღწერილობითი ნაწილი:

1. 2012 წლის 4 ივნისს, შპს „ნ-ას“ (შემდგომში: გამყიდველი, პრინციპალი, მოსარჩელე, აპელანტი, შეგებებული სარჩელის პირველი მოპასუხე) და სს „ე-ს“ (შემდგომში: მყიდველი, ბენეფიციარი) შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც გამყიდველმა იკისრა ვალდებულება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 80 კალენდარული დღის ვადაში, მყიდველისათვის გადაეცა ნასყიდობის საგანი. ვალდებულების შესრულების ბოლო ვადა 2012 წლის 23 აგვისტო იყო (საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 477-ე მუხლი).

2. მყიდველი ვალდებულებას იღებდა, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, გამყიდველის მიერ საავანსო გადახდის საბანკო გა-

რანტიის წარმოდგენის შემდეგ, ამ უკანასკნელის ანგარიშზე 280 000 ლარი (ავანსის თანხა) ჩაერიცხა.

3. 2012 წლის 6 ივნისს, მოსარჩელესა და სს „თ-ს“ (შემდგომში: გარანტი, ბანკი, მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, კასატორი) შორის დაიდო საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის ხელშეკრულება (სსკ-ის 879-ე მუხლი). გარანტიის ზღვრული ოდენობა 280 000 ლარი, გარანტიის საზღაური საგარანტიო თანხის წლიური 6%, ხოლო გარანტიის მოქმედების ვადა, მისი ძალაში შესვლიდან, 122 დღე იყო (სსკ-ის 880-ე, 884-ე და 888-ე მუხლები).

4. გარანტია უზრუნველყოფდა ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის 2012 წლის 4 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაცემული ავანსის მიზანმიმართულ გამოყენებას.

5. საგარანტიო პირობების მიხედვით, გარანტი ვალდებულია კისრულობდა, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე, პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 საბანკო დღის ვადაში, გადაეხადა საგარანტიო თანხა ბენეფიციარისათვის. პრინციპალი და გარანტი შეთანხმდნენ ასევე, რომ გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გარანტიის თანხის გადახდის შემთხვევაში, აღნიშნულ თანხას პრინციპალი საბანკო კრედიტისათვის დადგენილი წესებით დაუბრუნებდა ბანკს წლიურ 48%-იან სარგებელთან ერთად (იხ. საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის ხელშეკრულების 1.3 პუნქტი, სსკ-ის 867-ე და 623-ე მუხლები).

6. გარდა ამისა, 2012 წლის 12 ივლისს, მოსარჩელესა და პრინციპალს შორის დაიდო საბანკო გარანტიის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ბანკმა მოპასუხეზე 96 დღის ვადით გასცა საბანკო გარანტია – 6700 ლარის ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფდა ამ უკანასკნელის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას. მისი საზღაური წლიური 2%-ით განისაზღვრა.

7. 2012 წლის 4 ივნისის ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელი გამყიდველმა მყიდველს დადგენილი ვადის დარღვევით, ნაწილ-ნაწილ მიანოდა, 23 აგვისტოს ნაცვლად, იმავე წლის 7-13 სექტემბერს. 2012 წლის 29 აგვისტოს, გამყიდველის მიერ მიწოდების ვადის დარღვევის გამო, ბენეფიციარმა წერილობით მიმართა გარანტს საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდის მოთხოვნით. ამ უკანასკნელმა იმავე დღეს აცნობა პრინციპალს ბენეფიციარის მოთხოვნის შესახებ (სსკ-ის 885-ე მუხლი).

8. 2012 წლის 4 სექტემბერს, გარანტმა ბენეფიციარს გადაუხადა საბანკო გარანტიით გათვალისწინებული 280 000 ლარი, რომელზედაც იმავე წლის 28 სექტემბრიდან გავრცელდა საბანკო კრედი-

ტის წესები. მისი ნაწილი მოსარჩელის ანგარიშზე განთავსებული (ბლოკირებული) 31 217 ლარით (გარანტიის უზრუნველყოფა) დაიფარა, რის შემდეგაც, ბანკის წინაშე მოსარჩელის სასესხო ვალდებულება 248 729 ლარით განისაზღვრა.

9. 2010 წლის 20 დეკემბრიდან მოსარჩელესა და ბანკს შორის დადებული იყო საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულება, რომლის შესრულებასაც უზრუნველყოფდა ლ. ლ-ისა (შემდგომში: შეგებებული სარჩელის მეორე მოპასუხე) და გ. ჩ-ას (შემდგომში: შეგებებული სარჩელის მესამე მოპასუხე) მიერ წერილობით გაცემული თავდებობები. მათ ბანკის (შეგებებული მოსარჩელე) წინაშე სოლიდარული პასუხისმგებლობა იკისრეს. თითოეული თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრა ერთი მილიონი აშშ დოლარით (სსკ-ის 891.1, 892-ე, 893-ე, 895-ე და 898-ე მუხლები). მითითებული საკრედიტო ხელშეკრულების შესრულებას ასევე უზრუნველყოფდა ბანკის სასარგებლოდ შეგებებული სარჩელის მეორე და მესამე მოპასუხეების უძრავ ქონებაზე 2012 წლის 5 ივნისის შეთანხმებით დადგენილი იპოთეკა (სსკ-ის 289.1 და 311-ე მუხლები).

10. 2013 წლის 23 იანვარს, მოსარჩელემ (პრინციპალი) სარჩელი აღძრა ბანკის წინააღმდეგ, მის მიერ ბენეფიციარისთვის საგარანტიო თანხის ხელშეკრულების პირობების დარღვევით გადარიცხვის უკანონოდ აღიარების მოთხოვნით; მანვე, ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოწერილი გარანტიის უზრუნველყოფის თანხის, 31 271 ლარის უკან დაბრუნება მოითხოვა.

#### **11. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მოითხოვა:**

11.1. პირველ, მეორე და მესამე მოპასუხეებს, სოლიდარულად დაკისრებოდათ 2012 წლის 4 ივნისის საბანკო გარანტიის გაცემის საზღაურის დავალიანების 2 347,42 ლარის (წლიური 6%), კრედიტის სახით დასაბრუნებელი გარანტიის თანხიდან გამომდინარე – 368,747.47 ლარის (ძირი თანხა – 248,729.00, პროცენტი – 63783.65 და პირგასამტეხლო – 56234.82) ანაზღაურება, ასევე 248 729 ლარზე სარგებლის (წლიური 48%), ანაზღაურება 2013 წლის 11 აპრილიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე, ამავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირითად თანხაზე ყოველდღიურად პირგასამტეხლოს 0.2%-ის ანაზღაურება 2013 წლის 11 აპრილიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე;

11.2. 2012 წლის 12 ივლისის გარანტიის გაცემის საზღაურის დავალიანების (წლიური 2%-ის) – 35.30 ლარის ანაზღაურება.

#### **12. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა; შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა:**

### **ფილდა ნაწილობრივ:**

12.1. შეგებებული სარჩელის პირველ, მეორე და მესამე მოპასუხეებს შეგებებული მოსარჩელის სასარგებლოდ 2012 წლის 4 ივნისის საბანკო გარანტიის გაცემის საზღაურის დავალიანების – 2347,42 ლარი, კრედიტის სახით დასაბრუნებელი გარანტიის თანხის და სარგებლის – 326 571,35 ლარის (საიდანაც ძირი თანხაა 248,729.00 ლარი, პროცენტი – 63783.65 ლარი და პირგასამტეხლო – 14058,70 ლარი), ასევე 248,729.00 ლარზე წლიური 48%-ის 2013 წლის 11 აპრილიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე, 248,729.00 ლარზე ყოველდღიურად პირგასამტეხლოს 0.05%-ის 2013 წლის 11 აპრილიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე, 2012 წლის 12 ივნისის საბანკო გარანტიის გაცემის საზღაურის დავალიანება – 35.30 ლარის, სოლიდარულად გადახდა დაეკისრათ. დავალიანების დაფარვის მიზნით, სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკის საგნები, რომლებზეც შეგებებული სარჩელის მეორე და მესამე მოპასუხეთა საკუთრების უფლება იყო რეგისტრირებული.

### **13. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ შემდეგი საფუძვლებით:**

13.1 სასამართლომ არასწორად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ უდავო ფაქტობრივი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ 2012 წლის 29 აგვისტოს, როდესაც ბენეფიციარმა გარანტორისაგან მოითხოვა საგარანტიო თანხის – 280 000 ლარის გადაცემა, პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის 2012 წლის 4 ივნისის ხელშეკრულება შეწყვეტილი არ იყო. ხელშეკრულება ვადის დარღვევით, მაგრამ შესრულდა. ბენეფიციარმა 2012 წლის 7-13 სექტემბერს მიიღო ნასყიდობის საგანი. საბოლოოდ, მან ავანსიც მიიღო და შესრულებაც.

13.2. სსკ-ის 886-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, გარანტის ვალდებულებაა, ბენეფიციარის მოთხოვნა განიხილოს გონივრულ ვადაში და შეამოწმოს შეესაბამება თუ არა მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს. სასამართლოს უნდა დაედგინა, თუ რა ტიპის საბანკო გარანტიის ხელშეკრულებასთან ჰქონდა საქმე და გარანტიის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რა გარემოების არსებობა შეიძლებოდა გამხდარიყო საგარანტიო თანხის გაცემის საფუძველი. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო, რომ მოსარჩელესა და გარანტს შორის 2012 წლის 6 ივნისის საბანკო გარანტიის ხელშეკრულება საავანსო გადახდის (ავანსის თანხის არამიზნობრივი გახარჯვის) საბანკო გარანტიით უზრუნველყოფის ხელშეკრულებას წარმოადგენდა. თავად ხელშეკრულებაც ამგვარადაა დასათაურებული.

13.3. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2012 წლის 29 აგვის-



ტოს მდგომარეობით, პრინციპალს ხელშეკრულების საგანი ბენეფიციარისათვის გადაცემული არ ჰქონდა. სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მას პრინციპალისათვის ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადა უნდა დაენესებინა. თუ, ამ ვადის გასვლის შემდეგაც, ვალდებულება არ შესრულდებოდა, ბენეფიციარს უფლება ჰქონდა მოეშალა ხელშეკრულება და სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, უკვე განხორციელებული შესრულების (სააგანსო თანხის 280 000 ლარის) უკან დაბრუნება მოეთხოვა. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 887-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ.

13.4. აპელანტის მოსაზრებით, ვინაიდან მოპასუხემ ბენეფიციარს გარანტიის თანხა არასწორად აუნაზღაურა, შესაბამისად, მან დაკარგა გაცემული თანხის პრინციპალისაგან დაბრუნების მოთხოვნის უფლება. ასევე, მას აღარ ჰქონდა უფლება, პრინციპალის ანგარიშზე ბლოკირებული თანხა, 31 217 ლარი (გარანტიის უზრუნველყოფა), ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოენერა.

**14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა:**

14.1. გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის 2012 წლის 6 ივნისის გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდა აღიარებული იქნა უკანონოდ და საბანკო გარანტიის პირობების დარღვევად; მოპასუხეს აპელანტის სასარგებლოდ 31 271 ლარის ანაზღაურება დაეკისრა;

14.2. მოპასუხის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; პირველ, მეორე და მესამე მოპასუხეებს შეგებებული მოსარჩელის სასარგებლოდ 2012 წლის 6 ივნისის სააგანსო გადახდის საბანკო გარანტიის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავალიანების (პროცენტის) – 2347,42 ლარისა და 2012 წლის 12 ივლისის საბანკო გარანტიის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების (პროცენტის) – 35,30 ლარის გადახდა დაეკისრა;

**15. სააპელაციო სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 879-ე მუხლი, 887-ე მუხლის პირველი ნაწილი, 881-ე, 888-ე და 890-ე, 385-ე და 976-ე მუხლები და შემდეგი დასკვნები გააკეთა:**

15.1. 2012 წლის 6 ივნისის საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილ ვალდებულებას წარმო-

ადგენდა მესამე პირთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მისაღები საავანსო თანხის უზრუნველყოფა. ამასთან, გარანტიის მიერ საგარანტიო თანხის გაცემა მოხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაირღვეოდა პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: ბენეფიციარს სრულად უნდა ჩაერიცხა პრინციპალის ანგარიშზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავანსო თანხა და, ამავდროულად, პრინციპალს უნდა დაერღვია ხელშეკრულება. ბენეფიციარს წერილობით მოთხოვნაში უნდა მიეთითებინა იმ გარემოების შესახებ, თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, ასევე, მოთხოვნასთან ერთად, გარანტს უნდა წარედგინა პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება. პალატამ განმარტა, რომ ბენეფიციარის სახელზე გარანტიის თანხის გაცემის მიზნობრიობა და მისი შემომნების ვალდებულება, გარანტის მხოლოდ კანონისმიერ პირობას კი არ წარმოადგენდა, არამედ აღნიშნული პირობა მხარეთა შორის შეთანხმებული სახელშეკრულებით ვალდებულებაც იყო. ხელშეკრულებაში ნათლად და არაორაზროვნადაა მითითებული, რომ გარანტია საავანსო თანხის უზრუნველსაყოფად გაცა. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებდა არა მხოლოდ საბანკო გარანტიის ხელშეკრულების სათაური, რომელიც საავანსო გარანტიად იყო სახელდებული, არამედ ამავე ხელშეკრულებაში მკაფიოდ მითითებული საბანკო გარანტიის გაცემის საფუძველი, რაც საავანსო თანხის უზრუნველყოფაში მდგომარეობდა. ამდენად, გაცემული გარანტია, ხელშეკრულების სათაურის, შინაარსის და ამავე ხელშეკრულებით შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების გათვალისწინებით, საავანსო თანხის უზრუნველყოფას ემსახურებოდა. საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული სამართლებრივი დეფინიციების შესაბამისად, საავანსო გადახდის გარანტიის ძირითად მიზანს წარმოადგენს გაცემული ავანსის მიზანმიმართული გამოყენების უზრუნველყოფა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. საავანსო გარანტიის პირობათა დარღვევად განხილულ უნდა იქნეს საავანსო თანხის არამიზნობრივი გამოყენება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა იმგვარი დარღვევა, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლას, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასა და შესაბამისად, საავანსო თანხის დაბრუნებას იწვევს. მოცემულ გარემოებებს განსახილველ დავაში ადგილი არ ჰქონია. პალატამ მიუთითა, რომ საავანსო თანხის ამგვარი უზრუნველყოფა და სამართალურთიერთობის ამგვარი განმარტება შესაბამისობაშია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დადგენილ წესებთანაც (მოთ-

ხოვნამდე გარანტიები; პუბლიკაცია 758), რომელიც ამავე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

15.2. ზემოხსენებული მსჯელობის ფარგლებში, პალატამ, გარდა იმისა, რომ საბანკო გარანტია მხოლოდ საავანსო თანხის უზრუნველყოფას დაუკავშირა, ყურადღება გაამახვილა ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა იმგვარ დარღვევაზეც, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლას ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ პრინციპალსა (გამყიდველს) და ბენეფიციარს (მყიდველს) შორის დადებული ხელშეკრულებით, მყიდველს შესრულება უნდა მიეღო ხელშეკრულების გაფორმებიდან 80 კალენდარული დღის განმავლობაში, ვალდებულების შესრულების ბოლო ვადა 2012 წლის 23 აგვისტო იყო. 2012 წლის 23 აგვისტოს მდგომარეობით მოსარჩელეს ნაკისრი ვალდებულება შესრულებული არ ჰქონდა. მყიდველმა გამყიდველს ვალდებულების შესრულების მიზნით დამატებითი ვადა არ განუსაზღვრა. ამ დროისათვის მას არც შესრულების მიღების ინტერესი ჰქონდა დაკარგული და ხელშეკრულებიდან გასვლისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის წინაპირობაც არ არსებობდა. მყიდველმა, მართალია, ვადადარღვევით, მაგრამ შესრულება მაინც მიიღო. 2012 წლის 29 აგვისტოს ბენეფიციარმა საავანსო გარანტიის თანხა მიიღო, ხოლო აღნიშნული თანხის მიღებიდან დაახლოებით ორი კვირის ფარგლებში (7-13 სექტემბერს) მიიღო შესრულებაც. ფაქტების აღნიშნულ ქრონოლოგიაზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გამყიდველი (ბენეფიციარი) ხელშეკრულებიდან გასვლასა და შესაბამისად, ავანსის სახით გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას არ აპირებდა, ეს მისი ინტერესი არ იყო. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დარღვევა, რომელიც საავანსო თანხის უზრუნველსაყოფად გაცემული გარანტიის ბენეფიციარისათვის გადახდის უფლებას წარმოშობდა, სახეზე არ იყო. მაშასადამე, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ბანკმა საბანკო გარანტიის თანხა არამართლობიერად გასცა, რაც პრინციპალისაგან თანხის უკუმოთხოვნის (რეგრესის) უფლებას გამოორიცხავდა.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 მარტის დამატებითი გადაწყვეტილებით, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის ხარჯის, 22 000 ლარის, ანაზღაურება.

**17. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და დამატებით გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მოპასუხემ შემდეგი საფუძვლებით:**

17.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის

881-ე, 886-ე, 887-ე მუხლები. სამოქალაქო კოდექსისა და უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ, საბანკო გარანტიის გაცემის სამართლებრივი საფუძვლიანობა შეამოწმა მხოლოდ ძირითადი ვალდებულებისა და გარანტისა და პრინციპალს შორის არსებულ კერძო შეთანხმებასთან მიმართებაში. სასამართლოს მსჯელობა ეწინააღმდეგება საბანკო გარანტიის შინაარსს.

17.2. საბანკო გარანტია გაიცა იმისთვის, რომ უზრუნველყოფილიყო ბენეფიციარისათვის ნასყიდობის საგნის მიწოდება. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პრინციპალს ეცნობა ბენეფიციარის მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ არანაირი შენიშვნა არ ჰქონია, პრინციპალმა ჩაიბარა გარანტის წერილი და ხელი მოაწერა მას ისე, რომ პრეტენზია არ გამოუთქვამს. მოსარჩელემ მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო სასამართლო დავა, რაც მოპასუხემ მოთხოვნის დაკმაყოფილების იძულებით ღონისძიებებს მიმართა.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

19. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე, მხარეთა მოსაზრებების ზეპირი მოსმენით შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა საკასაციო საჩივრის უსაფუძვლობის თაობაზე.

20. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

21. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობ-

რივი გარემოება და სამართლებრივად სწორად შეაფასა ისინი.

22. სააკველაციო სასამართლოს მიერ უარყოფილი კასატორის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნები: 1) პირველ, მეორე და მესამე მოპასუხისათვის სოლიდარულად კრედიტის სახით დასაბრუნებელი საავანსო გადახდის გარანტიის თანხის და სარგებლის – 326 571,35 ლარის (ძირი თანხა – 248,729.00 ლარი, პროცენტი – 63783.65 ლარი და პირგასამტეხლო-14058,70 ლარი) დაკისრება, 2) 248,729.00 ლარზე წლიური 48 %-ის 2013 წლის 11 აპრილიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე დაკისრება, 3) 248,729.00 ლარზე ყოველდღიურად პირგასამტეხლოს სახით 0.05%-ის 2013 წლის 11 აპრილიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე დაკისრება და 4) იპოთეკის საგნების იძულებითი რეალიზაცია, სსკ-ის 879-ე, 867-ე, 623-ე, 868.1, 417-ე-418-ე, 891.1, 895-ე და 301.1 მუხლებიდან გამომდინარეობენ.

22.1. საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას ამახვილებს იმ მთავარი ფაქტობრივი წინაპირობის განუხორციელებლობაზე, რომელზედაც იყო დამოკიდებული შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება. კერძოდ, რამდენად მართლზომიერად მოახდინა ბანკმა ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2012 წლის 29 აგვისტოს გარანტიით მისთვის თანხის ანაზღაურება. კასატორის მითითება კანონის იმ დანაწესზე, რომ რადგანაც საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული (სსკ-ის 881-ე მუხლი), ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ იქნება საკმარისი არგუმენტი სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად. საგარანტიო თანხის გაცემის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის აუცილებელია, რომ საბანკო გარანტია აკმაყოფილებდეს ორ მნიშვნელოვან წინაპირობას: ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს გარანტიის პირობებს და მისი წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ გარანტიით განსაზღვრულ ვადაში (სსკ-ის 887-ე მუხლის პირველი ნაწილი).

22.2. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2012 წლის 6 ივნისს ბანკსა და ბენეფიციარს შორის დაიდო საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის ხელშეკრულება, რომელიც აკმაყოფილებდა გარეგნობის დადების ნამდვილობის ზოგად პირობებს (სსკ-ის 879-ე მუხლი). გარანტიის ზღვრული ოდენობა 280 000 ლარი, გარანტიის საზღაური საგარანტიო თანხის წლიური 6%, ხოლო გარანტიის მოქმედების ვადა, მისი ძალაში შესვლიდან, 122 დღე იყო. ამ სახის საბანკო გარანტიის გაცემა ხდება იმ შემთხვევაში, როცა ბენეფიციარს

სურს, თავიდან აიცილოს ის რისკები, რაც დაკავშირებულია მის მიერ პრინციპალისათვის ავანსად გადახდილი თანხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების საწინააღმდეგო, ანუ არამიზნობრივ გამოყენებასთან. განსახილველ შემთხვევაშიც, ბანკის მიერ გაცემული გარანტია უზრუნველყოფდა ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის 2012 წლის 4 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაცემული ავანსის მიზანმიმართულ გამოყენებას.

22.3. 2012 წლის 29 აგვისტოს, ბენეფიციარმა ბანკს თანხის გადახდაზე წერილობითი მოთხოვნა წარუდგინა, რომელიც არც კანონის მოთხოვნებს (სსკ-ის 885-ე მუხლის პირველი ნაწილი) და არც საბანკო გარანტიით შეთანხმებულ პირობებს არ აკმაყოფილებდა. კერძოდ, მოთხოვნა არ შეიცავდა მითითებას იმაზე, თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, ანუ ადგილი ჰქონდა თუ არა ავანსის არამიზნობრივ გამოყენებას. გარდა ამისა, მოთხოვნას არ ჰქონდა დართული ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტები. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაასკვნა, რომ დარღვევა, რომელიც საავანსო თანხის უზრუნველსაყოფად გაცემული გარანტიის ბენეფიციარისათვის გადახდის უფლებას წარმოშობდა, სახეზე არ იყო.

22.4. საბანკო გარანტიის უპირველესი დანიშნულება ისაა, რომ გარანტორმა ბენეფიციარს თანხა უნდა გადაუხადოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის. მოცემულ შემთხვევაში, პრინციპალს ავანსად გადახდილი თანხით უნდა შეეძინა ხელშეკრულების საგანი, რომელიც უნდა გადაეცა მყიდველისათვის. მან ეს ვალდებულება მართალია, ვადის დაღვევით, მაგრამ შეასრულა. როგორც ჩანს, ბენეფიციარი ვალდებულების დარღვევად შესრულების ვადის გადაცილებას მიიჩნევდა, მაგრამ დადგენილია, რომ ამ სახის საბანკო გარანტია გაცემული არ ყოფილა. ბენეფიციარის მხრიდან საგარანტიო თანხის მიღების მოთხოვნა დასაბუთებული იქნებოდა, თუ გამყიდველი საავანსო თანხას არამიზნობრივად გახარჯავდა, რაც საბანკო გარანტიით დაზღვეული სიკეთის ხელყოფას დადასტურებდა, ანუ სამართლებრივი ურთიერთობის მხოლოდ ამგვარი განვითარება წარმოშობდა გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის თანხის გადახდის წინაპირობას. აღნიშნულის დამამტკიცებელი გარემოებებზე კი ბენეფიციარს არ მითითებია (იხ. სუსგ №ას-1229-1170-2014).

22.5. ამრიგად, ბენეფიციარმა, რომელსაც ბანკმა საგარანტიო თანხა 2012 წლის 29 აგვისტოს უსაფუძვლოდ გადაუხადა, რამოდენიმე დღეში პრინციპალისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინ-

ნებული შესრულებაც მიიღო. შესაბამისად, ბანკს ბენეფიციარის მიმართ შეიძლება ჰქონდეს კონდიქციური მოთხოვნა. რაც შეეხება, სსკ-ის 867-ე, 623-ე, 868.1, 417-ე-418-ე, 891.1, 895-ე და 301.1 მუხლების საფუძველზე მოპასუხეების წინააღმდეგ აღძრულ სარჩელს, ის უსაფუძვლოა, რადგანაც არ არსებობს, როგორც სარგებლის, ისე თავდებობის, იპოთეკისა და პირგასამტეხლოს განმსაზღვრელი ძირითადი ვალდებულება – პრინციპალის ვალდებულება დაუბრუნოს ბანკს კრედიტი (სსკ-ის, 867-ე და 623-ე მუხლები, 153-ე მუხლის პირველი ნაწილი, 286-ე მუხლის პირველი ნაწილი, და 893-ე მუხლი).

23. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

24. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერი, დასაბუთებულია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, არ არსებობს ამავე სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველიც;

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე მუხლებით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 410-ე მუხლით და

### **დასაბუთება:**

1. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის დამატებითი გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ერთობლივი საქმიანობა

## განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1003-964-2014

17 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქუჩი

**დავის საგანი:** ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით ნა-  
კისრი ვალდებულების შესრულება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. სარჩელის/შეგებებული სარჩელის მოთხოვნა:**

1.1. ც. ქ-აიამ (უფლებამონაცვლე – მ. ქ-აია (იხ: უზენაესი სასა-  
მართლოს 12.10.2015წ. განჩინება უფლებამონაცვლეობის თაობა-  
ზე) შემდგომში – მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა სასა-  
მართლოში შპს „ე-ს“ (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებული სარჩე-  
ლის ავტორი) მიმართ და მოითხოვა მოპასუხის დავალდებულება,  
ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების შესასრულებლად საც-  
ხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების არჩევითობის რიგი-  
თობის მიხედვით განაწილების, ასევე, მოსარჩელისათვის გამოყო-  
ფილი ნილის იპოთეკისგან გათავისუფლების თაობაზე.

1.2. შპს „ე-მ“ შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში ც. ქ-  
აიას მიმართ 262 909 ლარის, ასევე, ამხანაგობის საქმიანობის შენ-  
ყვეტამდე ამ საქმიანობიდან წარმოშობილი დამატებითი ხარჯის  
49%-ის დაკისრების მოთხოვნით.

**2. მოპასუხის პოზიცია:**

2.1. შპს „ე-მ“ მარტივი შედავებით არ ცნო მის მიმართ წარდგე-  
ნილი მოთხოვნა და განმარტა, რომ მოსარჩელე თავადაა წინააღ-  
მდეგი, შეასრულოს ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე ვალ-  
დებულებები. ამ ვალდებულებათა შესრულების შემდეგ მოპასუხე  
მოსარჩელეს გადასცემს მის კუთვნილ ნილს.

2.2. ც. ქ-აიამ შეგებებული სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ  
მას ხელშეკრულებით არ ეკისრებოდა თანხის შეტანის ვალდებუ-  
ლება, ხოლო ის, რაც ამხანაგობის ხელშეკრულებით იყო გათვა-  
ლისწინებული, შესრულებულია მის მიერ. ც. ქ-აიამ სადავო გახადა



ასევე მოთხოვნილი თანხის ოდენობა.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით თავდაპირველ, ასევე, შეგებებულ სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

#### **5.1. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

5.1.1. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 15.02.2012წ. მხარეთა შორის გაფორმდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება და მათ დააფუძნეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ო-ის ჩიხი 1, №...“. ამხანაგობის მიზანს წარმოადგენდა ქ. თბილისში, ო-ის 1 ჩიხის №...-ში განთავსებულ №... შენობა-ნაგებობის არსებული პროექტის კორექტირება, კორექტირებული და დამტკიცებული პროექტის მიხედვით ამ ნაგებობებზე დაშენება, აშენებულ სახლში ინდივიდუალური საკუთრების (საცხოვრებელი ბინებისა და არასაცხოვრებელი ფართების) განაწილება და მონაწილეებს შორის საერთო კუთვნილებაში წილების განსაზღვრა. ხელშეკრულების 10.1. პუნქტის მიხედვით, ამხანაგობა შექმნილია საცხოვრებელი სახლის აშენებისა და ექსპლუატაციაში მიღების ვადით. დამფუძნებელთა შეთანხმებით, აღნიშნული სახლი უნდა დაშენდეს და ექსპლუატაციაში ჩაბარდეს 2013 წლის 15 აგვისტოსთვის. 3.1. პუნქტის შესაბამისად, მესაკუთრე ც. ქ-აია ამ ხელშეკრულების მიზნის მისაღწევად ამხანაგობას შენატანის სახით საკუთრებაში გასაცემს მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ 604 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ №... შენობა-ნაგებობას. ამხანაგობისათვის გადაცემული უძრავი ქონება სამჯერაა დატვირთული იპოთეკით. ამხანაგობა პასუხისმგებლობას იღებს თავისი ხარჯით გამოასწოროს უძრავ ქონებაზე არსებული უფლებრივი ნაკლი, ამასთან, ისე, რომ საჯარო რეესტრში აღნიშნული ქონების მესაკუთრედ ამხანაგობის დარეგისტრირების შემ-

დეგ, იგი უარს ამბობს ყოველგვარ მოთხოვნაზე ც. ქ-აიას მიმართ. 3.2. პუნქტის თანახმად, დამფინანსებელი შპს „ე.“ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანის სახით კისრულობს ვალდებულებას, პირადი ან მოძიებული თანხებით უზრუნველყოს ამხანაგობის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის პროექტის კორექტირება, კორექტირებული პროექტის თანახმად, შენობის აღმართვა (დაშენება-გადაკეთება) და მისი ექსპლუატაციაში მიღება. დამფუძნებელთა განცხადებით, მათ მიერ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანის ღირებულება დღეის მდგომარეობით შეადგენს 109 000 აშშ დოლარს (53 000 აშშ დოლარი მესაკუთრის მიერ განხორციელებული ქონებრივი შენატანის ღირებულება, 55 000 აშშ დოლარი – დამფინანსებლის მიერ განხორციელებული სამუშაოების დასრულების ღირებულება (3.7.პუნქტით).

დამფუძნებელთა მიერ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანები სრულად უზრუნველყოფს მათ მიერ მისაღებ ქონებას (ფართებს). მხარეთა შეთანხმებით, ამხანაგობის მიერ ქ. თბილისში, ო-ის ჩიხი 1, №...-ში აშენებულ საცხოვრებელ სახლში დამფუძნებელთა წილები განანიღდება შემდეგი პროპორციით: შპს „ე.“ წილის სახით მიიღებს დასრულებულ საცხოვრებელ სახლში არსებული მთელი ფართის 51%-ს, შესაბამის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად, ც. ქ-აია – დასრულებულ საცხოვრებელ სახლში არსებული მთელი ფართის 49%-ს, შესაბამის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად (6.1. პუნქტი).

5.1.2. ქ. თბილისში, ო-ის ჩიხი 1, №...-ში მდებარე 604 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული 1157 კვ.მ №... მშენებარე შენობის საერთო ფართის (მათ შორის, საცხოვრებელი ფართი – 728.6 კვ.მ, საზაფხულო ფართი – 133,7 კვ.მ, ავტოსადგომების ფართის – 86,7 კვ.მ სარდაფის ფართი – 115,1 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართი – 93,2 კვ.მ) მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იბა „ო-ის ჩიხი 1 №...“. მითითებული შენობა-ნაგებობები ექსპლუატაციაში არ არის მიღებული.

5.1.3. პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად, მხარეთა შორის წარმოშობილ ურთიერთობებს საფუძვლად უდევს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება, მოსარჩელე და მოპასუხე წარმოადგენენ ამხანაგობის წევრებს. ამხანაგობის ხელშეკრულება, როგორც კონკრეტული მიზნის მისაღწევად პირთა გაერთიანებაზე აგებული ხელშეკრულება, მოითხოვს წევრებისაგან ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომელთაც ახასიათებს სხვადასხვა ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. როდესაც ყურადღებას ვამახვილებთ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ისეთ

ხელშეკრულებაზე, რომელიც მიზნად ისახავს, მაგალითად, რაიმე ნაკეთობის დამზადებას, სახლის აშენებას და ა.შ ამხანაგობის წევრთა უფლება-ვალდებულებები ემსგავსება ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ურთიერთობებს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ისეთ უფლება-ვალდებულებებს, რაც დამახასიათებელია კოლექტიური გაერთიანებისათვის, რომელსაც ახასიათებს კორპორაციული სტრუქტურის ისეთი თვისებები, რომელიც მოიცავს, როგორც ორგანიზაციულ, ასევე ქონებრივ ელემენტებს, ასეთი ტიპის გაერთიანება წარმოადგენს გარკვეულწილად იმ საშუალებათა ერთობას, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია ამ გაერთიანების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მიღწევა. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურება ვლინდება იმაში, რომ დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მონაწილე პირთა ერთობლივი საქმიანობით. ამხანაგობის წევრების ინტერესები მიმართულია საერთო მიზნის მიღწევისაკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთის მიმართ ისინი არ შეიძლება გამოდიოდნენ, როგორც კრედიტორი და მოვალე. ზუსტად ეს წარმოადგენს შემთხვევას, როდესაც უნდა გაიმიჯნოს საერთო საქმიანობის მიზნის მისაღწევად ამხანაგობის წევრების უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები იმ უფლება-ვალდებულებებისაგან, რომლებიც შემდეგ მათ წარმოემართა ერთმანეთის მიმართ, კერძოდ, ერთ შემთხვევაში, საერთო საქმიანობასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობის ყოველი მონაწილისაგან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილი) არა უშუალოდ თავისი, არამედ მხოლოდ საერთო საქმიანობის მონაწილეთა სასარგებლოდ. მეორე შემთხვევაში, ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულია დანაწესი, რომლის თანახმად, პასუხისმგებლობის საკითხი დგება ერთმანეთის მიმართ. საერთო საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების განაწილება (მაგალითად, საერთო საქმიანობის შედეგად აშენებული მრავალბინიანი სახლის ბინები) წარმოადგენს საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა იმ უფლებების დაკმაყოფილებას, რომლისთვისაც იქმნება ამხანაგობა, ასევე, ერთმანეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ამხანაგობის მონაწილეებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა განისაზ-

ღვრება ერთმანეთთან მიმართებით. ამდენად, ამხანაგობის ხელშეკრულება წარმოადგენს საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ხდება ყველა მონაწილის უფლებების დაკმაყოფილება.

5.1.4. ამხანაგობის ხელშეკრულების მიზნის მისაღწევად წარმოებული საქმიანობის შედეგად წარმოიშობა არა მხოლოდ სარგებელი, არამედ გარკვეული გასავალი და ზიანი. გასავალი არის ამხანაგობის საერთო საქმიანობის ნორმალური განხორციელების პროცესში წარმოშობილი ხარჯი. იგი ამხანაგობის საერთო შენატანისაგან განსხვავდება იმით, რომ მისი ზუსტი ოდენობისა და ნორმის განსაზღვრა ხელშეკრულების დადების დროს შეუძლებელია. გასავლისა და ზარალის დაფარვა წარმოებს ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო შენატანებისა და ამხანაგობის საერთო ქონების ანგარიშზე. თუ აღნიშნული არ იქნება საემარისი, დანაკლისი თანხები გადანაწილდება მონაწილეთა შორის, მათი პირადი ქონების ფარგლებში.

5.1.5. სამოქალაქო კოდექსის 939-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამხანაგობის ხელშეკრულების ვადა შეიძლება მოიაზრებდეს მიზნის მიღწევას, შედეგის დადგომას. ამდენად, ხელშეკრულება შეწყდება კონკრეტული შედეგის დადგომით. ამ შემთხვევაში, ამხანაგობის ხელშეკრულების საგანი არის საცხოვრებელი სახლის აშენება, თითოეული მონაწილის ფართით დაკმაყოფილების მიზნით. დადგენილია, რომ მონაწილეებმა ამხანაგობის ვადა დაუკავშირეს სახლის აშენებას და მისი ექსპლუატაციაში მიღების ვადას (10.1 პუნქტი). დადგენილია, რომ საცხოვრებელი სახლი არ არის შესული ექსპლუატაციაში, შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეწყვეტილი არ არის.

5.1.6. სამოქალაქო კოდექსის 940-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმის მიხედვით, თუ რა არის ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძველი, შეწყვეტის წესი განსხვავებულია, თუმცა, შეწყვეტის პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობები და, შესაბამისად, საბოლოო შედეგი, შეწყვეტის საფუძველებისა და წესის სხვაობის მიუხედავად, ერთნაირია. გაზიარებულ იქნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა მასზე, რომ იმ პირობებში, როდესაც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულებითი ურთიერთობა არ არის შეწყვეტილი, შემოსავლისა და გასავლის განაწილების შესახებ ამხანაგობის მონაწილეთა მოთხოვნები უსაფუძვლოა, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა სარჩელი.

## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასა-

ჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი, ასევე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

### **6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:**

6.1.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 940-ე მუხლით, შესაბამისად, არასწორად იმსჯელა ამხანაგობის ვადის გასვლის საკითხზე. 15.02.2012წ. ხელშეკრულება სრულად შეესაბამება ამხანაგობის მომწესრიგებელ ნორმებს, ხოლო სასამართლომ არასწორად შეაფასა ხელშეკრულების 1.4. პუნქტი, 2.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, 3.3., 6.1., 6.2., 6.3. პუნქტები, 3.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ასევე არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 930-ე, 932-ე, 933-ე და 935-ე მუხლები.

6.1.2. მოწინააღმდეგე მხარე სასარჩელო მოთხოვნას დაუპირისპირდა ამხანაგობის ხარჯების წილების პროპორციულად დაფარვის მოთხოვნით, ხარჯები კი, მოპასუხისა და ამხანაგობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების ხელმოწერილი დოკუმენტებით იქნა განსაზღვრული. მიუხედავად სასამართლოსათვის წარდგენილი არაერთი მტკიცებულებისა, ეს აქტები ბათილად არასწორად არ იქნა ცნობილი.

6.1.3. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი სასამართლომ დაასაბუთა იმით, რომ ამხანაგობის ხელშეკრულება არ იყო შეწყვეტილი. სასამართლომ ამ თვალსაზრისით არასწორად იმსჯელა ამხანაგობის მიზანსა და ფართების განაწილების წესზე, რადგანაც, მხარეთა შეთანხმებით, ფართების განაწილება უნდა განხორციელებულიყო მშენებლობის დასრულების შემდეგ. მშენებლობა დასრულებულია, რასაც მოწმობს საჯარო რეესტრის ამონაწერი. სასამართლოს მსჯელობის საწინააღმდეგოდ, ხელშეკრულების 6.1. პუნქტის თანახმად, მოპასუხემ შენატანი განახორციელა და ამხანაგობამ ააშენა სახლი, შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა ხელს უშლის ამხანაგობის მიზნის მიღწევას. ამხანაგობის მიზნის მიღწევა არ გამორიცხავს მოპასუხის ვალდებულებას, შეასრულოს ხელშეკრულების 3.2. პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, რადგანაც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების შედგენის დროს ორივე მხარემ განახორციელეს შენატანი, რაც ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრება გახდა (ხელშეკრულების 3.3. მუხლი, 26.10.2012წ. კრების ოქმი, 16.11.2012წ. საჯარო რეესტრის ამონაწერი). სასამართლომ არასწორად გააიგივა ფართის განაწილების მიზნებისათვის მშენებლობის დასრულება და სახლის ექსპლუატაციაში შესვლა, ამ კუთხით არასწორად განმარტა ხელშეკრულების დებულებები. ამასთანავე, სასამართლოს არ განუმარტავს, თუ რატომაა საჭირო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათ-

ვის ამხანაგობის შეწყვეტა. ამ თვალსაზრისით სასამართლო არასწორად დაეყრდნო სამოქალაქო კოდექსის 940-ე მუხლს.

6.1.4. მოსარჩელის მეორე მოთხოვნის თაობაზე სასამართლოს გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ უმსჯელია. ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე ხარჯების თაობაზე არ არის მითითებული გადანყვეტილების ფაქტობრივ დასაბუთებაში, რაც სასამართლოს მხრიდან უკანონო აქტების შეფასებისათვის თავის არიდებაა, თუმცა სასამართლო მსჯელობს გასაგებზე, რომელიც უსაფუძვლოდ გაიგივებულია შემოსავლის განაწილებასთან. გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ხარჯების დაკისრების თაობაზე შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა და ამ ნაწილში გადანყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

6.1.5. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ არ არსებობდა აპელანტის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის დაბრუნების საფუძველი, რადგანაც მხარემ გათავისუფლების დამადასტურებელი მტკიცებულება სახელმწიფო ბაჟის სახით ამ თანხის გადახდის შემდგომ წარადგინა. კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ 27.01.2014წ. განჩინებით დაუდგინა კასატორის ხარვეზი და დაევალა დავის საგნის ღირებულების 4%-ის გადახდა, რაც საქმის განხილვისაგან მხარის ჩამოცილებას ემსახურებოდა მიზნად, შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა უკანონოა და გადახდილი თანხა ექვემდებარება დაბრუნებას.

6.1.6. სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გააუქმა საქალაქო სასამართლოს 20.11.2013წ. სხდომის ელ.ვერსიის ჩანაწერი, რომელიც დამონტაჟებულია და არ შეესაბამება სხდომის ოქმს. არსებობს სასამართლოს სხდომის ჩანაწერი, სადაც მონიშნულმდეგე მხარის პოზიციაა დაფიქსირებულია რაც მიუთითებს ამ მხარის გარკვეულ ურთიერთობაზე სასამართლოსთან.

6.1.7. სააპელაციო სასამართლო მსჯელობს ამხანაგობის განხორციელების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებაზე, მონიშნულმდეგე მხარემ სასამართლოს შეკითხვაზეც დაადასტურა, რომ მას ზიანი არ მიდგომია, თუმცა, სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა კასატორის მტკიცება, რომ არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, შესაბამისად, ქვემდგომი სასამართლოები არასწორად არ იზიარებენ მოსარჩელის მტკიცებას, რომ ფართების გამიჯვნის საკითხს არაფერი აქვს საერთო სახლის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების საკითხთან.

6.1.8. სასამართლოს გადანყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებისას არ დაუდგენია ის გარემოება, რომ 20.02.2012წ. ამხანაგო-

ბა დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში და ამ დროიდან წარმოეშვა მის მეორე დამფუძნებელს, მოპასუხეს ვალდებულება, ქონება გაათავისუფლოს სს „ბ. ბანკის“ სასარგებლოდ დატვირთული იპოთეკისგან; 16.11.2012წ. შენობის გადახურვისა და მშენებარე სტატუსით ფართების რეგისტრაციით დასრულდა მშენებლობა; აღნიშნულით მოწინააღმდეგე მხარემ შეასრულა ვალდებულება და შენობა გადასცა ამხანაგობას საერთო საკუთრებაში, შესაბამისად, დასრულებულია მშენებლობა, გაყვანილია კომუნიკაცია და სახლს ჰყავს მაცხოვრებლები; 06.02.2013 წლამდე ამხანაგობას არ უწარმოებია ფინანსური ოპერაციები, ხოლო სამუშაოს შესრულების აქტები მოწინააღმდეგე მხარის მიერ შედგენილია 2012 წლის აპრილიდან; სასამართლოს არ უმსჯელია, მოწინააღმდეგე მხარემ რა სახით წარადგინა ამხანაგობის ხარჯები; ასევე არ უმსჯელია იმაზე, რომ ამხანაგობის ხელშეკრულება ითვალისწინებს ორ ვადას: ა) ფართების დამფუძნებელთა შორის განაწილების ვადა (ხელშეკრულების 2.1. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, 33. და 6 პუნქტები), ბ) სახლის ექსპლუატაციაში მიღების ვადა (ამავე ხელშეკრულების 3.2. პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი); დამფუძნებელთა მიერ განხორციელებულმა შენატანებმა უზრუნველყვეს ხელშეკრულების 6.1. პუნქტით მისაღები ფართების ქონების გადაცემა; საჯარო რეესტრში საერთო საკუთრება პროცენტული მაჩვენებლით არ აღრიცხულა; საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართებზე დადგენილია კვადრატულობა და მინიჭებული აქვთ შესაბამისი ნომრები; ხელშეკრულების 6.2. პუნქტის წინააღმდეგ, არ არის დადგენილი და საჯარო რეესტრში არ არის განხორციელებული ჩანაწერი ფართის მომავალი მესაკუთრის თაობაზე.

## **6.2. კასატორის შუამდგომლობები:**

კასატორმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა: ამხანაგობის დამფუძნებელ შპს „ე-ს“ დირექტორისა და წარმომადგენლის მიერ შედგენილი სამუშაოების შესრულების აქტების ბათილად ცნობის; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, ამ აქტების საქმიდან ამოღების; ამავდროულად კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფართების დამფუძნებელთა შორის განაწილებამდე ამხანაგობის კუთვნილ სახლში ამ ფართების გასხვისების აკრძალვის; ამხანაგობის ანგარიშებზე ყადაღის დადების თაობაზე; შპს „ე-ს“ დავალებულება, წარადგინოს ამხანაგობის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის აღრიცხვის ჟურნალი; ექსპერტიზის ჩატარება შესრულებული სამუშაოების აქტებზე მათი შესრულებისა და ბეჭდით დამონშების დროის განსაზღვრის მიზნით; შპს „ე-ს“, ასევე, მისი ერთადერთი დამფუძნებლის – ბ. გ-იას, ასევე ამხანა-

გობის წარმომადგენელ ა. ს-ის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე; შემოსავლების სამსახურში ამხანაგობის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე წევრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, რომელიც შეეხება ამხანაგობაში კუთვნილი წილის რეალურად განსაზღვრას, მის საჯარო რეესტრში რეგისტრაციასა და ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლებას. როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უმთავრეს საფუძვლად მიიჩნიეს სამოქალაქო კოდექსის 940-ე მუხლით გათვალისწინებული ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის წინაპირობების არარსებობა, კერძოდ, ქვემდგომ სასამართლოთა დასკვნით, იმ პირობებში, როდესაც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა არ არის შეწყვეტილი, შემოსავლისა და გასავლის განაწილების შესახებ ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა მოთხოვნები უსაფუძვლოა.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულია გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების ჩამონათვალი და კანონმდებელი განსახილველი ნორმით ადგენს ზემდგომი სასამართლოს ვალდებულებას, გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, თუ სახეზეა მითითებულთაგან ერთ-ერთი დარღვევა. ხსენებული ნორმის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. გასაჩივრებული განჩინების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომ სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები.

1.3. წინამდებარე დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით, აუცილებელია პასუხი გაეცეს მთავარ კითხვებს – ვინ?, ვისგან?, რას?,



რის საფუძველზე ითხოვს?. პირველი ორი კითხვა სათანადო მხარესთან მიმართებაში იძლევა პასუხს, მესამე – მოთხოვნასთან მიმართებაში, ხოლო მეოთხე – მოთხოვნის საფუძველთან მიმართებაში. დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად ამოსავალია მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ სარჩელსა და შესაგებელში მითითებული გარემოებები. ამასთან, პრაქტიკული თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა შემოწმდეს სარჩელი ფორმალურ-სამართლებრივად დასაბუთებულია თუ არა, ანუ მითითებული გარემოებების დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში, დადგება თუ არა ის შედეგი, რომლის მიღწევაც სურს მოსარჩელეს. მხოლოდ ამის შემდეგ ღირს მოპასუხის სტადიაზე გადასვლა, რაც გულისხმობს მოპასუხის შესაგებლის დასაბუთებულობის შემოწმებას.

1.4. მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ განსახილველი სამართალურთიერთობა ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარეობს, რომლის რეგულირების ზოგადი წესი სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლითაა დადგენილი. მითითებული ნორმის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. ამხანაგობის ხელშეკრულება, მსგავსად ნებისმიერი სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობისა, მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებაა და იგი დადებულად ითვლება მას შემდეგ, რაც მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმის დაცვით (სკ-ის 327.1 მუხლი). მართალია, სამოქალაქო კოდექსი ადგენს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რომელიც სამართალსუბიექტებს არა მარტო ხელშეკრულების დადების, არამედ ამ ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის დისკრეციას ანიჭებს, თუმცა ეს პრინციპი არ არის აბსოლუტური და იგი ლეგიტიმურ ბოჭვას სწორედ სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმაში ჰპოვებს, კერძოდ, ხელშეკრულება კანონის ფარგლებში უნდა იყოს დადებული და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას. სახელშეკრულებო დავის განხილვისას სასამართლოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ხელშეკრულებაში გადმოცემული მხარეთა რეალური ნების დადგენა, მისი შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან და სწორედ ამ გზით უნდა დადგინდეს სასარჩელო მოთხოვნის საფუძლიანობა.

1.5. საქმეში წარმოდგენილი ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით ირკვევა, რომ ამხანაგობის მიზანი ქ. თბილისში, ო-ის I ჩიხის №...-ში მდებარე №... შენობა-ნაგებობის არსებული პროექ-

ტის კორექტირება, კორექტირებული და დამტკიცებული პროექტის თანახმად ამ ნაგებობაზე დაშენება, აშენებულ სახლში ინდივიდუალური საკუთრების განაწილება (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართი) და მონაწილეებს შორის საერთო კუთვნილებაში წილის განსაზღვრა (ხელშეკრულების 2.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი). შენობის სართულების, ბინების რაოდენობა, თითოეული ბინის ფართი და სხვა მახასიათებლები უნდა დადგინდეს კორექტირებული სამშენებლო პროექტის მიხედვით (2.2. პუნქტი). სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ შესატანზე, რომელიც, ერთ შემთხვევაში, ქონებრივი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, მომსახურების განვითარების განსაზღვრა, კერძოდ, ამხანაგობაში განვევრინებისა და ერთობლივი საქმიანობის მიზნის მისაღწევად, ამხანაგობის მონაწილეებს ამხანაგობაში შესატანის სახით შეაქვთ: მოსარჩელეს (მესაკუთრე) მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული №... შენობა-ნაგებობით, ყველა უფლება სამშენებლო დოკუმენტაციასა და არსებულ პროექტზე, რაც ეხება არსებულ შენობას. შპს „ე.“ (დამფინანსებელი) ამხანაგობაში განსახორციელებელი შესატანის სახით კისრულობს ვალდებულებას, პირადი ან მოძიებული თანხებით უზრუნველყოს ამხანაგობის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის პროექტის კორექტირება, კორექტირებული პროექტის თანახმად, შენობის აღმართვა (დაშენება-გადაკეთება) და მისი ექსპლუატაციაში მიღება, რაც გულისხმობს: ა) მშენებლობის პასპორტის მიღებას; ბ) შენობის აღმართვისათვის კანონმდებლობით დადგენილი ყველა ნებართვისა და დოკუმენტის მიღებას, შემუშავებას, შეთანხმებას ან/და დამტკიცებას, თუნდაც ეს არ იყოს მითითებული ამ ხელშეკრულების „ა“ ქვეპუნქტში; გ) შენობის აღმართვას (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებას) მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, ყველა სამშენებლო ნორმისა და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტის დაცვით; დ) პროექტის თანახმად, განსაზღვრული შენობის აღმართვის (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების) მთლიანი პროცესის სრულ დაფინანსებას პირადად მოზიდული თანხებით ან სესხით; ე) შენობის აღმართვის სრულ უზრუნველყოფას მასალით, მოწყობილობებითა და მუშახელით, აგრეთვე სხვა ობიექტებითა და ინვენტარით ხელშეკრულების „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წყაროებით; ვ) პროექტის თანახმად, გათვალისწინებული შენობის ექსტერიერის (ფასადის) დასრულებას, კიბის უჯრედების დასრულებას, წყალ-კანალიზაციის და ელ.დგარების, აგრეთვე, ბუნებრივი აირის დგარების დამონტაჟებას; ზ) პროექტის შესაბამისად აღმართული შენობის ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველყოფას; თ) ყველა სხვა ქმე-

დების განხორციელებას, რაც აუცილებელი იქნება პროექტის შესაბამისად შენობის აღმართვისა (აშენების) და მისი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღებისათვის (ხელშეკრულების მე-3 მუხლი).

1.6. მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსარჩელემ (მესაკუთრე), ამ ხელშეკრულების მიზნის მისაღწევად, შესატანის სახით ამხანაგობას საკუთრებაში გადასცა მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული 604.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული №... შენობა-ნაგებობა. აღნიშნული უძრავი ქონება ამხანაგობისათვის გადაცემისას ნივთობრივად უნაკლო იყო, მაგრამ გააჩნდა უფლებრივი ნაკლი – იგი სამჯერ იყო დატვირთული იპოთეკით. დამფუძნებლის (მოპასუხე) განცხადებით, მისთვის ცნობილი იყო მოთხოვნის საერთო მოცულობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც ამხანაგობაში შეტანილი უძრავი ქონება სამჯერ იყო დატვირთული იპოთეკით. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით, ამხანაგობამ პასუხისმგებლობა აიღო საკუთარი ხარჯით გამოესწორებინა უძრავ ქონებაზე არსებული უფლებრივი ნაკლი, ამასთან, ისე, რომ საჯარო რეესტრში ქონების მესაკუთრედ ამხანაგობის დარეგისტრირების შემდეგ იგი უარს იტყოდა ყოველგვარ მოთხოვნაზე მოსარჩელის მიმართ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დათქმას ეფუძნება მოსარჩელის მეორე მოთხოვნა იპოთეკისაგან ქონების გათავისუფლების დავალდებულების თაობაზე, რადგან მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მიწის ნაკვეთის ამხანაგობის სახელზე დარეგისტრირების შემდეგ (20.02.2012წ.), ფულადი ვალდებულების შესრულებაზე მან პასუხი არ უნდა აგოს ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებული სიკეთის ხარჯზე.

1.7. ხელშეკრულების მე-6 მუხლით მხარეები შეთანხმდნენ ფართების განაწილების წესზე, რომლის თანახმადაც, დამფუძნებლების მიერ ამხანაგობაში განხორციელებული შესატანები სრულად უზრუნველყოფს მათ მიერ მისაღებ ქონებას (ფართებს). მხარეთა შეთანხმებით, ამხანაგობის მიერ ქ. თბილისში, ო-ის I ჩიხი №...-ში აშენებულ საცხოვრებელ სახლში დამფუძნებელთა (მონაწილეთა) წილები გადანაწილდა შემდეგი პროპორციით: ა) შპს „ე.“ წილის სახით მიიღებს დასრულებულ საცხოვრებელ სახლში არსებული მთელი ფართის 51%-ს, შესაბამის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად; ბ) ც. ქ-აია წილის სახით მიიღებს დასრულებულ საცხოვრებელ სახლში არსებული მთელი ფართის 49%-ს შესაბამის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად. თითოეული წევრის მისაღები საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების კვადრატულობა და ბინების ნომრები უნდა დადგინდეს პროექტის თანახმად. ამხანაგობის თავმჯდომარემ იკისრა ვალდებულება წილის (ფართების) განაწილების შესახებ სა-

ნოტარო აქტი რეგისტრაციისათვის წარუდგინოს საჯარო რეესტრს. ამხანაგობის თითოეული მონაწილის მისაღები წილის (ფართის) შესახებ უნდა გაკეთდეს წინასწარი ჩანაწერი საჯარო რეესტრში, სადაც მიეთითება ის ფაქტი, რომ წილი (ფართი) არის მშენებარე, ასევე, წილის (ფართის) მომავალი მესაკუთრის ვინაობა, სართული და წილი.

1.8. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს წინამდებარე განჩინების 5.1.3. პუნქტში მოყვანილ სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ მსჯელობას ერთობლივი საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებით, თუმცა მიიჩნევს, რომ ქვემდგომ სასამართლოს არ გაურკვევია მოსარჩელის მოთხოვნის რეალური არსი, მით უფრო იმ პირობებში, როცა საქალაქო სასამართლომ ც. ქ-იას სარჩელზე უარი სამოქალაქო კოდექსის 940-ე მუხლის წინაპირობების არარსებობაზე დაამყარა, ხოლო აპელანტმა არაერთგზის განმარტა, რომ მისი მოთხოვნა არა ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტა, არამედ, წილობრივი მონაცემების შესაბამისად, ფართებზე სამომავლო უფლების რეგისტრაცია და ქონების იპოთეკისგან გათავისუფლება იყო, ამასთან, სასამართლოსათვის მიმართვა განაპირობა, ერთი მხრივ, მრავალბინიანი სახლის მშენებლობის დასრულებამ, ხოლო, მეორე მხრივ, მოპასუხის მხრიდან გარკვეული ფართების განკარგვამ, რის შედეგადაც, შესაძლებელია, საფრთხე შეექმნას მოსარჩელის ინტერესების დაკმაყოფილებას. პალატა მოიხმობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილს, რომლის თანახმადაც სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება. ასეთ ვითარებაში, მოსარჩელის ნამდვილი ინსტერესის დადგენისათვის სააპელაციო სასამართლოს არ უსარგებლია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებით (მოსამართლეს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადანყვეტიისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას, მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენას და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას), ისე დაეთანხმა გასაჩივრებული გადანყვეტილების შეფასებებს ამხანაგობის შეწყვეტისა და მოგების/ხარჯების განაწილების წესზე. ამ თვალსაზრისით უდავოადა გასათვალისწინებელი ისიც, რომ საქმეში წარმოდგენილია იბა „ო-ის I ჩიხი №...-ის“ 26.10.2012წ. კრების ოქმი, სადაც განსახილველ საკითხს წარმოადგენდა ფართების

განშლა და ნუმერაციის მინიჭება. მითითებულ მტკიცებულებაში საუბარია ამხანაგობის მონაწილეთა მიერ საკითხის ერთხმად გადაწყვეტაზე და წარმოდგენილია სქემა ბინების ნომრების, ოთახების რაოდენობის, საერთო (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი) ფართებისა და ამ ფართების ნილობრივი (პროცენტული) მონაცემების ჩათვლით, თუმცა აღნიშნული მტკიცებულების თაობაზე მსჯელობას არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მოპასუხის შესაგებელიც, სადაც იგი განმარტავს, რომ ამხანაგობის ვალების გასტუმრებაზე სოლიდარული პასუხისმგებლობა ეკისრება მოსარჩელეს და მხოლოდ მისი წილი ვალდებულების შესრულების შემდეგ დათანხმდება ბინების განაწილებას, თავის მხრივ, მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მოითხოვა ც. ქ-აიას დავალდებულება არსებული ვალდებულებების 49%-ის (წილის პროპორციულად) შესრულების თაობაზე, რაც არ დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით და ამ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში (სსკ-ის 264.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

1.9. რაც შეეხება გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას, რომლის თანახმადაც, ამხანაგობის ხელშეკრულების მიზნის მისაღწევად წარმოებული საქმიანობის შედეგად წარმოშობილი გასაჯლისა და ზარალის დაფარვა წარმოებს ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო შენატანებისა და ამხანაგობის საერთო ქონების ანგარიშზე, ასევე, შესაძლებელია დადგეს მონაწილის ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს მას, თუმცა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 937.1 მუხლის პირველი წინადადებით განსაზღვრული პასუხისმგებლობა მესამე პირთა უფლებადამცავ ნორმას წარმოადგენს, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს, არამედ, შესაფასებელია ამხანაგობის წევრის მოთხოვნის საფუძვლიანობა ამავე ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ, ვალდებულების შესრულების თაობაზე.

1.10. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლებს საერთოდ არ უმსჯელიათ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი წილის იპოთეკისაგან გათავისუფლებაზე. ამ თვალსაზრისით მოსარჩელე მიუთითებს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე და განმარტავს, რომ ფინანსური ვალდებულებების შესრულება, მათ შორის, უძრავი ქონების სანივთო უზრუნველყოფისაგან გათავისუფლება ამხანაგობის შიდა ურთიერთობაში ეკისრებოდა შპს „ე-ს“, რასაც არ დაეთანხმა მოპასუხე, ხოლო სააპელაციო სასამარ-

თლოს არ შეუფასებია ხელშეკრულებით მოწინააღმდეგე მხარემ იკისრა თუ არა მსგავსი ვალდებულება ამხანაგობის წინაშე.

1.11. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ერთობლიობაში არ მიეცა შეფასება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს (მათ შორის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებას, მხარეთა განმარტებებს, ამხანაგობის 26.10.2012წ. ოქმს), რითაც დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა – გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ არის ასახული სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებები, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემული ნორმის ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს უფლების საკითხი.

1.12. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს სააპელაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟის – 150 ლარის დაბრუნებაზე უარის არასწორად თქმის თაობაზე და განმარტავს, რომ მხარეს ამ ნაწილში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია, კერძოდ, არ მიუთითებია იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, არამედ შემოიფარგლა იმაზე მითითებით, რომ სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულების 4%-ის გადახდა მას იმ მიზნით დაავალა სააპელაციო პალატამ, რომ მხარე ჩამოშორებოდა საქმის განხილვას. საკასაციო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო ცნობის თანახმად, ც. ქ-აიას შესაძლებლობის შეზღუდვა დაუდგინდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის შემდეგ – 2014 წლის 20 თე-

ბერვალს, ხოლო სააკპელაციო საჩივრის შეტანის დროისათვის (როდესაც მან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადა 150 ლარი) იგი არ წარმოადგენდა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათის ბენეფიციარს. პალატა ასევე არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც არსებობდა საქალაქო სასამართლოს 20.11.2013წ. საოქმო განჩინების ელექტრონული ჩანაწერის გაუქმების საფუძველი, რადგანაც კასატორს არ მიუთითებია კონკრეტულ მტკიცებულებაზე, რაც დაადასტურებდა საქმეში წარმოდგენილი სხდომის ოქმის ელექტრონული ვერსიის გაყალბების (დამონტაჟების) ფაქტს, ამასთანავე, კასატორის პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც კი, საქმის მასალებით არ დასტურდება მითითებულ დარღვევას რა ნეგატიური შედეგი მოჰყვა დავის გადაწყვეტის კუთხით და ამ მხრივ არც სააკსაციო საჩივარი შეიცავს საფუძვლიან შედაგებას.

## **2. კასატორის შუამდგომლობები:**

2.1. მოცემულ შემთხვევაში, მხარემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა სამუშაოს შესრულების აქტების ბათილად ცნობის, ამავე აქტების საქმიდან ამოღების, მონინაალმდევე მხარისაგან მტკიცებულებების გამოთხოვის, მათზე ექსპერტიზის ჩატარებისა და შემოსავლების სამსახურში ამხანაგობის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე.

2.2. სააკსაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობებები არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგანაც გადასახადის გადამხდელად ამხანაგობის შემოსავლების სამსახურში რეგისტრაცია და სამუშაოების შესრულების შესახებ აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნა შუამდგომლობის ფარგლებს ცდება, იგი სარჩელით არ ყოფილა მოთხოვნილი, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა სააკსაციო სასამართლოზე დაუშვებელია. რაც შეეხება ამავე აქტების ბათილად ცნობას, მის სამართლებრივ საფუძველად მხარე უთითებს ამავე კოდექსის 137-ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მხარე სიყალბედ მიიჩნევს არა დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ან მისი შინაარსის შეცვლას, არამედ, არ ეთანხმება დოკუმენტში ასახულ ინფორმაციას, ეს გარემოება კი, შუამდგომლობის მითითებული საფუძვლით გაზიარების შესაძლებლობას გამორიცხავს. გარკვეული მტკიცებულებების (ამხანაგობის სარეგისტრაციო ჟურნალები და სხვა) გამოთხოვასა და მათზე ექსპერტიზის ჩატარებასთან მიმართებით, პალატა ყურადღებას იმ გარემოებაზე გაამახვი-

ლებს, რომ შუამდგომლობა არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რა გარემოების დადგენას ემსახურება ექსპერტიზის ჩატარება, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ ინსტანციას, რაც ახალი მტკიცებულებების მიღებას გამორიცხავს.

### **3. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:**

3.1. საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე კასატორმა არაერთხელ მომართა სასამართლოს განცხადებით და წარმოადგინა მტკიცებულებები, ამასთან, მტკიცებულებათა ნაწილი ერთვის ასევე საკასაციო საჩივარს.

3.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კასატორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გაზიარების საფუძველი, შესაბამისად, მას უნდა დაუბრუნდეს წარმოდგენილი მტკიცებულებები (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 11.07.2014წ. №2/11712-2014 განჩინება, ც. ქ-აიას წერილი თანდართული მასალებით, ც. ქ-აიას მიმართვა სსიპ შემოსავლების სამსახურისადმი საჯარო რეესტრის ამონაწერები, CD დისკი); №ა-2860-14 განცხადებაზე დართული თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.08.2014წ. №2/14928-14 განჩინების ასლები 6 (ექვსი) ფურცლად; №ა-3082-14 განცხადებაზე დართული იბა „ო-ის I ჩიხი №...-ის“ 26.10.2012წ. კრების ოქმი, საჯარო რეესტრის ამონაწერი და ც. ქ-აიას წერილი 6 (ექვსი) ფურცლად).

### **4. გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება:**

4.1. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მხარემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დამფუძნებელთა შორის ფართების განაწილებამდე ამხანაგობის კუთ-



ვნილ სახლში ამ ფართების გასხვისების აკრძალვის; ამხანაგობის ანგარიშებზე ყადაღის დადების; შპს „ე-ს“, მისი ერთადერთი დამფუძნებლის – ბ. გ-იას, ასევე, ამხანაგობის წარმომადგენელ ა. ს-ის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე.

4.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინებით კასატორის (უფლებამონაცვლის) შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს „ე-ს“ აკრძალა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ო-ის ჩიხი I ...-ის“ კუთვნილი ქ. თბილისში, ო-ის I ჩიხი №...-ში მდებარე უძრავი ქონების გასხვისება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფის გამოყენებული ზომა საკმარისია მოსარჩელის ინტერესების დასაცავად, შესაბამისად, საკასაციო საჩივარში მითითებულ უზრუნველყოფის სხვა ზომებზე მსჯელობის წინაპირობები აღარ არსებობს, ამასთანავე, ვინაიდან წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულდებულა, არამედ, საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება ქვემდგომ სასამართლოს, არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი.

#### **5. სასამართლო ხარჯები:**

კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, ამასთანავე, ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულდებულა, სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 55-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ც. ქ-იას უფლებამონაცვლე მ. ქ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. კასატორის შუამდგომლობა სამუშაოების შესრულების აქტების ბათილად ცნობის თაობაზე დარჩეს განუხილველად, ხოლო ამა-

ვე აქტების საქმიდან ამოღების, მტკიცებულებათა წარმოდგენის შესახებ მონინალმდევე მხარის დავალებულების, ექსპერტიზის ჩატარების, შემოსავლების სამსახურში ამხანაგობის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. კასატორს დაუბრუნდეს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (№ა-2860-14 განცხადებაზე დართული თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.08.2014წ. №2/14928-14 განჩინების ასლები 6 (ექვსი) ფურცლად; №ა-3082-14 განცხადებაზე დართული იბა „ო-ის I ჩიხი №...-ის“ 26.10.2012წ. კრების ოქმი, საჯარო რეესტრის ამონაწერი და ც. ქ-იას წერილი 6 (ექვსი) ფურცლად).

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დარჩეს ძალაში.

6. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ერთობლივი საქმიანობა

### განჩინება საქართველოს სახელის

№ას-803-758-2015

21 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2005 წლის 1 დეკემბერს ს. ფ-ასა (შემდეგში – შუამავალი, მოსარჩელე ან კასატორი) და შპს „ს-ოს“ (შემდეგში – შემკვეთი, მოპასუხე, სანარმო ან მონინალმდევე მხარე) შორის გაფორმდა საშუამავლო ხელშეკრულება (შემდეგში – საშუამავლო ხელშეკრულება), რომლითაც მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება საშუამავლო მომსახურება გაენია მოპასუხისათვის [საქართველოს სა-

მოქალაქო კოდექსის, შემდეგში – სსკ, 744-ე მუხლი]. შუამავლის ვალდებულებას წარმოადგენდა: ა) მესამე პირებთან მოლაპარაკებების წარმოება (საშუამავლო საქმიანობა), რათა მათ დაეთმოთ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შემკვეთის სასარგებლოდ შესაბამისი საზღაურის ფასად; ბ) სხვა მესამე პირებთან მოლაპარაკებების წარმოება, რომელთაც ჰქონდათ გარკვეული უფლებები სამშენებლო ტერიტორიაზე; გ) მშენებლობის მიმდინარეობაზე ზედამხედველობა; დ) სამშენებლო ტერიტორიის მესაკუთრეებისთვის ან/და მასზე რაიმე იურიდიული უფლების მქონე პირებისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება.

2. საშუამავლო ხელშეკრულების 3.2. ქვეპუნქტით, შუამავალს უფლება ჰქონდა, დროულად და სრულად მიეღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება, მოეხდინა იმ ფართობის რეალიზაცია ან/და მესამე პირებისათვის გაცემა, რომელიც მას, როგორც შუამავალს, ხელშეკრულების მე-5 მუხლის საფუძველზე ერგებოდა. მითითებული მუხლის თანახმად, მოსარჩელეს მოპასუხისაგან უნდა მიეღო სამშენებლო ტერიტორიაზე აშენებული მთლიანი ფართის 3%, საცხოვრებელი, კომერციული და ავტოსადგომების პროპორციულად, მისი გაყიდვის, გასხვისების ან/და გაჩუქების უფლებით.

3. 2007 წლის 14 დეკემბერს თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა გასცა №... ბრძანება და მოპასუხეს ნებართვა მისცა, ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, სანზონის დასახლებაში, მშენებარე სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, ამხანაგობა „ა-ის“ (შემდეგში – ამხანაგობა) კუთვნილი მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა ეწარმოებინა. ამავე ბრძანების თანახმად, ასაშენებელი კომპლექსის მოცულობა იყო 122655.00 კვ.მ., საიდანაც საცხოვრებელი ოთახების ფართი 11337.00 კვ.მ-ს, ოფისების ფართი 3328 კვ.მ-ს, სავაჭრო კომერციული ფართი 2561.40 კვ.მ-ს და ავტოსადგომების ფართი 4041.70 კვ.მ-ს შეადგენდა, რაც მთლიანობაში იყო 21268.81 კვ.მ. შუამავალს უნდა მიეღო 708.94 კვ.მ. ფართი.

4. შემკვეთმა დადგენილ ვადაში ვერ შეძლო მშენებლობის დასრულება, რის გამოც, ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2011 წლის 13 მაისის №1784 ბრძანებით, მას გაუგრძელდა მშენებლობის ნებართვის ვადა. მითითებული ვადის დარღვევამ, შუამავლის განმარტებით, მას ზიანი მიაყენა.

5. შუამავალს მიაჩნია, რომ 2008 წლის 16 მაისისა და 16 ივნისის, ასევე, 2009 წლის 25 ნოემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებებით, მან ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულა საშუამავლო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულება, რის სანაცვლოდაც, შემკვეთის თანხმობით, შუამავალმა გაასხვისა ამხანაგობის საკუთრებად რიცხული ფართის ის ნაწილი, რაც, საშუამავლო მომსახურების ხელშეკრულების მე-5 პუნქტით, მას ეკუთვნოდა. ზემოხსენებულ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებებში, შუამავლთან, როგორც გამყიდველთან ერთად, შემკვეთიც არის ხელშეკრულების მხარე, რომელიც ამავე გარიგების შესრულებაზე არის გარანტი და კისრულობს ვალდებულებას, დაასრულოს მშენებლობა ხელშეკრულებებში მითითებულ ვადებში და პირობებში (იხ. 2008 წლის 16 მაისის და 16 ივნისის).

6. 2011 წლის 23 მაისის სასამართლო საოქმო განჩინებით, შუამავალს, ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე, ც. ტ-ის სასარგებლოდ, დაეკისრა 17 500 ევრო. ეს ის თანხაა, რომელიც შემკვეთის, როგორც გარანტორის, თანხმობით იყო გადახდილი უძრავი ქონების შესაძენად და, აქედან 7500 ევრო, უშუალოდ შემკვეთის ანგარიშზე ჩაირიცხა. შუამავლის მოსაზრებით, მითითებული განჩინება, უდავოდ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მასთან შემკვეთმა უსაფუძვლოდ შეწყვიტა საშუამავლო მომსახურების ხელშეკრულება.

7. 2013 წლის 26 ნოემბერს შუამავალმა სარჩელით მიმართა სასამართლოს შემკვეთის წინააღმდეგ და, ზიანის სახით, მოპასუხის სათვის 389 400 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას მიუთითა სსკ-ის 183-ე, 394-ე, მე-400 მუხლებზე.

9. შუამავალმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 მარტის განჩინებით შუამავლის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მსჯელობის ეტაპზე, დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. აღნიშნულ განჩინებაზე, შემკვეთის საკასაციო საჩივარი, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, განუხილველად დარჩა.

11. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შუამავლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის 2005 წლის 1 დეკემბრის გარიგებით წარმოშობილი სამართალურიერთობა, ერთი მხრივ, იყო სსკ-ის 744-ე მუხლის დანაწესით გათვა-

ლისწინებული გარიგება, შუამავლობის განწვევის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, ამავე გარიგებით, მხარეებმა იკისრეს სსკ-ის 629-ე მუხლით გათვალისწინებული ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ურთიერთვალდებულებანი.

13. სასამართლომ დაადგინა, რომ შუამავალს არ უნარმოებია მოლაპარაკებები მის სასარგებლოდ, საკუთრების უფლების დამოზღვრის შესახებ, შემკვეთის ინტერესის სფეროში შემავალი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან. შუამავალს, ასევე არ შეუსრულებია გარიგების მეორე პირობა, შემკვეთის მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ საშუამავლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასამრჯელოს მიღების უფლება, შუამავალს წარმოექმნებოდა მხოლოდ კონკრეტული პირობების შესრულების შემდეგ.

14. სასამართლომ მიიჩნია, რომ საშუამავლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება შუამავალმა ვერ შეძლო და არ იყო უფლებამოსილი, შემკვეთისაგან მოეთხოვა უძრავი ქონება ან თანხა.

15. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

16. შუამავლის მოსაზრებით, უსაფუძვლო იყო სასამართლოს განმარტება, რომ მოზასუხეს არ უნარმოებია მშენებლობა. ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულებიდან იკვეთება, რომ შემკვეთმა აიღო ვალდებულება, საკუთარი სახსრებით მოემზადებინა დოკუმენტაცია და გაეწია სამშენებლო სამუშაოები.

17. შუამავლის განმარტებით, უშუალოდ მის მიერ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, 2006 წლის 10 იანვარს, შემკვეთთან ერთად, შპს „ვ-ამ“ და შპს „ს-მა“, დააფუძნეს ამხანაგობა. ამ ორმა სანარმომ ამხანაგობაში შეიტანა სანზონის დასახლებაში, მშენებარე სავაჭრო ცენტრის მიმდებარე 5 816 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი ...), ხოლო შემკვეთის შენატანს წარმოადგენდა საკუთარი სახსრებით საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება, საჭირო ნებართვების მიღება და შენობა-ნაგებობის აშენება.

18. შუამავალი აღნიშნავდა, რომ საქალაქო სასამართლომ არ გამოიკვლია უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებები, გაფორმებული: 1. შუამავალს, შემკვეთსა და ც. ტ-ს შორის; 2. შუამავალს, შემკვეთსა და ნ. ჩ-ას შორის; 3. შუამავალს, შემკვეთსა და მ. ჟ-ას შორის. ამ ხელშეკრულებებით დასტურდება შუამავლის მიერ ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება. თუკი შუამავალი არ შეასრულებდა შემკვეთის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას,

ბებს, ეს უკანასკნელი არ დაუდგებოდა მას გარანტად, მესამე პირებთან გარიგებებში.

19. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის განჩინებით, შუამავლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

20. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა: საშუამავლო ხელშეკრულების დადების მიზანს წარმოადგენდა შემკვეთის მიერ, თბილისში, მეტრო ღრმაღელის მიმდებარე ტერიტორიაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენება. ხელშეკრულების მე-3 პუნქტის პირველი ქვეპუნქტით განისაზღვრა შუამავლის ვალდებულება, შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ, შუამავალს უნდა გადასცემოდა საკუთრების უფლება შემკვეთის მიერ აშენებული მთლიანი ფართის 3%-ზე, საცხოვრებელი, კომერციული და ავტოსადგომების პროპორციულად (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი და მეორე პუნქტები).

21. წინამდებარე განჩინების მე-17 პუნქტში მითითებული ამხანაგობის შექმნის მიზანი იყო კომერციული/საცხოვრებელი დაწინაშელების შენობა-ნაგებობების აშენება. ამხანაგობაში შენატანიც განისაზღვრა და მის თავმჯდომარედ აირჩიეს შემკვეთი.

22. ამხანაგობის 2013 წლის 15 მაისის კრების №01-2013 ოქმის თანახმად, შემკვეთი, როგორც ხელშეკრულების დამრღვევი, გაირიცხა ამხანაგობიდან, გარიცხული წევრის ნაცვლად, ამხანაგობაში შევიდა შპს „ჯ-ი“ და მთლიანად მას გადაეცა გარიცხული წევრის წილი (იხ. კრების ოქმები).

23. 2008 წლის 16 მაისს, ერთი მხრივ, შუამავალს (გამყიდველს), მეორე მხრივ, შემკვეთს (გარანტს) და მესამე მხრივ, ნ. ჩ-ას (მყიდველს) შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით, გამყიდველმა და მყიდველმა იკისრეს ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება, ხოლო გარანტმა – საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება. ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა საცხოვრებელი ბინა (51,1 კვ.მ) მდებარე ქ. თბილისი, მეტრო ღრმაღელის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი ...).

24. 2008 წლის 16 ივნისს შუამავალს (გამყიდველს), შემკვეთს (გარანტს) და ც. ტ-ს (მყიდველს) შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, გამყიდველმა და მყიდველმა იკისრეს ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება, ხოლო გარანტმა იკისრა საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება. ნასყიდობის საგანს

წარმოადგენდა საცხოვრებელი ბინა (104,7 კვ.მ) მდებარე ქ. თბილისი, მეტრო ღრმაღელის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი ...).

25. 2009 წლის 25 ნოემბერს შუამავალს (გამყიდველს), შემკვეთს (გარანტს) და მ. ჟ-ას (მყიდველს) შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით, გამყიდველმა და მყიდველმა იკისრეს ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება, ხოლო გარანტმა – საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება. ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა საცხოვრებელი ბინა (104,3 კვ.მ) მდებარე ქ. თბილისი, მეტრო ღრმაღელის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი ...). სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულებას ხელს არ აწერს შემკვეთის წარმომადგენელი, ხელშეკრულების ბოლო გვერდზე იყო მხოლოდ მისი ბეჭედი.

26. სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამავალს არ წარუდგენია მტკიცებულებები, საშუამავლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ. ამასთან, ვინაიდან, შუამავალის სასარჩელო მოთხოვნა ემყარებოდა მის მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტს, ამ გარემოების მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრებოდა.

27. სასამართლომ მიიჩნია, რომ საშუამავლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მოითხოვდა: სხვადასხვა პირთან ურთიერთობას, მოლაპარაკებების წარმოებას, შეხვედრების ორგანიზებას, რაც გარკვეული მატერიალური მტკიცებულებების შექმნასთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით კი იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკითხი ეხებოდა უძრავ ქონებას. შუამავალს სასამართლოსთვის არ წარუდგენია რაიმე დოკუმენტი, ან მონმის ჩვენება, ან კანონით გათვალისწინებული სხვა მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი მოქმედებები განახორციელა.

28. სასამართლომ არ გაიზიარა შუამავალის განმარტება, რომ ამხანაგობა დაფუძნდა მის მიერ უშუალოდ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, ვინაიდან არც ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება არ იყო საქმეში წარმოდგენილი.

29. სასამართლომ აღნიშნა, რომ, არც წინამდებარე განჩინების 23-25 პუნქტებში მითითებული ხელშეკრულებებით დასტურდებოდა შუამავალის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულება. სასამართლომ არ გაიზიარა შუამავალის პოზიცია, რომ თუკი იგი არ ასრულებდა თავის ვალდებულებებს, მაშინ შემკვეთი მას გარანტად არ დაუდგებოდა.

30. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 102-ე და 104-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მხარემ თავისი მოთხოვნის დასადასტურებლად, შესაძლოა წარმოადგინოს, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მტკიცებულება. შესაბამისად, გადაწყვეტილების დასაბუთების დროსაც არის შესაძლებელი ორივე სახის მტკიცებულებაზე მითითება, თუმცა, გადაწყვეტილება მხოლოდ არაპირდაპირ მტკიცებულებას არ უნდა ემყარებოდეს. სასამართლოს განმარტებით, მტკიცებულებები, რომლებიც კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე არაპირდაპირი ვარაუდისა თუ დასკვნის შესაძლებლობას იძლევა, შესაძლებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული, მხოლოდ პირდაპირ მტკიცებულებასთან ერთად და მისი კიდევ უფრო სარწმუნოების განსამტკიცებლად, ან პირიქით, მტკიცებულების სარწმუნოებაში ეჭვის შესატანად. არაპირდაპირი მტკიცებულება, მნიშვნელოვანია მაშინაც, როდესაც სახეზეა პირდაპირ მტკიცებულებათა არასაკმარისობა და, გარკვეულწილად, არაპირდაპირი მტკიცებულებით ხდება ამ ხარვეზის შევსება.

31. მოცემულ საქმეში, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულება, მხოლოდ მითითებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებები, სასამართლოს მოსაზრებით, არ იძლეოდა შუამავლის მიერ ნაკისრი ვალდებულების ფაქტის დადასტურების შესაძლებლობას.

32. სასამართლომ სამართლებრივი დასაბუთებისას იხელმძღვანელა სსკ-ის 317-ე, 629-ე და 744-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ გასამრჯელოს/საზღაურის გადახდა დამოკიდებულია შუამავლობის შედეგად ხელშეკრულების დადებაზე ან გარკვეული სამუშაოს შესრულებაზე. თუ ეს გარემოებები სახეზე არ არის, მაშინ არც თანხის გადახდის ვალდებულება არ წარმოიშობა. ვინაიდან, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა შუამავლის მიერ არც სამუშაო და არც საზედამხედველო ვალდებულებების შესრულება, შესაბამისად, არ არსებობდა საზღაურის ანაზღაურების ვალდებულებაც.

33. შუამავალმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 ივნისის განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **34. საკასაციო განაცხადი შემდეგ საფუძვლებს მოიცავს:**

34.1. სააპელაციო სასამართლომ, 2014 წლის 28 მარტის განჩინებით, საქალაქო სასამართლოს განუსაზღვრა საქმის განხილვის გაგრძელება დაუსწრებელი გადაწყვეტილების და არა მოსამზადებელი ეტაპიდან. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო ვალდებულ იყო, შეესრულებინა ზემდგომი სასამართლოს მითითებები იმ



გარემოებების გამოსაკვლევად, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და სამართლებრივად შეფასებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას. კასატორის განმარტებით, სასამართლომ ისე გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები და მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ უმსჯელია სარჩელში მითითებული ფაქტები, ამართლებდნენ თუ არა, კანონის თანახმად, მოსარჩელის მოთხოვნას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლომ სამართლებრივად არ შეაფასა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მსჯელობის ეტაპიდან უნდა განეხილა თუ არა საქალაქო სასამართლოს სარჩელი. კასატორის განმარტებით, მისი სააპელაციო საჩივრის პირველი ნაწილი სწორედ, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის დაუსწრებლად განხილვის უარის თქმაზე იყო აგებული.

34.2. სასამართლომ არამართლზომიერად შეაფასა საქმეში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებები. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული ხელშეკრულებებით დადასტურებულია, რომ შუამავალი პირნათლად ასრულებდა საშუამავლო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შემკვეთი საცხოვრებელი ფართების კონკრეტულ ვადებში დასრულების გარანტიად არ დაუდგებოდა. სასამართლოს შეფასება, რომ ეს მტკიცებულებები არაპირდაპირია, უსაფუძვლოა. კასატორის განმარტებით, სამივე წინარე ხელშეკრულებით შემკვეთმა იკისრა ვალდებულება, განსაზღვრულ დროში აეშენებინა შუამავლის მიერ გასხვისებული საცხოვრებელი ბინები. აღნიშნული გარიგებებით შემკვეთმა ხაზგასმით დაადასტურა, რომ მასა და შუამავალს შორის ჯანსაღი ურთიერთობა იყო, შემკვეთი გარანტიად დაუდგა შუამავალს.

34.3. შემკვეთის მიერ საშუამავლო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მისი ამხანაგობიდან გარიცხვის გამო, რასთანაც კასატორს რაიმე კავშირი არ გააჩნია.

34.4. შუამავლის მიერ საშუამავლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

34.5. უსაფუძვლოა სასამართლოს მსჯელობა, რომ თითქოს, შუამავალს არ წარუდგენია საშუამავლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. კასატორს მიაჩნია, რომ საშუამავლო ხელშეკრულება არ ავალდებულებდა მას, გზადაგზა ეგროვებინა მტკიცებულებები

შესრულებული სამუშაოს დასადასტურებლად.

34.6. მონინალმდევის აპელირება იმ გარემოებაზე, რომ მხოლოდ მშენებლობის დასრულების შემთხვევაში წარმოეშობოდა შემკვეთს შუამავლის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუსაბუთებელია, ვინაიდან მშენებლობის დაუსრულებლობა გამონეული იყო შემკვეთის უმოქმედებით, რის გამოც, იგი ამხანაგობიდან გარიცხეს.

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 6 აგვისტოს განჩინებით შუამავლის საკასაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, დასაშვებობის შესამონმებლად, ხოლო იმავე წლის 29 ოქტომბრის განჩინებით დასაშვებად ცნო იმავე ნორმის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით. საკასაციო სასამართლომ 15 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრის არსებითი განხილვა დანიშნა ზეპირი მოსმენით და მოიწვია მხარეები.

36. საკასაციო სასამართლომ 2016 წლის 15 იანვრის სხდომაზე გამოცხადებულმა მხარეებმა შემდეგნაირად წარმოაჩინეს საკუთარი არგუმენტები:

36.1. საკასაციო საჩივრის ავტორი დაეთანხმა წარმოდგენილ საჩივარს და დამატებით განმარტა, რომ არასწორად შეაფასა სასამართლომ ფაქტები, კასატორმა სრულფასოვნად შეასრულა საშუამავლო ხელშეკრულების 3.1. პუნქტი. თუ მონინალმდევე თვლიდა, რომ შუამავალს არ შეუსრულებია საკუთარი ვალდებულება, მაშინ შემკვეთს ჰქონდა უფლება, შეეწყვიტა კასატორთან ხელშეკრულება 6.3. პუნქტით, რაც არ გაუკეთებია. კასატორს მიაჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი ხელშეკრულება არის შუამავლობაც, ნარდობის ურთიერთობაც და მოიცავს შრომითი ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელ ელემენტებსაც, თუმცა, ყველაზე მეტად ნარდობაა გამოხატული.

36.2. მონინალმდევემ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკასაციო შესაგებელს, მოითხოვა საკასაციო საჩივრის უარყოფა, ასევე, განმარტა, რომ მართალია, შემკვეთმა შუამავალთან არ შეწყვიტა ურთიერთობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კასატორმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა. დღეის მდგომარეობით, საწარმო პრაქტიკულად გაკოტრებულია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა

განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

37. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება);

38. საკასაციო სასამართლო, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობაზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ შეფასებაზე, რათა საკასაციო განაცხადის იურიდიული დასაბუთებულობის კვლევა, სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები დაემყაროს იმ ურთიერთობას, საიდანაც წარმოიშვა დავა მხარეებს შორის.

39. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს და იმსჯელოს მხარეთა ურთიერთვალდებულებები უკავშირდება საშუამავლო გარიგებას (სსკ-ის 744-ე მუხლი) თუ ერთობლივ საქმიანობას (სსკ-ის 930-ე მუხლი). შუამავლობის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეაფასოს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 3.2. პუნქტსა „შუამავალს უფლება აქვს დროულად და სრულად მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება“ და იგივე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ხელშეკრულების მე-5 მუხლს შორის კავშირი შუამავლობისათვის გასამრჯელოს თაობაზე (იხ. წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტი); ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა იმსჯელოს საშუამავლო ხელშეკრულებაზე, როგორც ორმხრივ კონსესუალურ გარიგებაზე, რომელიც გულისხმობს შუამავლის მოქმედებებს, შემკვეთის ინტერესების სასიკეთოდ, რათა მიღწეულ იქნეს მესამე პირებთან ხელშეკრულების დადება, რაც უკავშირდება სასყიდლიან ანუ ანაზღაურებად საქმიანობას. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ სსკ-ის 744-ე მუხლში მითითებული გასამრჯელო, ამავე კოდექსის 745-ე, 748-ე მუხლების დეფინიციის გათვალისწინებით, არ გულისხმობს ნატურით ანაზღაურებას, როგორც ეს განსახილველ შემთხვევაში

აქვთ დათქმული მხარეებს 2005 წლის 1 დეკემბერს ხელმოწერილი გარიგების 3.2. პუნქტითა და მე-5 მუხლით, შესაბამისად, გამოსაკვლევი საკითხი, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ხომ არ განეკუთვნება სსკ-ის 930-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთობლივ საქმიანობას. „ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურებას წარმოადგენს მხარეთა სურვილი, საკუთარი ქონების, გამოცდილებისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების გაერთიანებით, ერთობლივად იმოქმედონ გარკვეული მიზნების მისაღწევად, ამასთან, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების აუცილებელი წინაპირობაა, რომ ამხანაგობა ყალიბდება იურიდიული პირის შეუქმნელად. საერთო მიზნის არსებობა გარიგების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს, ამიტომ ამხანაგობის თითოეული წევრი მონაწილეობს, როგორც გარიგების დამოუკიდებელი მხარე და იმის გათვალისწინებით, რომ ამხანაგობა არ იქნეს იურიდიული პირის სტატუსს, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებისას წარმოშობილ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ამხანაგობის თითოეულ წევრს. სწორედ ამგვარი შინაარსის მატარებელია სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილი. ამავე კოდექსის 935-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 940-ე მუხლის თანახმად“ (სუსგ 1100-1036-2015; 15.01.2016წ.). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ერთობლივი საქმიანობის დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის მონაწილეთა შორის პირად დამოკიდებულებას, ურთიერთნდობას, იმ საქმიან და პროფესიულ თვისებებს, რის გამოც ამხანაგობის მონაწილენი, იურიდიული პირის შეუქმნელად, ერთიანდებიან საერთო მიზნისა და ამოცანების მისაღწევად. სწორედ ამ კონტექსტში უნდა შეფასდეს მხარეთა შორის 01.12.2005წ. ხელმოწერილი ხელშეკრულება და როგორც უკვე აღინიშნა, მისი მე-3 და მე-5 პუნქტები.

40. საკასაციო სასამართლო ასევე, ყურადღებას მიაქცევს იმასაც, რომ ერთობლივი საქმიანობის მონაწილეებს ასევე შეიძლება ჰქონდეთ ურთიერთმოთხოვნები, რომლებიც უნდა გაიმიჯნოს იმ უფლება-მოვალეობებისაგან, რაც ამხანაგობის მონაწილეებს აქვთ საერთო მიზნის მისაღწევად. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოდავე მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის დამატებითი გამოკვლევის შედეგად, უნდა შეფასდეს, რა ურთიერთვალდებულებები შესრულდა და რა მოცულობით, ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია წინამდებარე განჩინების 23-24 პუნქტებში მითითებული ხელშეკრულებების კვლევა, სადაც კასატორი გამყიდველია, ხოლო შემკვეთი გარანტი, რადგან ეს უკანასკნელი სწორედ ამ ორ გარიგებაზე აწერს ხელს. საკასაციო სასამართლოში მხარეებმა მათ შორის არსებული გარიგება და მისგან გამომდინარე ურ-

თიერთვალდებულებები განიხილეს სახელმწიფოებო სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტის ერთობლიობითა და სამართლებრივი მონესრიგების მიხედვით, რაც საქმეზე საბოლოო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ იძლევა.

41. სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, ამავე ნორმის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების არასაკმარისი იურიდიული დასაბუთებულობის გამო. წინამდებარე განჩინების 39-40 პუნქტებში მითითებული სამართლებრივი შეფასებისათვის, დამატებითი კვლევის ნაწილში, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, თავად დაადგინოს ახალი ფაქტები და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები; მოდავე მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის შეფასებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, რის გამოც, საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი სახეზეა. საქმეზე დადგენილი ფაქტები არ იძლევა საკასაციო სასამართლოს მიერ, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს, რის გამოც ამ ნაწილში უარყოფილია კასატორის მოთხოვნა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 412-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ს. ფ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის ხელახლა განსახილველად;
3. კასატორ ს. ფ-ას (პ/ნ ...), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 აგვისტოს განჩინებით (საქმე №ას-803-758-2015), გადავადებული აქვს სახელმწიფო ბაჟის – 6 000 (ექვსი ათასი) ლარის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სამისდღეშიო რჩენა

## ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-859-859-2018

14 ნოემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: **ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ზ. ძლიერიშვილი,**  
**ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტა, უძრავი ქონების მიკუთვნება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:**

1.1. ნ. მ-ქემ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. რ-ძისა და დ. გ-ას (შემდგომში – პირველი, და მეორე მოპასუხე, მონინალმდგეე მხარეები) მიმართ და მოითხოვა შემდეგი:

2013 წლის 5 მარტს მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებად აღიარება;

– სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება და ქ. თბილისში, ..., 79-ე კორპუსში მდებარე №41 ბინის მესაკუთრედ ცნობა (ს/კ №...);

– ქ. თბილისში, ..., 79-ე კორპუსის №41 ბინაზე მეორე და მესამე მოპასუხეს შორის 2013 წლის 19 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მისი მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის გაცვლის ხელშეკრულებად აღიარება;

– ქ. თბილისში, ... კორპუსში მდებარე 33-ე ბინაზე მოპასუხეებს შორის 2013 წლის 19 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის გაცვლის ხელშეკრულებად აღიარება და საჯარო რეესტრში ამ უძრავი ქონების მოსარჩელის მესაკუთრედ აღრიცხვა.

– პირველი მოპასუხისათვის 15 000 ლარის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელის საკუთრებაში იყო ქ. თბილისში, ... კორპუსში მდებარე

№41 ბინა. 2013 წლის 5 მარტს მას და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება მიყიდა პირველ მოპასუხეს. ნასყიდობის ხელშეკრულებით რეალურად მხარეებმა დაფარეს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეებს შორის ვალდებულებითი ურთიერთობა არ წარმოშობილა, რაც დასტურდება იმ გარემოებებით, რომ ნასყიდობის ფასი მყიდველად მითითებულ პირს არ გადაუხდია და არც უძრავი ქონება მიუღია. მოსარჩელე რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, არის მარტოხელა და იღებს საარსებო შემწეობას, აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, საჭიროებს მუდმივ მეთვალყურეობასა და მოვლას. მოპასუხე დაჰპირდა, რომ იკისრებდა მის სამისდღეშიო რჩენას და მოვლა-პატრონობას ნატურალური სახით, ყოველდღიურად კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით. მოსარჩელეს უნდა გაეგრძელებინა ცხოვრება ხსენებულ ბინაში, ამდენად, მხარეებს უნდა გაეფორმებინათ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ბინა აღირიცხებოდა პირველი მოპასუხის შეზღუდულ საკუთრებაში. მოსარჩელის სიცოცხლეში მას არ ექნებოდა უფლება, მისი წერილობითი ნებართვის გარეშე გაესხვისებინა ან უფლებრივად დაეტვირთა უძრავი ქონება, თუმცა, პირველმა მოპასუხემ ისარგებლა მოსარჩელის მდგომარეობით, ნათესაური კავშირიდან გამომდინარე ნდობით და საჯარო რეესტრში ხელი მოაწერინა მოპასუხეს ნასყიდობის ხელშეკრულებაზე. მოსარჩელეს არ სურს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების გაგრძელება, რადგან მოპასუხემ მიითვისა მისი კუთვნილი უძრავი ქონება და უსაფუძვლოდ გამდიდრდა. ის არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ რჩენის ვალდებულებას. 2013 წლის ივნისში, ნ. მ-ძემ ფინანსური პრობლემების გამო გადაწყვიტა ბინის გადაცვლა უფრო პატარა ფართის მქონე ბინაზე, რაშიც უნდა დახმარებოდა პირველი მოპასუხე. 2013 წლის 19 ივნისს ამ უკანასკნელმა მოსარჩელისაგან საკუთრების უფლებით მიღებულ უძრავ ქონებაზე გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც რეალურად სამოთახიანი ბინა გაცვალა მეორე მოპასუხის ერთოთახიან ქ. თბილისში, ... კორპუსში მდებარე №33 ბინაში. აღნიშნულ ბინაში ცხოვრობს მოსარჩელე, რომელიც ამ უძრავი ქონების რეალურ მესაკუთრეს წარმოადგენს.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

2.1. პირველმა მოპასუხემ მარტივი შესაგებელი წარადგინა სარჩელის წინააღმდეგ, რომლითაც მოთხოვნა არ ცნო. შესაგებელი არ შეიცავს რაიმე ფაქტობრივ ან სამართლებრივ შედავებას, არამედ,

მითითებულია მხოლოდ ის, რომ მხარე არ ეთანხმება მოთხოვნასა და მის ფაქტობრივ საფუძვლებს;

2.2. მეორე მოპასუხემ ასევე მარტივი შედაგება წარადგინა სარჩელის წინააღმდეგ, შესაგებელში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ მეორე მოპასუხე ქონების კეთილსინდისიერი შემძენია.

**3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა.

**4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

**5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

**6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს წერილობით გამოვლენილი ნების შესაბამისობა ამ ნების გამომვლენისა და მისი მიმღების ნამდვილ სურვილთან, ასევე, არსებობს თუ არა აღიარებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საკმარისი ფაქტობრივი წინაპირობები. ქვემდგომი სასამართლოების დასკვნით მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელემ ვერ დაძლია, რის გამოც, მეორე მოპასუხის ბინაზე საკუთრების უფლების გადაცემის, ასევე, ზიანის ანაზღაურების თაობაზე მისი მოთხოვნა იყო უსაფუძვლო. ხსენებული გარემოებები კი, სასამართლოთა დასკვნით, საფუძველს აცლიდა მოსარჩელის



ალიარებით მოთხოვნას პირველ მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულების სამისდღეშეო რჩენის ხელშეკრულებად მიჩნევისა და მისი მოშლის თაობაზე.

1.2. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას და ძირითადად პრეტენზიას აცხადებს სასამართლოს მხრიდან საპროცესო სამართლის წესების დარღვევის თაობაზე, კერძოდ, კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს იმ დასაბუთებით, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, მე-5, 102-ე და 105-ე მუხლების მოთხოვნები.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა. საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიებიდან გამომდინარე, წინამდებარე განჩინებაში პალატა ყურადღებას ძირითადად მოთხოვნის განხორციელების წინაპირობების საპროცესო სამართლის ნორმებთან შესაბამისობაში დადგენის საკითხზე გაამახვილებს. ამ თვალსაზრისით კი, საკასაციო სასამართლო უპირველესად სამოქალაქო პროცესის ფუნდამენტურ პრინციპებზე შეჩერდება და შეახსენებს მოდავე მხარეებს, რომ სამართალწარმოება შეჯიბრებითობის საფუძველზე მიმდინარებს. ხსენებული დებულება ასახულია რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლში, იგი წარმოადგენს ზოგადპროცესულურ სტანდარტს და თითოეული საპროცესო მოქმედების განხორციელებისას, საკითხის ინდივიდუალურობიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს. შეჯიბრებითობის პრინციპის ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს, როგორც სარჩელის ფორმალური საფუძვლიანობა, ისე – მოპასუხის მიერ არჩეული საპროცესო თავდაცვის საშუალება და წესი. ხსენებული საკითხები დავის სწორად გადწყვეტისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისაა, რამდენადაც გავლენას ახდენს, როგორც მტკიცების საგანზე, ისე – მტკიცების ტვირთის განაწილებაზე (სსსკ-ის 102-ე მუხლი) და რაც მთავარია, წარმოადგენს მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრის ფუნდამენტს.

1.4. საკასაციო სასამართლო შეეხება სარჩელის ფორმალური საფუძვლიანობის საკითხს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლი ადგენს იმ მოთხოვნათა ჩამონათვალს, რომელთაც სარჩელი უნდა შეესაბამებოდეს, ამ მოთხოვნათაგან კი, უმთავრესი ნორმის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტია, რომლის თანახმადაც

მოსარჩელემ უნდა მიუთითოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც ამყარებს მოთხოვნას. სწორედ ამ ფაქტების გაცნობის შედეგად განსაზღვრავს მოსამართლე მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას და ამონიშნავს ამ ნორმის ყველა წინაპირობა მითითებული აქვს თუ არა მოსარჩელეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სარჩელი იურიდიულად გაუმართლებელია და არ არსებობს მოთხოვნის განხორციელების წინაპირობები. იმ შემთხვევაში, თუკი სარჩელი ფორმალურად გამართულია, სასამართლოს მხრიდან ფასდება მოპასუხის შედავების არსებობა, კერძოდ, მოპასუხე რომელ დეტალებზე დავობს და რამდენად ლოგიკური და სამართლებრივად გამართულია მისი შედავებები, სასამართლო ერთმანეთისგან მიჯნავს სადავო და უდავო ფაქტებს. სადავო ფაქტებისგან განსაზღვრება მტკიცების საგანი და ნაწილდება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი.

1.5. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით სარჩელი ფორმალურად დასაბუთებულია, მასში მოხმობილი ფაქტების გათვალისწინებით იკვეთება მოცემული სამართალწარმოების მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, კერძოდ, მოსარჩელის განმარტებით მისი და პირველი მოპასუხის სურვილს წარმოადგენდა იმგვარი გარიგების დადება, რომლის ფარგლებშიც მოპასუხეს შეზღუდული საკუთრების უფლებით აღერიცხებოდა უფლება მოსარჩელის კუთვნილ ბინაზე და მოსარჩელის სიცოცხლის განმავლობაში, მისი თანხმობის გარეშე, ქონებას რაიმე ფორმით ვერ განკარგავდა, ამასთანავე, პირველი მოპასუხე ვალდებული იყო ერჩინა იგი და ნატურით მიეცა სარჩო. ამ ნების საწინააღმდეგოდ მხარეებმა გააფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც პირველი მოპასუხის საკუთრებად აღირიცხა მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება. სარჩელიდან ირკვევა, რომ მოსარჩელის კუთვნილი და ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონება გაასხვისა პირველმა მოპასუხემ მეორე მოპასუხეზე, მოსარჩელეს კი, მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით სურდა ნაკლები ფართის ბინაში გაცვლა, შესაბამისად, მან თანხმობა განაცხადა გაცვლაზე, გარდა ამისა, მოსარჩელეს სურს ქონებათა შორის სხვაობის ფულადი ანაზღაურება და რჩენის ხელშეკრულებიდან გასვლა. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის საფუძვლიანობა უპირველესად სამოქალაქო კოდექსის 56.2 (თუ მოსარჩენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება)), 941-ე (პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გა-

დახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმდებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით)) და 942-ე (სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით) მუხლების ფარგლებში უნდა შემოწმდეს. თუკი დადგინდა, რომ მხარეებმა დადეს თვალთმაქცური გარიგება, მაშინ უნდა შემოწმდეს დაფარული გარიგება აკმაყოფილებს თუ არა კანონის მოთხოვნებს. ასეთ ვითარებაში, სასამართლო ვალდებულია ყურადღება გაამახვილოს ნების ნამდვილობის ყველა წინაპირობაზე, მათ შორის ფორმაზე და თუკი დაადგენს, რომ გარიგება ფორმის მხრივაც აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მაშინ უნდა გაარკვიოს ქონების შემდგომი გასხვისება შეესაბამება თუ არა სამოქალაქო კოდექსის 945-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნას (სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე. მარჩენალის ვალების გამო გადახდეინების მიქცევა ამ ქონებაზე დაუშვებელია) თუ სახეზეა ამავე კოდექსის 101-ე მუხლით განსაზღვრული თანხმობა (შემდგომ თანხმობას (მონონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი). იმ შემთხვევაში, თუ კი დადგინდება, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ფორმის ან სხვა გარემოების გამო არ შეესაბამება კანონს და ბათილია (ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა), მაშინ შეფასება უნდა მიეცეს მოსარჩელის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მართლაც სურდა ქონების გაცვლა, რაზეც თანხმობა მისცა პირველ მოპასუხეს, შესაბამისად, უნდა შეფასდეს სახეზე ხომ არ არის მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლით განსაზღვრული ზეპირი დავალების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც სამოქალაქო კოდექსის 521-ე მუხლით განსაზღვრული შედეგები მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით განხორციელდა. ასეთ შემთხვევაში, სახეზე აღარ იქნება სამისდღეშიო რჩენიდან გასვლის წინაპირობების შემონმების აუცილებლობა (სკ-ის 949-ე მუხლი). გარდა ამისა, ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებით მოთხოვნის დამუფძნებელ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 522-ე და 715-ე მუხლე-

ბი წარმოადგენს (თუ გასაცვლელი ქონება არატოლფასოვანია, მხარეთა შეთანხმებით ქონების ნაწილი შეიძლება ანაზღაურდეს ფულით. რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისათვის, აგრეთვე ისიც, რაც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით). ამ წინაპირობების დადასტურების შემთხვევაში კი, შემონმებას ექვემდებარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის ფარგლებში აღიარებითი მოთხოვნების საფუძვლიანობა.

1.6. რაც შეეხება მოთხოვნის წინაპირობების მტკიცებას, საკასაციო პალატა კვლავ მიუბრუნდება შეჯიბრებითობის პრინციპის საკითხს და აღნიშნავს, რომ პირველმა მოპასუხემ სარჩელის წინააღმდეგ ფორმალური შესაგებელი წარადგინა, ხოლო, მეორე მოპასუხემ მიუთითა მისი, როგორც შემძენის კეთილსინდისიერებაზე. პალატა განმარტავს, რომ შესაგებლის ინსტიტუტი არ არის ფორმალური ხასიათის, არამედ, მასზე დამოკიდებული პროცესის შემდგომი ბედი, შესაგებელი წარმოადგენს პროცესის მთავარი სხდომისათვის და საქმის არსებითად განხილვისათვის მომზადების ე.წ ნერილობითი მოსაზრებების გაცვლის ბოლო ეტაპს, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს ის საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავდაცვას. უფრო მეტიც, ე.წ ნერილობითი მოსაზრებების გაცვლის ეტაპზე, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში საქმის მომზადების ეტაპად იწოდება, საბოლოოდ ყალიბდება სადავო საკითხები და მთავარი სხდომა მხოლოდ შედავებათა საფუძვლიანობის კვლევას და დადგენილი ფაქტების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებას ემსახურება. სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარეობს კანონმდებლის მკაცრი ნება შესაგებლის ინსტიტუტის მიმართ, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. საგულისხმოა, რომ ამგვარ შეზღუდვას საპროცესო კოდექსი თანაბრად ადგენს ორივე მხარის მიმართ, კერძოდ, 219-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარეობს, რომ მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მი-

უთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. ისმის კითხვა: რა საპროცესო შედეგებს იწვევს შესაგებელში შედაგების განუხორციელებლობა? ამ კითხვაზე პასუხი სწორედ ზემოხსენებული ნორმების განმარტებიდან გამომდინარეობს: იმ შემთხვევაში თუ მოპასუხე არ იცავს თავს ამა თუ იმ ფაქტთან მიმართებით და არ იყენებს შესაგებლით განსაზღვრულ უფლებას, ეს ფაქტი უდავოდ მიიჩნევა და მტკიცების საგანში აღარ შედის, შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებათა ყოველგვარი კვლევის გარეშე დადგენილად მიიჩნევა და შემონმებას ექვემდებარება მხოლოდ ის, უდავო ფაქტი ამართლებს თუ არა მოთხოვნას იურიდიული თვალსაზრისით.

1.7. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვემდგომ სასამართლოებს არ შეუფასებიათ მოპასუხეების მიერ არჩეული საპროცესო თავდაცვის საშუალებები და სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მტკიცების საგანი, რაც მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევას წარმოადგენს, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა, ამასთანავე, პალატა ყურადღებას გაამახვილებს მეორე მოპასუხის მოზიციაზე: ის თავს მხოლოდ კეთილსინდისიერებაზე მითითებით იცავს. სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვიების სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. მოცემულ შემთხვევაში, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს შეკითხვას – გაცვლის შედეგად მიღებულ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების აღიარებასა და პირველი მოპასუხისათვის გასაცვლელ ქონებათა ღირებულების სხვაობის ანაზღაურებაზე მეორე მოპასუხის შედაგება იქონიებს თუ არა გავლენას, მით უფრო თუკი დადგინდება სარჩელის შესაბამისობა დამფუძნებელ ნორმებთან, უნდა შემონმდეს მეორე მოპასუხესთან დადებული გარიგების შესაბამისობა სამოქალაქო კოდექსის 111.1 მუხლის მოთხოვნებთან (თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკ-

რულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე).

1.8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო სამართლის წესების დარღვევით დაადგინა დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, შესაბამისად, სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი. ამასთანავე, რადგანაც საჭიროა მტკიცებულებათა ხელახალი გამოკვლევა, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველით, პალატა საქმეს ხელახლა განსახილვად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც ამ განჩინებაში განვითარებული მსჯელობის შესაბამისად უნდა განსაზღვროს მტკიცების საგანი, შეფასება მისცეს მოპასუხეთა საპროცესო თავდაცვის საშუალებებს, დაადგინოს დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და შემდგომ გადანყვეტოს უფლების საკითხი.

## **2. პროცესის ხარჯები:**

კასატორი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „მ1“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია. ვინაიდან საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 55-ე მუხლების შესაბამისად, უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადანყვეტილების გამოტანისას.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 412-ე მუხლებით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. 6. მ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 2 98-21-03  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)